

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
შრომის ეკონომიკის კათედრა
DEPARTMENT OF LABOUR ECONOMICS

ლტოლვილთა დანიის საბჭო
DANISH REFUGEE COUNCIL

საჯარო პოლიტიკის კვლევითი ცენტრი
PUBLIC POLICY RESEARCH CENTRE

მ ი გ რ ა ც ი ა

MIGRATION

3



გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი, 2009

ამ კრებულში თავმოყრილი სამეცნიერო სტატიები ასახავს საქართველოსა და სამხრეთ ქავკასიის მოსახლეობის გარე მიგრაციას, იძულებით გადაადგილებულთა შრომით ემიგრაციას, სასწავლო ემიგრაციის ძირითად მიმართულებებს, დასპორათა ფორმირებას საქართველოში, შეგა ორგანიზებულ მიგრანტთა ადაპტაციას და ქვეყნის შრომის ბაზრის კონიუნქტურის გაღვენას მიგრაციულ პროცესებზე.

განკუთვნილია მიგრაციის საკითხებით დაინტერესებული მეთეველისათვის

სარედაქციო კოლეგია:

პროფესიონალი მარიან ტუხაშვილი (რედაქტორი),

პროფესიონალი ირინა მოღონიძეოვა (ცენტრალური კვრიპის უნივერსიტეტი, ბუღაპეშტი), პროფესიონალი ლეთ განიერი (ნიდჰირლანდები);

ნათა ავიცაანი (მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია), ვარლამ ჭეშუაშვილი (ლომილიურთა დანიის საბჭო), ნიკო ნიკოლაძე (საქართველოს პოლიტიკის პლატფორმა);

ასოცირებული პროფესიონერები: თამაზ ზუბალშვილი, ნათა ჭელიძე (პასუხისმგებელი მდგრანი).

რეცენზენტები:

პროფესიონალი იური ანანიაშვილი,

ასოცირებული პროფესიონალი მარია ჩავლეგაშვილი

The articles given in this collection reflect Georgia's and South Caucasian population external migration, labour emigration of the IDPs, main directions of educational emigration, formation of diasporas in Georgia, adaptation of internal organized migrants and impact of the country's labour market conjuncture on migration processes.

The book is designed for readers interested in migration processes.

Editorial board:

Professor Mirian Tukhashvili (Editor in chief), Professor Irina Molodikova

(Central European University, Budapest), Professor Leo Van Wissen (Netherlands);

Natia Kvitsiani (IOM), Varlam Chkuaseli (Danish Refugee Council), Niko Nikoladze (Public Policy Research Centre);

Associate Professor Tamaz Zubiashvili, Natia Chelidze (Executive secretary).

Reviewers: Professor Juri Ananiashvili

Associate Professor Marina Chavleishvili

კრებული გამოიცა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სარედაქციო საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით.

კრებულის გამოცემაში დახმარებისთვის მადლობას ვუხდით ლტოლვილთა დანიის საბჭოს, რომელიც ახორციელებს ევროკომისიის მიერ მხარდჭერილ პროექტს „საქართველოში დაბრუნების პროცესის ხელშეწყობა თემატიკულ დონეზე“.

© თსუ შრომის ეკონომიკის კათედრა, 2009

გამომცემლობა „ენივერსალი“, 2009

თბილისი, 0179, ი. ვაჟავაძის გამზ. 19, თე: 22 36 09, 8(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-99940-968-0-0

შინაგამი

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომმა, ცხინვალის რეგიონში განხორციელებულმა ეთნოწმენდამ კიდევ უფრო გაზარდა იძულებით გადაადგილებულ პირთა რიცხვი საქართველოში. აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობასთან ერთად აღნიშნული კონტინგენტი წარმოადგენს მოსახლეობის ისეთი სოციალური სტატუსის მქონე ჯგუფს, ვისთვისაც მიგრაციის შემაკავებელი ფაქტორი სუსტია. ამიტომ მობილობის დონე მაღალია და გამოირჩევა ბევრი თავისებურებით, რაც შესწავლასა და მიგრაციულ პოლიტიკაში გათვალისწინებას მოითხოვს.

მიუხედავად დიდი სურვილისა, მაინც არ ცხრება შრომითი ემიგრაციის მაღალი ინტენსიურობა. მისასალმებელია, რომ თანდათან მატულობს შრომითი ემიგრაციის თაობაზე გამოქვეყნებული შრომები, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად ისინი იმეორებენ და ნაკლებად აღრმავებენ უკვე არსებულ კვლევის შედეგებს.

მე-19 და მე-20 საუკუნეების განმავლობაში საქართველოს მთელ მოსახლეობაში ჯერ მატულობდა უცხო დიასპორათა წილი, ხოლო ბოლო ათწლეულებში ემიგრაციული პროცესების გავლენით არაავტოქონთა წილი მცირდება. ზოგიერთი დიასპორის დემოგრაფიულ განვითარებაში კი უკიდურესი ატროფია ჩამოყალიბდა, რამაც მათი აღწარმოების პოტენციალი რადიკალურად შეასუსტა. ამან თავისი მეცნიერული შეფასება მოითხოვა, რაც სერიოზული კვლევების განხორციელებას საჭიროებს.

მიგრაციის მკვლევართა აქცენტი პოსტსაბჭოთა წლებში გადავიდა გარე მიგრაციაზე. თუმცა შიგა მიგრაციული პროცესებს ყოველთვის უდიდესი მნიშვნელობა

ჰქონდა რაციონალური განსახლების სისტემის ფორმი-რებასა და ქვეყნის ეკონომიკურ და დემოგრაფიულ უსაფრთხოებაში. შიგა ორგანიზებული მიგრაციის როლი კვლავაც დიდია და მისი მეცნიერული შეფასება მომავა-ლი მიგრაციული პოლიტიკის განსაზღვრის აუცილებე-ლი წინაპირობაა.

ზემოაღნიშნულ პრობლემებს შეეხება „მიგრაცია 3“-ში დაბეჭდილი სტატიები.

სიამოვნებით გვინდა აღვნიშნოთ ისიც, რომ კრე-ბულთან საქმიანად თანამშრომლობენ საქართველოს პარ-ლამენტის აპარატის, მიგრაციის საერთაშორისო ორგა-ნიზაციის, დანიის ლტოლვილთა საბჭოს, დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის, საქართველოს არასამ-თავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, უცხოელი მეცნიერები, სტუდენტობა. ვარაუდობთ, რომ უახლოეს მომავალში კვლავაც ამოქმედდება მიგრაციის კვლევის ცენტრი, რაც უფრო გააღრმავებს მიგრაციული პროცე-სების შესწავლას.

თსუ პროფესორი მირიან ჭუხაშვილი

მირიან ტუხაშვილი
ეკონომიკურ მუცნიურებათა დოქტორი, პროფესორი

**რუსების ჩამოსახლება
და მიზანაცია საქართველოდან**

მიგრაციული ექსპანსია რუსეთის იმპერიის სიმყარის ერთ-ერთ მთავარ გზად იყო მიჩნეული და უწყვეტად ხორცი-ელდებოდა რუსეთის სახელმწიფოს ჩასახვის პერიოდიდან. ცნობილი რუსი ისტორიკოსის, ვ. კლიუჩევსკის დასკვნით, „რუსეთის ისტორია – ესაა განუწყვეტლივ კოლონიზებადი ქვეყნის ისტორია“¹. კოლონიზაციას ხელს უწყობდა რუსი მოსახლეობის სწრაფი დემოგრაფიული ზრდა, რაც საშუალებას იძლეოდა, წარმოქმნილიყო ცენტრიდანული მიგრაციული ნაკადები, რითაც უზარმაზარი სივრცე იქნა ეკონომიკურად და ეთნიკურად ათვისებული.

რუსი მოსახლეობის ინტენსიური იმიგრაცია საქართველოში 1830-იანი წლებიდან იწყება. მას ჰქონდა როგორც არაორგანიზებული, ისე ორგანიზებული ხასიათი. თავდაპირველად შეიქმნა ე.წ. სამხედრო სოფლები, განხორციელდა 15 წლიანი სამხედრო სამსახურის მოხდის შემდგომ სახაზინო მიწებზე ყოფილ სამხედრო მოსამსახურეთა დასახლება. სოფლები განლაგებულნი იყვნენ სამხედრო ბანაკების მიმდებარებულებიდან.²

პარალელურად დაიწყო რუსი სექტანტების – დუხობორებისა და მოლოკინების ჩამოსახლება ბორჩალოსა და ახალციხის მაზრებში. მაინც, საქართველოში ბატონიშვილის გაუქმების დროს რუსი მოსახლეობა არ აღემატებოდა 19 ათას

¹ Ключевский В.О. Русская история. Польный курс лекции. Лекция вторая. <http://www.bibliotekar.ru/ruskflush/2htm>

² ანთაძე კ. საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში, თბილისი, 1973. გვ.129; გუგუშვილი პ. საქართველოსა და ამირაგვასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XXსს. ტ.1. თბილისი, 1949. გვ.625.

კაცს³. ჩამოსახლების ინტენსიურობა თანდათანობით იზრდებოდა. საუკუნის ბოლოს რუსების რიცხოვნობამ ასი ათასი, მთელი მოსახლეობის 5,3% მიაღწია. შეიცვალა მათი განაწილება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. თუ 1864 წელს თბილისის მაზრაზე მოდიოდა საქართველოში მცხოვრები რუსი მოსახლეობის 60%, შემდგომ ინტენსიურად ხდებოდა მათი კოლონიზაცია შავი ზღვის სანაპირო ზოლში – სოხუმის ოკრუგსა და ბათუმში. ამას ზელი შეუწყო მუჰაჯირობის შედეგად აფხაზეთის გაპარტახებამ, აფხაზი მოსახლეობის უმეტესობის აყრამ და თურქეთში გადახვეწამ.

XX საუკუნეში პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდი ხასიათდებოდა საქართველოს ქალაქების მოსახლეობის სწრაფი ზრდით, რაშიც ევროპული რუსეთის მოსახლეობაც მონაწილეობდა.

პირველი მსოფლიო ომის დროს, 1914-1917წწ. მონაკვეთში, როგორც ვ. ჯაოშვილი აღნიშნავს, გარემიგრაციული სალდო უარყოფითი გახდა⁴.

რუსი მოსახლეობის ემიგრაციული პროცესები მეტად ინტენსიური გახდა რუსეთის იმპერიის დაშლის შედეგ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში. ამ დროს ეკონომიკა მოიმალა და სოციალური ყოფა უკიდურესად დამძიმდა. მეორე მხრივ, რუსეთის იმპერიის მცხოვრებთა ნაწილი, რომლის სამშობლო რუსეთის იმპერია იყო, მისი დაშლის შემდგომ მშობლიური ქვეყნის გარეთ აღმოჩნდა და სავსებით ბუნებრივად დაიწყო დაბრუნება თავის ეთნიკური ტერიტორიებისაკენ. ეს განსაკუთრებით გამოვლინდა ქალაქის მოსახლეობის შემცირებით. მაგალითად, თბილისის მოსახლე-

³ ანთაძე კ. საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში, თბილისი, 1973. გვ.130.

⁴ ჯაოშვილი ვ. საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში. თბილისი, 1984. გვ.97.

ობა 100 ათასი კაცით შემცირდა⁵. უნდა აღინიშნოს, რომ 1917 წლისათვის თბილისის მოსახლეობის 28,1% რუსი იყო. აქ ისინი ამ დროს აღემატებოდნენ ქართველებს. შემდგომ წლებში რუსების დიდი ნაწილი გავიდა საქართველოდან. როგორც გ. ფერაძე ამ პერიოდის შესახებ წერს, „მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ და მეტადრე საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, როდესაც ისინი, ვინც ორგანულად არ იყვნენ დაკავშირებულნი საქართველოსთან – გაიფანტნენ“.⁶

რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიამ და პოლიტიკური ვითარების შეცვლამ ახალი საფუძველი შექმნა იმიგრაციული პროცესების განვითარებისათვის. ამას დაერთო ისიც, რომ 1922 წელს რუსეთში იფეთქა შიმშილობამ, რამაც 35 მლნ კაცით დასახლებული ტერიტორია მოიცა. მილიონზე მეტი მცხოვრები დაიღუპა შიმშილისა და ამით გამოწვეული ავადმყოფობისაგან⁷. აღნიშნულ გარემოებათა გამო საქართველოდან ახლად წასული მოსახლეობის ნაწილი ისევ უკან შემობრუნდა. ამის მიუხედავად, 1926 წელს რუსების წილი საქართველოს მთელ მოსახლეობაში საუკუნის დასაწყისთან შედარებით მნიშვნელოვნადაა შემცირებული და მხოლოდ 3,6%-ს შეადგენს (ცხრილი 1)⁸.

⁵ გუგუშვილი პ. საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები. თბილისი, 1973. გვ.168.

⁶ ფერაძე გ. საქართველოს მოსახლეობა 1917 წლის აღწერის მიხედვით. დემოგრაფიული მიმოხილვა. საქართველოს სტატისტიკური მოამბე. 1921, №1. გვ.26.

⁷ СССР: Демографический диагноз. Москва, 1990, с.243.

⁸ ანთაძე კ. საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში, თბილისი, 1973. გვ.88-89. ჯაოშვილი ვ. საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში. თბილისი, 1984. გვ.79, 112, 139, 213. მოსახლეობის 1897, 1926, 1939, 1959, 1970, 1979, 1989, 2002 წლების საყოველთაო აღწერის მასალები.

ცხრილი 1

**ოუსი მოსახლეობის ოცნებისა და ზოლი საქართველოს
მოსახლეობაში**

წლები	1800	1832	1865	1897	1926	1939	1959	1970	1979	1989	2002
მოსახლეობა											
ათასი	-	0,5	19,0	76,4	96,1	308	407,8	396,7	371,7	341,1	97,3 ⁹
(%)	-	0,0	2,0	5,3	3,6	8,9	10,1	8,5	7,4	6,3	2,1

მეორე მსოფლიო ომამდელი ხუთწლედები ხასიათდება სწრაფი კონომიკური ზრდით. ამ დროს სსრკ-ში სტრატეგიულ ამოცანად გამოცხადდა განაპირა მხარეებისა და ნაციონალური რესპუბლიკების განვითარების დაძლევა მათი დაჩქარებული სამრეწველო განვითარების გზით. იგი ითვალისწინებდა ინვესტიციების გადანაწილებას და აღნიშნულ რეგიონებში ახალი სამუშაო აღვილების შექმნას. 1940 წლისათვის 1913 წელთან შედარებით საქართველოს მრეწველობის მთლიანი პროდუქტი ათჯერ გაიზარდა¹⁰. ახალი სამუშაო აღვილები კი ყოველთვის არ შეესაბამებოდა მკუდრი სამუშაო ძალის პროფესიულ-კვალიფიციურ სტრუქტურას. ამიტომ ვერ ხერხდებოდა აღვილობრივი შრომითი რესურსებით სამუშაო ძალაზე მოთხოვნის დაკმაყოფილება და ჩნდებოდა მოთხოვნა საქართველოს გარედან მუშახელის შემოყვანაზე, რაც ინტენსიური იმიგრაციის ფაქტორი იყო.

მეორე მხრივ, რუსეთსა და უკრაინაში მოუსავლიანობისა და მეურნეობის ტოტალური ტრანსფორმაციების ვითარებაში დაშვებული შეცდომების გამო 1932-1933 წლებში მა-

⁹ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

¹⁰ Особенности демографического развития в СССР. Москва, 1984. с.34

სობრივმა შიმშილობამ იფეთქა. სხვადასხვა შეფასებით, ამ დროს 2-7 მლნ მცხოვრები გაწყდა¹¹.

დამშეულთა დიდი მასა კი მოაწყდა სსრკ აზიური ნაწილის ქალაქებს, სადაც იმ დროს ადგილობრივი მოსახლეობის არამრეწველური ტრადიციებისა და ნაკლებმობილურობის გამო ვერ კომპლექტდებოდა მრეწველობაში ახლად შექმნილი სამუშაო ადგილები. აღნიშნულ გარემოებათა გამო 1926-1939 წწ. აღწერათშორის პერიოდში საქართველოს მთელ მოსახლეობაში რუსების წილი 3,6%-დან 8,7%-მდე გაიზარდა.

მეორე მსოფლიო ომის წლებში საქართველოში ევაკუირდა რუსი მოსახლეობის დიდი კონტინგენტი, რომელიც მაქსიმალურად დასაქმდა ადგილობრივ წარმოებაში, მათ შორის, მრეწველობაში. ომისშემდგომ მათი ნაწილი საცხოვრებლად საქართველოში დარჩა. ამავე დროს, გრძელდებოდა მსხვილი სამრეწველო ობიექტების ამოქმედებისას მაღალკვალიფიციურ მუშახელზე მოთხოვნის შევსება რუსეთ-უკრაინიდან. ძირითადად, იმიგრაციული პროცესების შედეგია, რომ 1939-1959 წლებში საქართველოს მოსახლეობაში რუსების წილი 8,7%-დან 10,1%-მდე გაიზარდა. მათმა ასოლუტურმა რიცხვმა საქართველოში 408 ათასს მიაღწია.

1950-იანი წლების მეორე ნახევრიდან კი საქართველოში რუსი მოსახლეობის გარემოგრაციული სალიდო სტაბილურად უარყოფითი გახდა. რუსებში შობადობის დონე სხვა ეროვნებებზე მეტად შემცირდა, ე.წ. დემოგრაფიული გადასვლა მცირეშვილიან თჯახზე დაჩქარებულად მოხდა. ემიგრა-

¹¹ Кульчицкий С. Сколько нас погибло от голодомора 1933 года. Газ. «Зеркало недели», №45, 23-29 ноября, 2002 года. с.2; СССР: Демографический диагноз. Москва, 1990, с.243; Данилов В.П. Дискуссия в западной прессе о голоде 1932-1933 г.г. и «Демографической катастрофе» 30-40-ых годов в СССР. Вопросы истории, 1988, №3, с.116-121.

ციულ პროცესებთან ერთად ამანაც გამოიწვია რუსი მოსახლეობის სტაბილური კლება საქართველოში.

აღნიშნულ პერიოდში საქართველოდან რუსი მოსახლეობის გარე მიგრაციის ძირითადი მიზეზებია:

ა) რუსეთის ცენტრალური და აღმოსავლეთი ოლქების დაჩქარებული ეკონომიკური განვითარება და სამუშაო ძალაზე მოთხოვნის ზრდა. იმავდროულად, იქ ცხოვრების დონის სწრაფი ამაღლება;

ბ) რუსეთთან შედარებით საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე დიდი კონკურსი და რუსულენოვანი მოსახლეობის გარეთ გასვლა უმაღლესი განათლების მისაღებად; მათგან მნიშვნელოვანი ნაწილის იქ მუდმივ საცხოვრებლად დარჩენა;

გ) არაქართველი მოსახლეობის თავისი ეთნიკური ტრადიტორებისკენ და საკუთარი ეთნოგულტურული გარემოსაკენ ბუნებრივი სწრაფვა და ა.შ.

1959-1990 წლებში საქართველოს გარემიგრაციული სალდო ნელი ცვლილებით ხასიათდება. საშუალოდ, ყოველ 100 წასულზე ჩამოვიდა 80 კაცი. 80-იანი წლების ბოლოს უარყოფითი სალდოს ინტენსივობა გაიზარდა. 1989 წლის აღწერით, საქართველოში 341 ათასი რუსი ეროვნების მცხოვრები იყო.

რუსი მოსახლეობის საქართველოდან განსაკუთრებით დიდი ინტენსივობის ემიგრაციული პროცესები დაიწყო 1990-იან წლებში სსრკ დაშლის შემდგომ. ეს ძირითადად განაპირობა ამ დროს აღმოცენებულმა ყოვლისმომცველმა კრიზისმა. იგი საქართველოში ბევრად მეტი სიღრმით განვითარდა, ვიდრე რუსეთში. ამიტომ წარმოიქმნა ამ ქეყენებს შორის ცხოვრების დონეთა მკვეთრად გამოხატული სხვაობა, რაც მთავარი ფაქტორი გახდა საქართველოდან რუსეთში მოსახლეობის ემიგრაციისა, პირველ რიგში, რუსი მოსახლეობის რეპატრიაციისა.

ისტორიული სამშობლოსაკენ სწრაფვას ხელი შეუწყო სხვა გარემოებებმაც. ნაწილობრივ, სახელმწიფო ენის უცოდინარობამაც. ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, კონსტიტუციური აღიარების მიუხედავად, 1989 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში მცხოვრები 341 ათასი რუსიდან 253 ათასმა (74,2%) რუსულის გარდა სხვა ენა არ იცოდა¹². 1989-2002წწ. აღწერათაშორის პერიოდში რუსების რიცხოვნობა მთელ საქართველოში 3,5-ჯერ შემცირდა.

მეტად დიდი ცვლილება მოხდა საქართველოში მცხოვრები რუსების დემოსტრაციულადით. სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობა კატასტროფულად ატროფირდა. 2002 წლის აღწერით, რუს ქალთა რიცხოვნობა 2,5-ჯერ აღემატება ამ ეროვნების მამაკაცთა რიცხოვნობას¹³. ასეთი ასიმეტრია მხოლოდ ბოლო წლებში არ ჩამოყალიბებულა, მაგრამ უკიდურესი ფორმა პოსტსაბჭოთა პერიოდში მიიღო. გამოკვლევები გვიჩვენებენ, რომ რუსი ქალების სხვა ეროვნების მამაკაცებთან ქორწინების მაჩვენებელი საკმაოდ მაღალი იყო ათეული წლების განმავლობაში. როგორც ლ. მენაბდიშვილის გამოკვლევით დასტურდება, საქართველოში რუსი ქალების ქორწინება ქართველებთან უფრო მრავალრიცხოვანი იყო, ვინემ თავისივე ეროვნების წარმომადგენლებთან. ბიეთნიკურმა ქორწინებამ რუსი ეროვნების მოსახლეობის სქესობრივი სტრუქტურის ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა¹⁴.

ასევე ატროფირებულია რუსული დიასპორის ასაკობრივი სტრუქტურა. მათში დაბერების პროცესი უფრო ადრე

¹² საქართველოს მოსახლეობის ეროვნული სემადგენლობა. სტატისტიკური კრებული, თბილისი, 1991. გვ.62-63.

¹³ საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი საყოველთაო აღწერის შედეგები. სტატისტიკური კრებული. თბილისი, 2006. გვ.73-77.

¹⁴ მენაბდიშვილი ლ. ბიეთნიკური ქორწინება და მისი დემოგრაფიული შედეგები. საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი. თბილისი, 2000. გვ.17.

დაიწყო, ვიდრე საქართველოს სხვა, შედარებით მრავალრიცხოვან დიასპორებში, მაგრამ პოსტსაბჭოთა პერიოდის ინტენსიურმა ემიგრაციულმა პროცესმა მკვეთრად ააჩქარა დაბერების ტემპი. 2002 წლისათვის 60 წელს გადაცილებული მოსახლეობის წილმა რუსულ დიასპორაში 34,4% მიაღწია (ცხრილი 2). ეს კატასტროფული ზედაბერებაა. ასეთი სტრუქტურა, ცხადია, მოსახლეობის გაფართოებულ აღწარმოებას გამორიცხავს. სტატისტიკური აღრიცხვის მიხედვით, 2005 წელს საქართველოში რუსი ქალების მიერ გაჩნდა მხოლოდ 406 ბავშვი, რაც ნიშნავს, რომ შობადობის ზოგადი კოეფიციენტი მხოლოდ 7,4 პრომილეს უდრის. მეორე შერივ, დაბერების გამო რუსი მოსახლეობის მაღალი სიკვდილიანობა (ზოგადი კოეფიციენტი 22,4 პრომილე) განსაზღვრავს მაღალ ბუნებრივ კლებას (-15 პრომილე). ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამჟამინდელ სტატისტიკაში ახალშობილთა ეროვნულ ჭრილში აღრიცხვა დედის ეროვნების მიხედვით ხდება და, სავარაუდოა, რომ რუსი დედის მიერ ნაშობი ბავშვების მნიშვნელოვანი ნაწილი რეალურად სხვა ეროვნებას ეკუთვნის. თ. ფუტკარაძის გამოკვლევით, 1999 წელს რუსი ეროვნების ქალისაგან დაბადებულთა 74%-ს, ანუ ოთხი ბავშვიდან სამს სხვა ეროვნების მამა ჰყავდა¹⁵.

2002 წლის აღწერის შედეგად გამოვლინდა, რომ 15-49 წლის ასაკის ყოველი 1000 რუსი ქალის მიერ გაჩენილია 1779 ბავშვი. ეს ყველაზე მცირე მაჩვენებელია საქართველოში მცხოვრებ სხვა ეროვნებათა შორის, აშკარადაა გამოხატული შეკვეცილი კვლავწარმოების რეჟიმი, რეგრესული დემოგრაფიული ვითარება.

¹⁵ ფუტკარაძე თ. აჭარის მოსახლეობის მიგრაციის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები. ბათუმი. 2006. გვ.226.

ცხრილი 2

**რუსი მოსახლეობის დაბერების მაჩვენებლები
1926-2002 წლებში¹⁶**

ასაკობ- რივი მაჩვენებ- ლები	1926	1959	1970	1979	1989	2002
რუსი მოსახლეობა						
0-14 წ.	23,3	23,6	19,7	18,8	19,3	8,4
60წ. და უზნესი	5,8	8,5	13,0	17,3	20,0	34,4
მედიანუ- რი ასაკი	24,9	30,6	34,8	36,1	36,7	48,8
საქართველოს მთელი მოსახლეობა						
0-14 წ.	38,3	29,3	30,5	26,0	24,7	18,4
60 წ. და უზ- ნესი	8,3	11,0	11,8	12,5	14,4	18,5
მედიანუ- რი ასაკი	21,0	26,5	28,7	29,1	30,7	34,5

იმავე აღწერის დროს გამოიკითხა სხვადასხვა ეროვნების ფერტილური ასაკის (15-49წელი) გათხოვილ ქალთა აზრი მოსალოდნელ ბავშვთა რიცხვის შესახებ. აქაც ყველაზე მცირე შვილიანობის განზრახვა რუს ქალებს აღმოაჩნდათ. იგი ვერ უზრუნველყოფს შთამომავლობით მათი რიცხვის ჩა-

¹⁶ დემოგრაფიის და სოციოლოგიის პრობლემები, II ტ. თბილისი, 2004. გვ.129-132; შელია მ. მოსახლეობის დაბერება საქართველოში. თბილისი, 1999. გვ.58.

ნაცვლებას. რუსი ქალების თვით სურვილშიც კი გამოხატულია რუსული დიასპორის დემოგრაფიული დეპრესია.

ამრიგად, მიგრაციული და ბუნებრივი მოძრაობის ყველა განხილული ტენდენცია მიანიშნებს საქართველოში რუსი მოსახლეობის რიცხოვნობის მომავალ გარდაუგალ პლებაზე.

Mirian Tukhashvili

RUSSIANS SETTLEMENT IN GEORGIA AND THEIR EMIGRATION (Abstract)

Russian populations' intensive settlement in Georgia began after that when Russia incorporated Georgia into its empire. Since the 1830s immigration had permanent nature and it continued intensively up to World War First. In the years of Georgia's democratic republic a part of Russians left Georgia, and their number tripled during the authority existing until World War II. A part of evacuated Russians left in Georgia during the war.

Russian populations emigration with low intensity began from the 1950s. It increased sharply after the 1990s when Georgia restored its independence. In the conditions of profound economic crisis a fifth of Georgia's population left the country. In this period the number of Russians decreased 3.5 times. The surveys attest that in this period Russians didn't suffer any kind of persecution or oppression.

At present, demographic potential of Russian population is weak and the improvement perspective of reproduction of this contingent factually doesn't appear.

ციური ანთაძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

საქართველოს შრომის გაზრის ფუნქციონირების თანამდებობის განვითარების უფასო

თანამდეროვე საქართველოსათვის სიღარიბე ყველაზე მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა და ძირითადი შიგა საფრთხეა. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, მოსახლეობის დახსროებით 40% სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს. განსაკუთრებით ღარიბია ის ოჯახები, რომელთა წევრები დაუსაქმებელნი არიან. სიღარიბის დონე, სიღრმე და სიმწვავე იზრდება ოჯახში კმაყოფაზე მყოფ პირთა რაოდენობის ზრდის პარალელურად.

უამრავი გამოკვლევით დადასტურებულია, რომ სიღარიბის განმაპირობებელი მთავარი ფაქტორებია უმუშევრობა და დასაქმებიდან მიღებული მცირე შემოსავალი. შესაბამისად, ქვეყანაში სიღარიბის დაძლევა არსებითად დამოკიდებულია დასაქმების ხელშეწყობის მიზანმიმართული პოლიტიკის განხორციელებაზე, შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, სამუშაო ძალის მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული დისბალანსის შემცირებაზე. ყოველივე ეს შრომის ბაზრის ფუნქციონირებაზე აისახება.

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობის დონე 62-65%-ის ფარგლებშია (ცხრილი 1). იგი 7-8 პროცენტული პუნქტით ჩამორჩება ევროკავშირის ქვეყნების ანალოგიურ პარამეტრებს, მაგრამ საქართველოსნაირი ქვეყნისათვის დაბალი არ არის. სამაგიეროდ, ძალიან დაბალია 15 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობის დასაქმების მაჩვენებელი (54,7%) და მაღალია უმუშევრობის დონე (13,3%). საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ დასაქმებული მოსახლეობის რაოდენობა (განსაკუთრებით, დაქირავებით დასაქმებულების) წლიდან წლამდე

მცირდება, რაც თვალნათლივ ადასტურებს დასაქმების სფეროში ვითარების გაუარესების ტენდენციას.

ცხრილი 1
საქართველოს მოსახლეობის ეპონომიკური აძლიშვრობის,
დასაშმაბისა და უმუშევრობის დონე 1998-2007 წლებში, %

წლები	ეკომომიკური აქტიურობის დონე*	დასაქმების დონე	უმუშევრობის დონე*
1998	65,2 (66,8)	55,7	14,5 (16,6)
1999	66,0 (67,5)	56,9	13,8 (14,0)
2000	65,2 (68,9)	58,4	10,3 (14,6)
2001	66,2 (69,9)	58,8	11,1 (16,4)
2002	65,0 (67,1)	56,8	12,6 (17,3)
2003	66,2 (68,2)	58,6	11,5 (14,2)
2004	64,9 (66,9)	56,7	12,6 (15,2)
2005	64,0 (65,8)	55,2	13,8 (16,1)
2006	62,2 (63,8)	53,8	13,6 (15,7)
2007	63,3	54,9	13,3

წყარო: საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი.

*შენიშვნა: ფრჩხილებში ჩაწერილი მონაცემები ასახავს ე.წ. „შერბილებული კრიტერიუმით“ აღრიცხულ უმუშევრებს (უმუშევრებს, რომლებმც აქტიურად არ ეძებენ სამუშაოს). 2007 წლიდან სტატისტიკის დეპარტამენტი ასეთ მონაცემებს აღარ აქვთხებს.

სწორედ დასაქმების შესაძლებლობების შეზღუდულობა და შრომის ანაზღაურების დაბალი დონე უბიძგებს საქართველოს მოსახლეობის ყველაზე აქტიურ ნაწილს, დატოვოს სამშობლო და არსებობის წყარო ქვეყნის ფარგლებს გარეთ

ეძებოს. სპეციალური კვლევები ადასტურებს, რომ შრომით ემიგრანტთა 80-85% ქვეყანას ეკონომიკური მიზეზებით (უმუშევრობა, დაბალი ხელფასი) ტოვებს.¹⁷

ქვეყანაში უმუშევრობის შემცირებისათვის, ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესების გარდა, აუცილებელია შრომის ბაზრის ეფექტური ფუნქციონირების პირობების შექმნა, რაც გულისხმობს შესაბამისი საკანონმდებლო, ორგანიზაციული და ფინანსური ბერკეტების შემუშავებასა და გამოყენებას.

გამოკვლევებით დასტურდება, რომ საქართველოში საბაზრო ეკონომიკის აღეკვატური შრომის ბაზარი ჯერ კიდევ ფორმირების სტადიაშია. ამჟამად მისი ფუნქციონირება ხასიათდება მთელი რიგი თავისებურებებით, რომელთაგან ძირითადია:

•დასაქმების შეზღუდული შესაძლებლობები (სამუშაო აღვიღების მცირე რაოდენობა), რაც განპირობებულია საქართველოს ეკონომიკის განვითარების დაბალი დონით.

1990-იანი წლების ეკონომიკური კოლაფსის შედეგად საქართველოში 1990-2000 წლებში წარმოებული მთლიანი შიგა პროდუქტის მოცულობა 8-ჯერ და მეტად შემცირდა. 1999-2003 წლებში მშპ-ს წარმოების ზრდის ტემპმა წელიწადში საშუალოდ 3-4% შეადგინა, რაც გაჩანაგებული ეკონომიკის აღორძინებისათვის საკმარისი არ იყო. „გარდების რევოლუციის“ შემდგომ პერიოდში (2004-2007წწ.) განხორციელებული რეფორმების, ეკონომიკური გარემოს გაჯანსაღების მიზნით გატარებული ღონისძიებების (საგადასახადო კოდექსის სრულყოფა, გადასახადების შემცირება, ბიზნესის დაწყებისათვის პირობების სრულყოფა, კორუფციასთან ბრძოლა, პრივატიზაციის პროცესის დაჩქარება და ა.შ.) შედეგად მნიშვნელოვნად დაჩქარდა მშპ-ს წარმოების ზრდის ტემპი

¹⁷ ა) შრომითი მიგრაცია საქრთველოდან. მსო. თბ., 2003. გვ.23-25; ბ) კვლევითი რესურსებისა და სტატისტიკის ეროვნული ცენტრი. სამუშაო ძალის მიგრაციის გამოკვლევის შედეგები. თბ., 2008. გვ.13.

(საშუალოდ 9,3%). თუმცა, მშპ-ს დარგობრივი სტრუქტურა თვალნათლივ წარმოაჩენს ქვეყნის ეკონომიკის მძიმე მდგომარეობას. კერძოდ, ის ფაქტი, რომ 2007 წელს წარმოებული მშპ-ის 52,6% მომსახურების სფეროში შეიქმნა, ხოლო სოფლის მეურნეობასა და თევზჭერაში – 16,9%, მრეწველობაში, ელექტროენერგიის, გაზისა და წყალმომარაგებაში – 18,4%, მშენებლობაში – 8,9% და ა.შ., ადასტურებს ქვეყანაში მწარმოებლური დარგების განუვითარებლობას. გარდა ამისა, საქართველოში იმპორტის მოცულობა თითქმის 4-ჯერ აღემატება ექსპორტის სიდიდეს და უარყოფითი სალდო სულ უფრო იზრდება. 2007 წლისათვის იმპორტ-ექსპორტს შორის უარყოფითმა სალდომ თითქმის 4 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. იმპორტის ზრდა და ექსპორტის შემცირება პირდაპირ ასახავს ქვეყანაში სამუშაო ადგილების კლების ტენდენციას.

• მოთხოვნასა და მიწოდებას შორის დიდი დისბალანსი.

გამოკვლევებით დასტურდება, რომ საქართველოს შორის ბაზარზე სამუშაო ძალის მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არა მარტო რაოდენობრივი, არამედ სერიოზული სტრუქტურული (პროფესიების მიხედვით) და ხარისხობრივი (კვალიფიკაციის მიხედვით) დისბალანსია. პროფესიული განათლების სისტემაში მომზადებულთა სტრუქტურა არ შეესაბამება კონკრეტული პროფესიის კადრებზე დამსაქმებელთა მოთხოვნებს. იმის გარდა, რომ მთელი რიგი პროფესიის (მაგალითად, უურნალისტები, ეკონომისტები, ფინანსისტები, იურისტები, ექიმები და სხვ.) კადრების მომზადება ხდება ჭარბი რაოდენობით, არსებობს პროფესიათა ფართო სპეციალისტებით მოთხოვნა ქვეყანაში დაუკმაყოფილებელია და მათი მომზადება საქართველოში არ ხდება.¹⁸ გარდა ამისა,

¹⁸ ამის შესახებ დაწვრილებით იხილეთ სპეციალური კვლევების ანგარიშები: ა) საქართველოში სამუშაო ძალაზე დამსაქმებელთა მოთხოვნა. მსო. თბ., 2007; ბ) სამუშაო ძალაზე დამსაქმებელთა

დამსაქმებელთა ნახევარზე მეტი უკმაყოფილოა საკუთარი მომუშავების კვალიფიკაციით, რაც მიანიშნებს პროფესიული კადრების მომზადება-გადამზადების უფერტიანი სისტემის ფორმირების აუცილებლობაზე და მომზადების ხარისხის გაუმჯობესების საჭიროებაზე.

• **მოქმედების შეზღუდული არეალი.**

საქართველოში დასაქმებულთა საერთო რაოდენობიდან მხოლოდ 33-34%-ია დაქირავებით მომუშავე, დანარჩენი 66-67% კი თვითდასაქმებულია. ბოლო 18 წლის განმავლობაში განუხრელად მცირდება დაქირავებულთა აბსოლუტური რაოდენობა. ამასთან, მათი თითქმის 2/3 სახელმწიფო (ძირითადად საჯარო) სექტორშია, სადაც შრომითი ურთიერთობები მკაცრად რეგლამენტირებულია და საბაზრო ბერკეტები ნაკლებად გამოიყენება. ეს ნიშნავს, რომ საქართველოში ძალიან შეზღუდულია შრომის ბაზრის მოქმედების არეალი, რამდენადაც საბაზრო მექანიზმები ვრცელდება შრომითი ურთიერთობების იმ სეგმენტზე, სადაც დაქირავებული შრომა გამოიყენება.

• **ნაკლები ელასტიკურობა.**

შრომის ბაზრის უფერტიანი ფუნქციონირება წარმოუდგენელია მისი ელასტიკურობისა და ცვლილებებზე სწრაფი რეაგირების გარეშე. შესაბამისად, უნდა არსებობდეს ინფორმაცია ეკონომიკასა და დასაქმების სფეროში მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ და უნდა იყოს სპეციალური სტრუქტურა, რომელიც დაგეგმავდა და განახორციელებდა შრომის ბაზრის მიმდინარე და პერსპექტიულ მოთხოვნებზე რეაგირების ღონისძიებებს. სამწუხაროდ, საქართველოში არ არსებობს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების არამცთუ ხანგრძლივი, არამედ ერთწლიანი გეგმა-პროგნოზიც კი, არ არის

მოთხოვნა. მსო, თბ., 2008; გ) შრომის ბაზრის რეგიონული კვლევა აჭარაში. მსო, 2009.

ჩამოყალიბებული შრომის ბაზრის კვლევის სახელმწიფო სისტემა. შესაბამისად, არ არსებობს წინაპირობები იმისათვის, რომ საქართველოს შრომის ბაზარი უფრო ელასტიკური იყოს.

- **სამუშაო ძალის დაბალი მობილურობა.**

შრომის ბაზრის არაელასტიკურობას ემატება ის გარემოებაც, რომ საქართველოში განუვითარებელია ზრდასრულთა განათლების სისტემა. ცალკეული არასამთავრობო ორგანიზაციების (ზრდასრულთა განათლების ასოციაცია, Dvv-international და სხვა) დიდი მცდელობის მოუწედავად, ეს სისტემა ჯერ მხოლოდ ფორმირების სტადიაშია. საჭიროა სახელმწიფოსა და დამსაქმებლების აქტიურობის გაზრდა სამუშაო ძალის პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების გამართული და ხელმისაწვდომი სისტემის შესაქმნელად. საქართველოში სამუშაო ძალის ნაკლებმობილურობას ხელს უწყობს მენტალური პრობლემებიც, რაც საზოგადოების ნაწილს გადმოჰყვა საბჭოთა ცხოვრების წესიდან (როცა ყველას ნაცვლად ფიქრობდა სახელმწიფო). ნაკლებმობილურობას განაპირობებს ასევე შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა, როცა ადამიანებმა არ იციან სად და ვის მიმართო დახმარებისთვის, როგორ ეძებონ სამუშაო, როგორ განივითარონ თვითპრეზენტაციის უნარი და ა.შ. შედეგად, საქართველოში ძალიან მაღალია ე.წ. „ხელჩაქნეული“ უმუშევრების წილი, ანუ იმ ადამიანთა კატეგორია, ვისაც სურთ მუშაობა, მაგრამ აქტიურად აღარ ეძებენ სამუშაოს, ვინაიდნა დაკარგეს სამუშაოს შოვნის იმედი.

- **სამუშაო ძალის მცირე ფასი.**

საქართველოსათვის უაღრესად აქტუალურია ე.წ. „ღარიბი დასაქმებულების“ პრობლემა. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ დასაქმებიდან მიღებული შემოსავლები მომუშავეთა გარკვეული კატეგორიისათვის საარსებო მინიმუმზე ნაკლებია. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ

2006 წლის სექტემბერში ჩატარებული სპეციალური კვლევის შედეგად დადგინდა, რომ დაქირავებულთა 31,9%-ს თვეში 100 ლარზე (ე.ი. საარსებო მინიმუმზე) ნაკლები ხელფასი ჰქონდა. აქედან: 4,3%-ს – 20 ლარზე ნაკლები, 5,7%-ს – 20-40 ლარი, 7,6%-ს – 40-60 ლარი, 7,3%-ს – 60-80 ლარი, ხოლო 7,0%-ს – 80-100 ლარი. საგანგაშოა დასაქმებულთა ხელფასის დიდი დიფერენციაცია, განსაკუთრებით სახელმწიფო სექტორში: თანაფარდობა ყველაზე დაბალხელფასიანი ჯგუფის საშუალო ხელფასსა (11 ლარი) და ყველაზე მაღალხელფასიანი ჯგუფის საშუალო ხელფასს (3483,3 ლარი) შორის შეადგენს 1:316. დასაქმებიდან მიღებული შემოსავლების წილი შინამეურნეობის საერთო შემოსავლებში არ აღემატება 26-28%-ს. დასაქმებიდან მიღებული შემოსავლების სიმცირე უბიძებს დასაქმებულთა ნაწილს, საჭირო შემოსავლის მისაღებად ეძღონ დამატებითი სამუშაო. ეს იწვევს მეორადი დასაქმების ფართოდ გავრცელებას. დასაქმებულთა სერთო რაოდენობის 10-12% ძირითად სამუშაოსთან ერთად სხვა სამუშაოსაც ასრულებს (სოფლად თვითდასაქმება, ვაჭრობა, კერძო სერვისი, მცირე ბიზნესი და ა.შ.).

• ხანგრძლივ უმუშევართა დიდი წილი.

ხანგრძლივი ეკონომიკური სტაგნაციის, სახელმწიფოს მხრიდან დასაქმების სტიმულირების არარსებობის, შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის განუვითარებლობის შედეგად საქართველოში უმუშევრობამ ე.წ. „ხანგრძლივი უმუშევრობის“ ფორმა შეიძინა: უმუშევართა საერთო რაოდენობის თითქმის 2/3 ხანგრძლივად (1 წელზე მეტი დროით) უმუშევარია. მათი შრომის ბაზარზე დაბრუნება და კონკურენტუნარიანობის გაზრდა დამატებით ძალისხმევასა და ფინანსებს საჭიროებს სახელმწიფოსა და დამსაქმებლების მხრიდან.

• უმუშევრებში უმაღლესი განათლების მქონე პირების დიდი წილი.

საქართველოს მოსახლეობის განათლების შედარებით მაღალი ცენზი განაპირობებს იმ ფაქტს, რომ უმუშევრებს შორისაც დიდია უმაღლესი განათლების მქონე პირების წილი. სტატისტიკური მონაცემებით, უმუშევართა თითქმის 1/3-ს უმაღლესი განათლება აქვთ (მათი წილი 15 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობაში 22,4%-ია). უმაღლესი განათლების მქონე პირების დიდი წილი უმუშევრებში აიხსნება როგორც სამუშაო ძალის მოთხოვნა-მიწოდებას შორის არსებული დისპალანსით, ასევე უმაღლესი განათლების მქონე სამუშაოს მაძიებლების შრომის პირობებისადმი გაზრდილი მოთხოვნებით.

• „მეორადი შრომის ბაზრის“ დომინირება.

უმუშევრებს შორის უმაღლესი განათლების მქონე პირების დიდ წილს განაპირობებს ის ფაქტიც, რომ საქართველოს შრომის ბაზარზე დომინირებს ე.წ. „მეორადი შრომის ბაზარი“, მისთვის დამახასიათებელი ნიშნებით (დაბალკვალიფიციური და არაკვალიფიციური სამუშაო ადგილები, შრომის მძიმე პირობები, სოციალური დაცვისა და გარანტიების დაბალი დონე, მცირე ანაზღაურება და ა.შ.). „პირველადი შრომის ბაზრის“ (მაღალკვალიფიციური კადრები, შრომის კარგი პირობები, დიდი ხელფასი, სოციალური გარანტიებისა და დაცულობის მაღალი ხარისხი) არეალი კი შეზღუდულია და ძირითადდ მოიცავს სახელმწიფო მართვის, საბანკო და სადაზღვევო სექტორებს.

• არაფორმალური დასაქმების დიდი წილი.

საქართველოსა და სხვა დაბალგანვითარებული ქვეყნების შრომის ბაზრის ერთ-ერთი თავისებურებაა არაფორმალური დასაქმების დიდი წილი. როგორც ცნობილია, ოფიციალური სტატისტიკა არაფორმალური დასაქმების შესახებ არ არსებობს. არაფორმალური დასაქმების მასშტაბების შეფასება

შესაძლებელია სპეციალური გამოკვლევებით, ან ირიბად – ისეთი სტატისტიკური მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე, როგორიცაა: დაუკვირვებადი (აღურიცხავი) ეკონომიკის მოცულობა, დასაქმებულთა სტრუქტურა, თვითდასაქმებულთა რაოდენობა და ა.შ.

სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, საქართველოს ეკონომიკაში დაუკვირვებადი (აღურიცხავი) გამოშვების წილი 30-33%-ია, სამეწარმეო სექტორში კი ეს მაჩვენებელი 51-56%-ს შეადგინს. ცხადია, დაუკვირვებადი (აღურიცხავი) ეკონომიკის მოცულობაში აისახება არაფორმალური დასაქმების სიდიდეც. ევროპის განათლების ფონდის (ETF) მიერ 2005 წელს ორგანიზებული სპეციალური გამოკვლევის მიხედვით, ქ. თბილისში დაქირავებულთა თითქმის 40% მუშაობდა შრომითი კონტრაქტის გარეშე. თვითდასაქმებულთა აბსოლუტური უმრავლესობა ეწევა არაფორმალურ, დაურეგისტრირებულ საქმიანობას. დიდი მასშტაბის არაფორმალური დასაქმება საქართველოში განპირობებულია იმ როტული სოციალურ-ეკონომიკური პროცესებით, რომელიც ქვეყანაში გასული საუკუნის 90-იან წლებში განვითარდა. არაფორმალური დასაქმების ზრდა რეალურად მოსახლეობის რეაქციაა დასაქმების პირობების გაუარესებაზე, უმუშევრობის ზრდაზე, ცხოვრების დონის დაცემაზე და ა.შ.

• განუვითარებელი ინფრასტრუქტურა.

შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის განუვითარებლობის ის ხარისხი, რაც საქართველოშია, შეიძლება მის ექსკლუზიურ თავისებურებად დასახელდეს. 2006 წლიდან საქართველოში არ არსებობს დასაქმების სახელმწიფო რეგულირების საკანონმდებლო ბაზა (გაუქმდა კანონი „დასაქმების შესახებ“, 2006 წელს მიღებული „შრომის კოდექსი“ კი მომუშავეს დამსაქმებელთან მიმართებაში აბსოლუტურად დაუცველს ხდის); არ ხორციელდება „უმუშევროთა სოციალური დაცვისა და დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრა-

მები“ („სამუშაო ადგილზე პროფესიული სწავლების“ სახელმწიფო პროგრამებს, რომლებიც განხორციელდა 2006 და 2007 წლებში, რეალურად არაფერი ჰქონდა საერთო დასაქმების ხელშეწყობასთან); არ არსებობს დასაქმების სახელმწიფო სამსახური; განუვითარებელია პროფესიული სწავლებისა და ზრდასრულთა პროფესიული მომზადება/გადამზადების როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სისტემა; სუსტია პროფესიული ორიენტაციის, კონსულტაციისა და კარიერის დაგეგმვის სისტემა; არ არსებობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და სხვა სოციალური რისკების მქონე ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმი და ა.შ.

ყოველივე ზემოაღნიშნული უარყოფით გავლენას ახდენს საქართველოს მრომის ბაზრის ფუნქციონირებაზე და ასახება უმუშევრობის განმაპირობებელ ძირითად მიზეზებში. ეს მიზეზებია:

- ✓ შეზღუდული მოთხოვნა სამუშაო ძალაზე;
- ✓ სეციალობით სამუშაოს შოვნის სირთულე;
- ✓ არასწორი საკადრო პოლიტიკა;
- ✓ შრომის ანაზღაურების დაბალი დონე;
- ✓ პროფესიული მომზადების დაბალი დონე;
- ✓ მცირე პროფესიული მობილურობა;
- ✓ სამუშაოს მოძიებისა და თვითპრეზენტაციის უნარჩვევების ნაკლებობა;
- ✓ სამუშაოს მაძიებელთა პასიურობა (ე.წ. „ხელჩაქნეულები“);
- ✓ დასაქმების სფეროში საშუალებლო ხერვისის განუვითარებლობა-ხელმიუწვდომლობა.

საქართველოს შრომის ბაზრის ჩამოყალიბებისა და ეფექტურად ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ღონისძიებათა მთელი სისტემის შემუშავება და რეალიზაცია როგორც სახელმწიფოს, ისე სოციალური პარტნიორების (დმსაქმებლე-

ბი, პროფესიული კავშირები), პროფესიული განათლების სფეროს პროვაიდერების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვ. მხრიდან. წამყვანი როლი, რა თქმა უნდა, სახელმწიფოს ეკუთვნის. ძირითადი სფეროები და მიმართულებები, საღაც უნდა გატარდეს შრომის ბაზრის ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის საჭირო ღონისძიებები, შემდეგია:

- ახალი სამუშაო ადგილების შექმნის სტატუსი-რებისათვის ეკონომიკური ბერკეტების გამოყენება;
- შრომის ბაზრის რეგულირების საკანონმდებლო ბაზის შექმნა-სრულყოფა;
- დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაციისათვის სპეციალური სახელმწიფო უწყების (სამინისტრო ან დეპარტამენტი) შექმნა;
- სამუშაო ძალაშე დამსაქმებელთა მოთხოვნის შესწავლის (შრომის ბაზრის კვლევის) მწყობრი სისტემის ჩამოყალიბება;
- პროფესიული კადრების მომზადების სისტემის მიახლოება შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
- პროფესიული კადრების მომზადების დაგეგმვის, სწავლებისა და შეფასების პროცესში დამსაქმებელთა აქტიური მონაწილეობა;
- სამუშო ძალის მობილურობის ამაღლებისათვის სპეციალური საკონსულტაციო (პროფორიენტაციის, კონსულტაციისა და კარიერის დაგეგმვის) სამსახურების ქსელის განვითარება;
- ზრდასრულთა პროფესიული მომზადება-გადამზადების სისტემის განვითარება;
- შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის განვითარება;
- მეზობელ და ეკონკავშირის ქვეყნებთან სამუშაო ძალის ლეგალურად გაცვლის (ლეგალური შრომითი მიგრაციის) ხელშეწყობა.

CHARACTERISTICS OF THE PRESENT LABOR MARKET IN GEORGIA (Abstract)

Labor market, adequate to the requirements of the market economy, is in its formation stage in Georgia. Its functioning is characterized by number of peculiarities including the following essential ones:

- ***Limited employment opportunities (shortage of vacancies)*** determined by low scale of economic development in Georgia;
- ***Discrepancy between the demand and supply of the workforce (numerical, structural and qualitative);***
- ***Limited area for activity*** (Only 33-34% out of the total number of employed in Georgia works for hire, 2/3 of which is employed in the public sector).
- ***Law resilience.*** System enabling regular socio-economic prognosis and labor market surveys is absent in the country. Thus, there are no preconditions for the flexible and resilient labor market existence in the country, respectively.
- ***Low level of mobility of the labor force.*** Adult education system is still in its infancy and steps to design the life-long learning strategy in the country have been made only recently.
- ***Poorly paid jobs.*** Income of 1/3 of the employed in the country is below the existence minimum;
- ***High share of long-term unemployment.*** 2/3 out of the total number of unemployed has been jobless more than a year;
- ***High rate of highly educated among the unemployed (42-44%);***
- ***Predomination of the “Secondary labor market” over the “primary labor market”;***
- ***High share of employed in the informal sector*** (66-67% of employed in Georgia is self-employed. Unrecorded share of production is 30-33%, in the industrial sector this indices is even higher - 51-56%)
- ***Underdeveloped infrastructure. Exclusively low level of labor market infrastructure.***

Joint effort, the government, social partners (employers, trade unions) education providers, NGO sector, etc. with the state, playing the leading role in the process, is essential in the elaboration and implementation of number of measures for formation and effective functioning of the labor market in Georgia. The spheres and directions important to be introduced and implemented for the efficient functioning of the labor market are as follows:

- Utilization of economic lever to stimulate new job opportunities;
- Advancement of the legislation regulating labor market;
- Creation of the specialized state agency (ministry, department) for the implementation of the state employment policy;
- Introduction of the sound system for studying demand on the work force (labor market survey);
- Approximation of the professional education with the labor market demands;
- Active participation of employers in the planning, provision and evaluation of the results of professional trainings;
- Development of the network of consultation services (professional orientation, consultation and career planning) in order to enhance the labor force mobility.
- Development of the Adult Education System and introduction of the life-long learning principle in practice;
- Development of the labor market infrastructure;
- Promotion of the legal exchange of the labor force with the neighboring and EU countries (promotion of legal labor migration).

გთორვი წულაძე
ისტორიულ მუცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ავთანდილ სულაბერიძე
ეკონომიკურ მუცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ნიკა მაღლაცერიძე
ეკონომიკურ მუცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

საქართველო და სამრთაშორისო მიზანი

გეროს მონაცემებით, მსოფლიოში, 2000-2010 წლებ-ზე, საშუალოდ წლიურად სამ მილიონამდე საერთაშორისო (გარე) მიგრანტია ნავარაუდევი. ამასთან, აღნიშნული სამი მილიონი გარე მიგრანტი ნაკლებად განვითარებული ქვეყნები-დან განვითარებულ ქვეყნებში მიდის. ყველაზე მეტი მიგრანტი აზიდან და ლათინური ამერიკიდანაა, ხოლო მიმღებ ქვეყნებს ძირითადად ჩრდილოეთ ამერიკა და ევროპა წარმო-ადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ 1960-1970 წლებთან შედარე-ბით, 2000-2010 წლებში გარე მიგრაცია 5,2-ჯერ გაიზარდა. რაოდენობრივის გარდა პქნება ადგილი თვისებრივ ცვლილე-ბებსაც. მაგალითად, 1960-1970 წლებსა და წინა პერიოდში ევროპისათვის გარე მიგრაციის სალდო უარყოფითი იყო, ხო-ლო 1970-იანი წლებიდან სალდო უკვე დადებითია, ანუ ევ-როპაში მეტი მიგრანტი ჩამოდის, ვიდრე გადის.

ზოგადად მსოფლიოში, დღევანდელთან შედარებით მო-მავალში, გარე მიგრანტების რაოდენობა რამდენადმე დაიკ-ლებს, თუმცა 2010-2050 წლების პერიოდში საშუალოდ წე-ლიწადში 2,3 მილიონის ფარგლებში სტაბილიზდება. პრაქ-ტიკულად, 1950-2050 წლების პერიოდში (10 წლიანი ინ-ტერვალების განხილვისას) 2000-2010 წლები გარე მიგრა-ციის ყველაზე დიდი სიდიდით გამოიჩინა.


როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საქართველოსათვის 1960-იანი წლებიდან დამახასიათებელია გარე მიგრაციის

უარყოფითი სალდო, რომლის სიდიდე და ინტენსიურობა განსაკუთრებით მაღალი იყო 1992-1995 წლებში.

ბუნებრივია, საქართველოს გარკვეული წვლილი შეაქვს მსოფლიოს საერთაშორისო მიგრაციაში, თუმცა, აბსოლუტური რაოდენობის თვალსაზრისით, ეს წვლილი საქმაოდ მოკრძალებულია და 2000-იან წლებში მხოლოდ 1%-ს შეადგენს.

როდესაც საერთაშორისო (გარე) მიგრაციაზე და მის სალდოზე ვმსჯელობთ, შედარებისათვის უფრო მიზანშეწონილია ზოგადი კოეფიციენტის, ანუ მოსახლეობის 1000 სულზე გაანგარიშებით წარმოდგენა. ასეთ დროს შესაძლებელია გარე მიგრაციის სალდოს ინტენსივობის გაზომვა.

დიაგრამა 1. საშუალო წლიური გარე მიგრაციის აბსოლუტური სალდო მსოფლიოს მსხვილი რეგიონების მიხედვით 1960-2050 წწ.




წყარო: World Population Prospects. The 2006 Revision UN N-Y, 2007, p.26; გ. წულაძე, ა. სულაბერიძე, ნ. მაღლაფერიძე, გ. მამარდაშვილი. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება: გუშინ, დღეს, ხვალ. თბილისი, 2008, გვ.131.

ამ თვალსაზრისით საქართველოს წელილი სხვა მნიშვნელობას იძენს და აშკარად მიგვითითებს იმაზე, რომ გარე მიგრაციის ინტენსიურობა საქართველოში საკმაოდ მაღალი იყო და სადღეისოდაც ასეთად რჩება.

მიგრაციის ყველაზე დიდი სალდო მოსახლეობის 1000 სულზე როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მსოფლიოში 1990-2000 წლებში აღინიშნა. ამ პერიოდში გარე მიგრაციის უარყოფითი სალდო საქართველოში განსაკუთრებით მაღალი ინტენსიურობით გამოირჩეოდა (მოსახლეობის 1000 სულზე – 19,2).

დიაგრამა 2. საერთაშორისო (გარე) მიგრაციის სალდოს სიდიდე (%) განვითარებულ, ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებსა და საქართველოში



წყარო: World Population Prospects. The 2006 Revision UN N-Y, 2007, p. 26; World Population Prospects. The 1998 Revision V. 1: Comprehensive Tables UN N-Y, 1999, pp.10, 12, 20, 32, 42, 52, 60, 62; გ. წულაძე, ა. სულაბერიძე, ნ. მაღლაფერიძე, გ. მამარჯაშვილი. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება: გუშინ, დღეს, ხვალ. თბილისი, 2008, გვ.132.

2000-იან წლებში გარე მიგრაციის სალდო მცირდება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კლებაა დამახასიათებელი საქართველოსათვის, თუმცა მისი ინტენსიურობა მაინც საკმაოდ მაღალი რჩება (-8,5%).

შემდგომი პერიოდისათვის როგორც მსოფლიოს ქვეყნებისათვის, ისე საქართველოსათვისაც ძირითად ტენდენციას წარმოადგენს გარე მიგრაციის სალდოს შემცირება.

საერთაშორისო მიგრაციის საშუალო ფლიური სალდო

	მიგრაციის სალდო (ათასი)									
	1960-1970	1970-1980	1980-1990	1990-2000	2000-2010	2010-2020	2020-2030	2030-2040	2040-2050	
საქართველო განვითარებული ქვეყნები ნაკლებად განვითარებული ქვეყნები აფრიკა აზია ევროპა ლათინური ამერიკა და კარიბები ჩრდილოეთ ამერიკა ოკეანეთი	-10.7 556 -556 -242 -22 -31 -293 479 109	-16.0 1088 -1088 -289 -377 288 -415 748 44	-17.5 1530 -1530 -267 -451 441 -781 972 86	-88.5 2493 -2493 -310 -1340 1051 -775 1277 96	-33.7 2902 -2902 -416 -1311 1271 -1108 1453 111	-20.0 2268 -2268 -377 -1210 799 -616 1305 99	-10.0 2269 -2269 -395 -1221 805 -590 1300 101	-2.0 2272 -2272 -393 -1222 808 -595 1300 102	0.0 2272 -2272 -393 -1222 808 -595 1300 102	
საქართველო განვითარებული ქვეყნები ნაკლებად განვითარებული ქვეყნები აფრიკა აზია ევროპა ლათინური ამერიკა და კარიბები ჩრდილოეთ ამერიკა ოკეანეთი	-2.5 0.6 -0.2 -0.8 -0.0	-3.4 1.0 -0.4 -0.7 -0.2	-3.5 1.4 -0.4 -0.5 -0.2	-19.2 2.1 -0.6 -0.4 -0.4	-8.5 1.4 -0.4 -0.3 -0.3	-5.1 1.2 -0.3 -0.2 -0.3	-2.7 1.1 -0.2 -0.2 -0.2	-0.6 1.1 -0.2 -0.2 -0.2	0.0 1.1 -0.2 -0.1 -0.2	

ევროპა	-0.0	0.4	0.6	1.5	0.8	0.6	0.4	0.4	0.4
ლათინური აშერიკა და კარიბები	-0.1	-1.3	-1.9	-1.6	-0.8	-0.6	-0.4	-0.4	-0.3
ჩრდილოეთ აშერიკა	2.2	3.1	3.6	4.3	2.9	2.8	2.6	2.5	2.4
ოკეანეთი	6.2	2.1	3.5	3.4	2.7	2.4	2.3	2.0	1.9

წყარო: World Population Prospects. The 2006 Revision UN N-Y, 2007; World Population Prospects. The 1998 Revision V. 1: Comprehensive Tables UN N-Y, 1999; გ. წულაძე, ა. სულაბერიძე, 6. მაღლაფერიძე, გ. მამარდაშვილი. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება: გუშინ, დღეს, ხვალ. თბილისი, 2008, გვ. 172. 2000-2050 – პროგნოზის საშუალო ვარიანტი.

განვითარებული ქვეყნებისათვის 2040 წლისა და შემდგომი პერიოდისათვის მიგრაციის სალდო მაინც დადგებითი იქნება, ანუ განვითარებული ქვეყნები ისევ შეინარჩუნებენ მიმღები ქვეყნების სტატუსს, ხოლო ნაკლებად განვითარებული ქვეყნები ისევ დარჩებიან მიგრანტების მიმწოდებლებად. 2040-2050 წლებში მიგრანტთა ყველაზე მეტი ნაკადი მიმართული იქნება ჩრდილოეთ აშერიკაში და მიგრაციის სალდოს ინტენსივობა 6-ჯერ მეტი იქნება, ვიდრე ევროპის ქვეყნებში. აღნიშნულ პერიოდში საქართველოსათვის გარე მიგრაციის სალდო 0-ის ფარგლებში იქნება, ანუ გასულებისა და ჩამოსულების რაოდენობა ერთმანეთს გაუტოლდება.

*Giorgi Tsuladze
Avtandil Sulaberidze
Nika Maglaperidze*

GEORGIA AND INTERNATIONAL MIGRATION (Abstract)

The paper presents international migration by the largest regions of the world for the period of 1960-2050. Simultaneously, the respective data for Georgia is presented.

It is emphasized that in the near future the number of international migrants in the world will decrease and be stabilized around 2,3 millions in the period of 2010-2050. It is demonstrated that while considering the 10-year intervals within 1950-2010, the period of 2000-2010 is characterized with the highest rate of international migration.

The highest net migration (both positive and negative) for 1000 population came to 1990-2000. In this period negative net migration in Georgia was especially intensive (19,2 for 1000 population).

გიორგი მელაძე
კუნიომიქურ მეცნიერებათა კანდიდატი

**სამრთაშორისო მიზანაციის გეოგრაფიული
და პოსპექტივული**

თანამედროვე მიგრაციული ნაკადების გეოგრაფიული საზღვრების გაფართოების გამო XXI საუკუნე კაცობრიობის ისტორიაში ქვეყნებსა და კონტინენტებს შორის მიგრაციული პროცესების ყველაზე მაღალი ინტენსივობით იქნება გამორჩეული.

საერთაშორისო მიგრაციის პრობლემები სულ უფრო მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს სახელმწიფოთა პოლიტიკაში. აღნიშნული მოვლენის უმთავრესი განმაპირობებელი ფაქტორი იქნება განვითარებული ჩრდილოეთისა და ნაკლებად-განვითარებული სამხრეთის ქვეყნებში მოსახლეობის არათანა-ბარი განაწილება.

მიუხედავად იმისა, რომ გასული საუკუნის ბოლო ათწლეულებში მოსახლეობის სწრაფი მატების ტემპის შესამცირებლად რიგი ღონისძიებები იქნა გატარებული, შობადობის კლებისაკენ მიმართული ღონისძიებები მსოფლიოში, შეიძლება ითქვას, რომ მარცხით დასრულდა.

2008 წელს განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის რაოდენობა 4,5-ჯერ აღემატებოდა განვითარებული ქვეყნების მოსახლეობას. გაეროს პროგნოზის საშუალო ვარიანტის მიხედვით, 2050 წელს აღნიშნული თანაფარდობა 6,2-ს მიაღწევს, რაც ნიშნავს, რომ დედამიწის მოსახლეობის 86% განვითარებად ქვეყნებში იცხოვრებს. მარტო ჩინეთსა და ინდოეთში მსოფლიოს მოსახლეობის 34% იქნება თავმოყრილი.

პრობლემას ამწვავებს ისიც, რომ მსოფლიოს განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის სულ უფრო იზრდება ეკონომიკური განვითარების დონეთა სხვაობა. მსოფლიო ბანკის მიხედვით, 1975 წელს ერთ სულ მოსახლეზე

მთლიანი შიგა პროდუქტის მოცულობა მაღალი შემოსავლების ქვეყნებში 41-ჯერ აღემატებოდა დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელს. აღნიშნულმა თანაფარდობამ 2000 წელს 66-ს მიაღწია.¹⁹

გაეროს ხალხთმოსახლეობის განყოფილების მონაცემებით, 2005 წელს მსოფლიოში 190,6 მლნ ადამიანი ცხოვრობდა სამშობლოს ფარგლებს გარეთ. მათ შორის 60,5% განვითარებულ ქვეყნებში იყვნენ განსახლებულნი. განსაკუთრებით სწრაფად იზრდებოდა მიგრანტთა რაოდენობა მსოფლიოს განვითარებულ რეგიონებში (ცხრილი 1).

1990-2005წწ. განვითარებად ქვეყნებში საერთაშორისო მიგრანტების ზრდამ 3,6% შეადგინა, დროის იგივე მონაკვეთში განვითარებულ ქვეყნებში მიგრანტების ზრდა 40%-ის ტოლი იყო. რაც შეეხება კონტინენტების მიხედვით მიგრანტთა დინამიკას, აშკარად ლიდერობდნენ ჩრდილოეთ ამერიკა და ევროპა, სადაც განსილებულ წლებში მიგრანტებმა, შესაბამისად, 61,1 და 29,8%-ით მოიმატეს.

1990-იან წლებში საერთაშორისო მიგრაციის მასშტაბის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დეტერმინანტი იყო სოციალისტური სისტემის დაშლა, რის შედეგადაც ყოფილი სსრკის, აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებიდან მიგრანტთა დიდი მასა წარმოიქმნა. შეფასებითი მონაცემებით, მხოლოდ სსრკ-დან მიგრანტების რაოდენობამ 27 მლნ ადამიანი შეადგინა²⁰.

¹⁹ World migration report 2005, Jeneve

²⁰ Facts on Migrant Labour. Geneve, International Labour Organization. 2006.

ცხრილი 1
საერთაშორისო მიგრაციის დონამიკა 1990-2005 ყვ.²¹

	აბს. მონაცემები მლნ			პროცენტი			1990 წ. 2005 წ. მიმართ (%)
	1990	2000	2005	1990	2000	2005	
მსოფლიო	155.0	176.7	190.6	100.0	100.0	100.0	123.0
განვითარე- ბული ქვეყნები	82.4	105.0	115.4	53.2	59.4	60.5	140.0
განვითარე- ბადი ქვეყ- ნები	72.6	71.7	75.2	46.8	40.6	39.5	103.6
ევროპა	49.4	58.2	64.1	31.9	32.9	33.6	129.8
აფრიკა	16.4	16.5	17.1	10.6	9.3	9.0	104.3
აზია	49.9	50.3	53.3	32.2	28.5	28.0	106.8
ლათინური ამერიკა დაკარიბის აუზი	7.0	6.3	6.6	4.5	3.6	3.5	94.3
ჩრდილო- ეთ ამერი- კა	27.6	40.4	44.5	17.8	22.9	23.9	161.1
ავსტრა- ლია და ოკეანეთი	4.8	5.1	5.0	3.1	2.9	2.6	104.2

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში პოსტინდუსტრიულ სამყაროში ძირეული ცვლილებები მოხდა ეკონომიკის სფე-
როში, რაც, თავის მხრივ, მსოფლიოს შრომის ბაზარზე

²¹ <http://www.esa.un.org/migration/p2k0data.asp>

ცვლილებების საფუძველი გახდა. განვითარებული ქვეყნების შრომის ბაზარზე გაჩნდა მოთხოვნა როგორც დაბალკვალიფიციურ, ასევე მაღალკვალიფიციურ შრომაზე. ბოლო წლებში რეციპიენტი ქვეყნები ცდილობენ, წაახალისონ კვალიფიციური იმიგრანტების მოზიდვა.

აღნიშნული მიზნით, რიგი ქვეყნები ახორციელებენ იმიგრაციული კანონმდებლობის ლიბერალიზაციას. განვითარებულ ქვეყნებში დიდი მოთხოვნაა მეცნიერებზე, კომპიუტერული ტექნოლოგიების სპეციალისტებზე, ექიმებზე, საერთოდ, ინტელექტუალურ შრომაზე. მომავალში მიგრანტთა შორის გაიზრდება მაღალი განათლების დონისა და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების წილი. იუსტიციის, თავისუფლებისა და უშიშროების საკითხებში ევროკომისიის კომისრის ფ. ფრატინის განცხადებით, მომავალში ევროპის ქვეყნებში მოსალოდნელია თავისუფლად მოხვდნენ იმ ქვეყნების მოქალაქეებიც, რომლებიც არ არიან ამ კავშირის წევრები.

აღნიშნული ფაქტი მნიშვნელოვანწილად განპირობებულია განვითარებულ ქვეყნებში შექმნილი არასახარბიელო დემოგრაფიული ვითარებით, რომლის დეტერმინანტებსაც – შობადობის კლება და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მატების შედეგად ხანდაზმული ასაკის (65 და მეტი) ადამიანების რაოდენობის მატება წარმოადგენს. არსებული მდგომარეობა განაპირობებს დემოგრაფიული დატვირთვის მაჩვენებლის მატებას, რაც ნეგატიურად მოქმედებს ნებისმიერი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე და მის პერსპექტივებზე.

საგულისხმო ფაქტია, რომ ევროპაში 2007 წელს ხანდაზმულებით დემოგრაფიულმა დატვირთვამ გადააჭარბა ბავ-

შვებით დატვირთვის მაჩვენებელს. სპეციალისტების აზრით, ეს ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდება²².

თანამედროვე იმიგრაციული ტალღა არსებითად განსხვავდება ადრინდელისაგან არა მარტო რაოდენობრივი თვალსაზრისით, არამედ მოტივაციის მიხედვითაც. თუკი ადრინდელ წლებში იმიგრანტები თავიანთ ქვეყნებს, ძირითადად, რელიგიური დევნისა და სამხედრო კონფლიქტების გამო ტოვებდნენ, ბოლო წლებში მიგრანტების დიდი უმრავლესობა განვითარებადი ქვეყნებიდან განვითარებულებში ეკონომიკური მოსაზრებით მიემგზავრება. ესაა შრომითი მიგრანტების უზარმაზარი არმია, რომელიც თავის ქვეყნებში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო სამუშაოს საძებნელად საკუთარი ქვეყნის ფარგლებს გარეთ მიემგზავრება.


შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სპეციალისტების შეფასებით, 21-ე საუკუნის დასაწყისში მსოფლიოში 86 მლნ შრომითი მიგრანტი იყო, აღნიშნული კატეგორიის ადამიანთა რაოდენობა 1960 წელს მხოლოდ 3,2 მლნ-ს შეადგენდა. განვითარებული ქვეყნებიდან განსაკუთრებით საგრძნობი იყო შრომითი მიგრანტების წილი ლუქსემბურგში, ავსტრიაში და შვეიცარიაში (ნახაზი 1).

გლობალური თვალსაზრისით, დღესდღეობით საერთაშორისო მიგრაცია მსოფლიოს მოსახლეობის რაოდენობის დაბალანსების ერთ-ერთ ფაქტორად შეიძლება მივიჩნიოთ. იგი ხელს უწყობს განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის მატებას, ხოლო განვითარებად ქვეყნებში მატების ტემპის მეტყობებას. 2000-2005წწ. განვითარებული ქვეყნების მიგრაციული მატების კოეფიციენტი 3-ჯერ აღემატებოდა ბუნებრივი მატების მაჩვენებელს (ცხრილი 2).

²² <http://demoscope.ru/weekly/2008/0357/barom03.php>

ნახაზი 1

მსოფლიოს ქვეყნების პირველი ათეული შრომითი
მიგრაციების ზოლის მიხედვით სამშპარ ძალის სამრიო
რაოდენობაში²³



დღესდღეობით განვითარებადი სამყაროს მოსახლეობა უმთავ-
რესად სოფლებშია განსახლებული, რაც მათ ნაკლებად
მობილურობას განაპირობებს. თუმცა, ურბანიზაციული პრო-
ცესების ინტენსიფიკაციის ზეგავლენით მომავალში თანდათა-
ნობით გაიზრდება ემიგრაციული პროცესებისადმი ლტოლვა.

გაეროს მოსახლეობის პროგნოზის საშუალო ვარიან-
ტის თანახმად, 2005-2050 წწ. წმინდა მიგრაციის მაჩვენებე-
ლი განვითარებულ რეგიონებში 103 მლნ-ის ტოლი იქნება,
რაც გადაფარავს ბუნებრივი მატების სფეროში მიმდინარე ნე-
გატიური პროცესების შედეგად გამოწვეულ დემოგრაფიულ
დანაკარგს.

²³ Sopemi. Trends in International Migration 2006. OECD, 2006. p.50.

საერთაშორისო მიზანაციის როლი თანამდეროვე
მსოფლიოს დემოგრაფიულ გაცვითარებაში²⁴

	თითოეული კულტურული ჯგუფი მდგრადი განვითარების მატება მდგრადი განვითარების მატება მდგრადი განვითარების მატება მდგრადი განვითარების მატება	თითოეული კულტურული ჯგუფი მდგრადი განვითარების მატება მდგრადი განვითარების მატება მდგრადი განვითარების მატება მდგრადი განვითარების მატება	თითოეული კულტურული ჯგუფი მდგრადი განვითარების მატება მდგრადი განვითარების მატება მდგრადი განვითარების მატება მდგრადი განვითარების მატება	თითოეული კულტურული ჯგუფი მდგრადი განვითარების მატება მდგრადი განვითარების მატება მდგრადი განვითარების მატება მდგრადი განვითარების მატება
განვითარებული ქვეყნები	2,7	0,9	3,6	
განვითარებადი ქვეყნები	-0,6	15,0	14,4	
ევროპა	2,2	-1,5	0,7	
აფრიკა	-0,5	23,7	23,2	
აზია	-0,4	12,6	12,2	
ლათინური ამერიკა და კანონის აუზი	-2,5	15,4	12,9	
ჩრდილოეთ ამერიკა	4,7	5,5	10,2	
ავსტრალია და ოკეანეთი	3,9	10,4	14,3	

იგივე წყაროს მიხედვით, ოცდამეტთე საუკუნეში საშუალოწლიური მიგრაციული მატება დაღებითი იქნება ევროპის, ჩრდილოეთ ამერიკის, ავსტრალიისა და ოკეანეთის რეგიონებში (ცხრილი 3). დროის იგივე მონაკვეთში მსოფლიოში უდიდესი რეციპიენტი ქვეყნები იქნებიან: აშშ, კნადა, გერმანია, იტალია, გაერთიანებული სამეფო, ესპანეთი, ავსტრალია. ყველაზე მეტი ადამიანი გაემგზავრება ემიგრაციაში ჩინეთიდან, მექსიკიდან, ინდოეთიდან, ფილიპინებიდან, პაკისტანიდან და ინდონეზიდან²⁵.

²⁴ <http://www.unhcr.org>

²⁵ Мировые демографические прогнозы. Обзор 2006 года. Резюме. Организация Объединенных Наций. Нью-Йорк 2007.

ცხრილი 3

საშუალოდიური მიზანაციული მატება
მსოფლიოს პეგიონებში 2010-2050 წლებში²⁶

	2010- 2020 წწ.	2020- 2030 წწ.	2030- 2040 წწ.	2040- 2050 წწ.
განვითარებული ქვეყ- ნები	2268	2269	2272	2272
განვითარებადი ქვეყ- ნები	-2268	-2269	-2272	-2272
ევროპა	799	805	808	808
აფრიკა	-377	-395	-393	-393
აზია	-1210	-1221	-1222	-1222
ლათინური ამერიკა და კარიბის აუზი	-616	-590	-595	-595
ჩრდილოეთ ამერიკა	1305	1300	1300	1300
ავსტრალია და ოკეა- ნეთი	99	101	102	102

განხილული მასალის ანალიზის საფუძველზე შესაძლე-
ბელია დავასკვნათ, რომ ეკონომიკურად განვითარებული
ქვეყნები – რომლებშიც დაბალი შობადობის გამო შემცირდე-
ბა მოსახლეობა, მოექცევიან გაცილებით მეტი რაოდენობის
მოსახლეობის მქონე ღარიბი და უღარიბესი ქვეყნების გარე-
მოცვაში, რაც უცილობლად გამოიწვევს დიდი მასშტაბის
მიგრაციას, რომლის ვექტორი მიმართული იქნება განვითარე-
ბული ქვეყნებისაკენ.

მსოფლიოს მასშტაბით, საერთაშოსისო ორგანიზაციები-
სა და შესაბამისი სამთავრობო სტრუქტურების ერთობლივი

²⁶ World Population Prospects: the 2006 Revision. Highlights. New York,
United Nations, 2006.

ძალისხმევის გარეშე მიგრაციის უმართაობა გამოიწვევს უმ-
წვავესი გლობალურ გეოპოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომი-
კურ, კონფესიურ და ა.შ. პრობლემებს.

Giorgi Meladze

**GEOGRAPHY AND PROSPECTS
OF THE INTERNATIONAL MIGRATION**
(Abstract)

In history of mankind the 21-st century will be distinguished with the highest intensity of international migration. The noted process will be the most significant factor of global demographic development.

According to the United Nations Population Division 2006 estimates, more than 190.6 million migrants live outside their country of birth, 60,5% of all international migrants live in the more developed regions. Between 1990 and 2005 the number of international migrants in the world grew by 35,6 million people. In the developed countries the number of migrants grew by 33 million while in developing regions by 2.6 million persons. Modern negative tendencies of natural increase and population aging, will make international migration as a main factor of population growth in the developed countries.

According to the United Nations projections in the middle of the 21-st century 86% of the world population will live in developing countries. Migratory growth will be fixed in the Europe to northern America, Australia and Oceania.

In case of preservation of the noted phenomena, creation of problems geopolitical, economic, social, confessional character of global scale is expected.

ნათია ჭელიძე
გეონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

**სამხრეთ კავკასიის მგებელიში
მიზანაციის შედარებითი კვლევა²⁷**

სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის შრომითი მიგრაციის შესახებ ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია არასრულია. ასეთ ვითარებაში, ექსპერტები შრომითი მიგრაციის შესწავლას ახდენენ ანამნესტიკური მეთოდით – შემცვლელი რესპონდენტების (შრომითი მიგრანტების სამშობლოში დარჩენილი ოჯახის წევრებისა და ახლობლების) გამოკითხვით. სხვა მეთოდებთან შედარებით იგი ნაკლებად შრომატევადია და ჩვენი პირობებისათვის რესპონდენტთა საკმაო მასის მოცვის საშუალებას იძლევა. სამივე ქვეყანაში (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) თანაბრად გამოიკითხა 3600 რესპონდენტი.

ანკეტაში იყო კითხვები, რითაც უნდა გამოვლენილიყო მოსახლეობის ემიგრაციის ძირითადი მიზეზები, მოსახლეობის შეხედულება სამხრეთ კავკასიაში განვითარებულ მიგრაციულ პროცესებზე, მიგრაციის მიმართულებები, ქვეყნიდან გასვლის ორგანიზაციული ფორმები, ემიგრანტთა სოციალურ-დემოგრაფიული სტრუქტურა, პროფესიულ-კვალიფიციური შემადგენლობა, მისი შესაბამისობა იქაურ დასაქმებასთან, სამუშაო პირობებთან და ყოფით გარემოსთან შეგუება, მიგრაციის განხორციელებით მიღებული სარგებელი და კმაყოფილების ხა-

²⁷ მიგრაციული პროცესების სოციოლოგიური გამოკვლევა ავტორის მონაწილეობით აზერბაიჯანში, საქართველოსა და სომხეთში ჩატარდა 2008 წლის სექტემბერში პროექტის - „ხელისუფლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობა ადამიანთა გაჭრობის აღკვეთის მიზნით“ ფარგლებში, რაც განხორციელდა ადამიანთა პარმონიული განვითარების ხელშეწყობის საზოგადოების (საქართველო), ფონდი ტას(ო)-ს (საქართველო) და ქალთა კვლევისა და რესურსების ცენტრის (ესტონეთი) მიერ ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.

რისხი და ა.შ. აგრეთვე, აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის მოსახლეობის ის კატეგორიებიც, რომლებიც მზად არიან საზღვარგარეთ სამუშაოდ, საცხოვრებლად ან სასწავლებლად წასვლისთვის.

გამოკვლევის მიხედვით, ემიგრაციაში მონაწილეობს თითქმის ყველა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფი. შესწავლილ ემიგრანტთა შორის 26-55 წწ. ასაკის მქონე შორიმისუნარიანი მოსახლეობაა (იგი საქართველოდან წასულთა 70,7% შეადგენს, აზერბაიჯანში - 90,2%, სომხეთში - 75,1%-ს).

სამივე ქვეყნის ემიგრანტთა 2/3 დაოჯახებულია. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ქართველ ემიგრანტთა 23,7% დაუქორწინებელი კონტიგენტია. გამოვილინდა, რომ რეპროდუქციულ ასაკში მყოფი მოსახლეობა, თვით 30 წელს გადაცილებული, არ ჩქარობს ოჯახის შექმნას, რასაც დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებისას დეპოპულაციის საფრთხის წინაშე მდგომი ქვეყანა (საქართველო, სომხეთი) აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს.


ემიგრირებულთა უმრავლესობა ეკუთვნის ამ ქვეყნის ძირითად ეროვნებას, საქართველოში ქართველია 94,5%, აზერბაიჯანში აზერბაიჯანელია 97%, სომხეთში სომებია 100%.

ემიგრაციამდე ქართველ მიგრანტთა ნახევარი არ მუშაობდა (სქემა 1), კვალიფიციური სამუშაოთი დასაქმებული იყო მხოლოდ საზღვარგარეთ წასულთა 20,4%, ვაჭრობით თავს ირჩენდა მიგრანტთა 17,2%. საზღვარგარეთ გამგზავრებამდე არ მუშაობდა მხოლოდ აზერბაიჯანელთა 20,6% და სომებთა 26,1%, დანარჩენი ძირითადად დასაქმებულნი იყვნენ: მრეწველობაში (აზერბაიჯანელთა 31%, სომებთა 10,3%), მშენებლობაში (აზერბაიჯანელთა 22,1%), ვაჭრობასა და მომსახურებაში (სომებთა 20,7%) და ტრანსპორტში (აზერბაიჯანელთა 11,1%, სომებთა 5,3%).

კვლევამ არ უჩვენა აზერბაიჯანის სახელმწიფო სტრუქტურებში მომუშავეთა შრომით ემიგრაციაში წასვლა, ხოლო სომხეთიდან ემიგრირებულ ნაკადში 8,5% ყოფილი სახელმწიფო მოხელეა, საქართველოდან კი – 2,9%.

სქემა1

მ0გრანტია დასაქმების სფეროები გამგზავრებამდე




საზღვარგარეთ დასაქმების სახეები დამოკიდებულია მიმღები ქვეყნის შრომის ბაზრის მოთხოვნაზე (სქემა 2), საბერძნეთში მიგრანტი სამუშაო ძალა მირითადად დასაქმებულია მომსახურების სექტორში: მუშაობს მომვლელებად და ძიძებად, რუსეთის ფედერაციაში კი – მშენებლობასა და ტრანსპორტში. გამოკვლევამაც აჩვენა, რომ სამივე ქვეყნიდან მიგრანტები იმიგრაციის ქვეყნაში დასაქმებულნი არიან ვაჭ-

რობისა და მომსახურების სფეროში (საქართველოდან მიგრირებულთა- 63,1%, აზერბაიჯანიდან- 56,4%, სომხეთიდან- 36,3%), შემდგომ მოდის მშენებლობაში დასაქმებულთა წილი (საქართველოდან მიგრანტთა- 11,9%, აზერბაიჯანიდან- 27,2%, სომხეთიდან- 19,5%), ხოლო ტრანსპორტსა და კომუნიკაციაში დასაქმებულია აზერბაიჯანელ მიგრანტთა 14,1%.

ჩემი 2

მიზანმიზი დასამმების სახეები საზღვარგარეთი




სამწუხაროდ, დაბრუნებული მიგრანტები საქართველოში კვლავ უმუშევრად რჩებიან (52%) ან დაბალკვალიფიციურ სამუშაოს ასრულებენ, ძირითადად, ვაჭრობისა და მომსახურების სექტორში (18,6%) (სქემა 3). სხვა სურათია აზერბაიჯანში. უცხოეთიდან დაბრუნებულები იქ უმუშევართა რიგებს არ ემატებიან, არამედ მათი 68,6% სამუშაო ადგილს პოულობს ვაჭრობასა და მომსახურების სექტორში. აზერბაიჯანში დაბრუნებულ მიგრანტთა 78,3% საკუთარ თავს თვით-

დასაქმებულს უწოდებს. სომხეთში დაბრუნებულთა 34,8%-იც თვითდასაქმებულია და შრომითი პროცესი გააგრძელეს ასევე ვაჭრობასა და მომსახურებაში (35,9%), მაღალკვალიფიციურ სამუშაოს შეუდგა მათი 15,4% (განათლების და მეცნიერების სფეროში დასაქმებულია მათი 6,6%, არასამთავრობო ორგანიზაციებში კი- 8,8%). მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სომებს დაბრუნებულ მიგრანტთა 30,4% კვლავ უმუშევარი დარჩა.

ნუბა 3

მიგრაცია დასამიგრის სუვერენიტეტის დაბრუნების შემდგომ



გამოკვლევით გამოვლინდა, რომ საქართველოდან მიგრაციის ვექტორი ძირითადად კვლავ 4 ქვეყნისკენაა მიმართული: საბერძნეთი (23,3%), აშშ (12,4%), გერმანია (10,3%), რუსეთი (10,2%). გამოიკვეთა ახალი მიგრაციული ქვეყნებიც: მაგალითად, იტალია, სადაც ემიგრანტთა 9,8%-ია სამუშაოდ წასული (ძირითადად მომვლელი ქალები), და ეს-პანეთი (5,6%). იტალიაში წასულია თელაველ მიგრანტთა

21%. ეს მიუთითებს ახალი, კარგად ორგანიზებული მიგრაციული არხის გამოჩენაზე. მაგრამ კითხვაზე, თუ ვინ დაეხმარა მიგრანტს დანიშნულების ქვეყანაში გამგზავრების ორგანიზებაში, პასუხთა უმრავლესობაა (52%): „იქ მყოფი აქაური ნაცნობები ან ნათესავები“.

აზერბაიჯანიდან ძირითადად ემიგრირებულნი არიან რუსეთის ფედერაციასა (74%) და თურქეთში (19%). სომხეთიდან კი – რუსეთის ფედერაციაში (52%), აშშ (21%), საფრანგეთში (6%), გერმანიასა (4%) და ევროპის დანარჩენ ქვეყნებში (9%).

რაც შეეხება საქართველოდან ემიგრაციული ცხოვრების ხანგრძლივობას, შრომით ემიგრანტთა 43,6% ბოლო 3 წლის მანძილზეა წასული, აზერბაიჯანიდან - 73,5%, ხოლო სომხეთიდან – 54,7%. 1998-2002 წლებში საქართველოდან წასულია ემიგრირებულთა 56,3%, აზერბაიჯანიდან- 19,6%, სომხეთიდან კი გაცილებით დიდი პროცენტული მაჩვენებლით გამოიჩინა 10 წლითა და მეტი წესის წინ ემიგრირებულთა კონტინგენტი (25,9%).

შრომითი ემიგრაციის ორგანიზების ფორმების ანალიზით დადგინდა, რომ შრომით მიგრანტთა უმრავლესობა ეყრდნობა ნათესავ-მეგობრების (საქართველო- 50,7%, აზერბაიჯანი - 99,8%, სომხეთი- 50,3%) დახმარებას. აღსანიშნავია, რომ სომეხთა 36,3%-მა სრულიად დამოუკიდებლად მოახერხა საზღვარგარეთ წასვლა და სამუშაოს შოვნა. გამოკვლევა უჩვენებს, რომ ნათესაური კავშირები სარგებლობს უფრო მეტი ნდობით სამივე ქვეყნის მოსახლეობაში, ვიდრე ოფიციალური ორგანიზაციები. ამიტომ დასაქმების სააგენტოების მონაწილეობა ემიგრირების ორგანიზებაში უმნიშვნელოა.

ძირითადი მიზეზი საქართველოდან და სომხეთიდან სამუშაოდ წასვლისა არის სამუშაოს უქონლობა (შესაბამისად, 37,3% და 34,8%) და ოჯახისთვის არასაკმარისი შემოსავალი (შესაბამისად, 54% და 31%). კვალიფიკაციის ამაღლები-

სა და განათლების მიღების მიზნით წასულია მიგრანტთა მხოლოდ 5,2% და 3,4%, ყურადსაღებია, რომ მიგრანტთა 5,9%-ისთვის და 13,3%-ისთვის ქვეყნიდან წასვლის მიზეზი არის არსებული არასასურველი სოციალური გარემო და ქვეყნის მომავალზე ხელისჩაქნება.

აზერბაიჯანიდან ემიგრაციის მთავარი მიზეზი ასევე დიდი მასშტაბის უმუშევრობა— 52,3%, აქვე აღსანიშნავია, რომ არასასურველი სოციალური გარემოს გამო ემიგრირებულია და მომავლის უპერსპექტივობით მოტივირებულია აზერბაიჯანელ მიგრანტთა 46,2%.

მიგრანტთა 3/4 კმაყოფილია, რომ მათ აქვთ იმდენი შემოსავალი, რომ სამშობლოში დარჩენილი ოჯახი შეინახონ. ასევე, მათ აიმაღლეს კვალიფიკაცია, ასრულებენ მათთვის პროფესიულად საინტერესო სამუშაოს, ცხოვრობენ სასიამოვნო სოციალურ გარემოში.

აღსანიშნავია, რომ უცხოეთში საკუთარი ბიზნესის წამოწყება შეძლო აზერბაიჯანელთა 34%-მა.

რესპონდენტები აგრეთვე ინფორმირებულნი არიან მიგრანტების უკამაყოფილებაზე: მიგრანტთა ნაწილს აქვს ნოსტალგია სამშობლოში დატოვებული ნათესავების მიმართ. ქართველების 5,6% და სომხების 3,4% გამოთქვამს უკამაყოფილებას მძიმე სამუშაოს გამო, ნაწილი კი— არასაკმარის ანაზღაურებასა და არალეგალობის პირობებში სამუშაოს შოვნის სირთულეზე.

ემიგრანტთა მნიშვნელოვან ნაწილს უხდება გახანგრძლივებული სამუშაო დღით მუშაობა. გამოკვლევით გამოვლინდა, რომ დღეში 8 საათზე მეტხანს მუშაობს მიგრანტთა 30%-ზე მეტი.

დღის განმავლობაში 12 საათზე მეტხანს მუშაობა უწევს იტალიასა და საბერძნეთში წასულ შრომით მიგრანტებს. ისინი ძირითადად დასაქმებულნი არიან ოჯახებში მომვლელად ან მიძად და, შესაბამისად, ვალდებული არიან, მთე-

ლი დღის განმავლობაში შეასრულონ დაკისრებული ფუნქცია. საათობრივი დატვირთვის ნორმა დაცულია მხოლოდ გერმანიაში, საფრანგეთსა და „ევროპის დანარჩენ ქვეყნებში“ (მასში გავაერთიანეთ: შვეიცარია, ბელგია, პოლანდია, ავსტრია, დანია, შვეცია).

შრომითი მიგრანტების კვირის სამუშაო დღეები არაა განსაზღვრული. ხშირია შემთხვევა, როცა ყოველდღიური დატვირთვით მუშაობენ თურქეთში, რუსეთსა და უკრაინაში. კვირაში 6 ან 7 დღე მუშაობს მიგრანტთა 39%.

ოჯახის შემოსავლების სიმცირით სამივე შესწავლილი ქვეყნიდან მკვეთრად გამოირჩევა საქართველო. საქართველოში 300 დოლარამდე თვიური შემოსავალი აქვს ოჯახთა 56%-ს, 500 აშშ დოლარზე მეტი შემოსავალი აქვს მხოლოდ ოჯახთა 17%-ს. მაშინ როცა აზერბაიჯანში 500 აშშ დოლარზე მეტი შემოსავალი აქვს ოჯახთა 63%-ს.

გამოკვლევამ გამოავლინა, რომ ემიგრაციის სურვილი სამივე ქვეყნის მოსახლეობაში საკმაოდ მაღალია: საქართველო— 50,9%; აზერბაიჯანი— 77,2%; სომხეთი— 55,6%.

გამოკვლევით დადგინდა, რომ მიგრაციისადმი მზაობა უახლოეს მომავალში არ შემცირდება, რადგან ის ფაქტორები, რომლებიც მიმზიდველია, ახლო მომავალშიც არ დაკარგავს აქტუალობას. მითუმეტეს, რომ მიგრანტთა 4/5 ქმაყოფილია ემიგრაციით. მათი კმაყოფილება დამატებითი სტიმულია დანარჩენებისათვის, ვინც გეგმავს ან ემიგრაციის სურვილი აქვს, რასაც მოწმობს რესპონდენტთა შეხედულება, რომ შრომითი მიგრაციით იგებენ მიგრანტები, სამშობლოში დარჩენილი მათი ოჯახის წევრები და შრომისუნარიანი მოქალაქეები (მათვის თავისუფლდება სამუშაო ადგილები) და მოგებული რჩება, აგრეთვე, მიმღები ქვეყნის ბიუჯეტი (იაფი სამუშაო ძალის შედეგად).

შრომითი მიგრაციიდან მიღებული სარგებელი ბევრადაა დამოკიდებულია მიგრაციის ორგანიზების ხარისხზე. დაურეგუ-

ლირებული სტატუსის გამო ემიგრანტთა უმრავლესობისთვის შეუძლებელია, მიიღოს შესრულებული სამუშაოს შესაბამისი ანაზღაურება, მოითხოვოს სათანადო შრომის პირობები, ისარგებლოს ოჯახის წევრებისთვის ფულის გადმოგზავნისას ოფიციალური საბანკო არჩებით. ამიტომ აუცილებელია შრომითი მიგრაციის ორგანიზების პროცედურა ხელმისაწვდომი გახდეს მოსახლეობისთვის. შრომის ბაზარსა და ემიგრირების პირობებზე მეტი ინფორმირებულობა, მიგრანტთა ორგანიზებულად გაყვანა ხელს შეუწყობს შრომითი მიგრაციის ეფექტურად განხორციელებასა და განსაზღვრული ვადის შემდგომ ჩვენი მოქალაქეების უკან დაბრუნებას. საჭირო ხდება ემიგრირების ორგანიზებაზე სახელმწიფო კონტროლის გაძლიერება. ხელი უნდა შეეწყოს დასაქმების სააგენტოების ფორმირებას, საქმიანობის ლეგალიზაციას, და ასევე გაფორმდეს შრომითი მიგრაციის სფეროში სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა გარევეული კორექტივები შეიტანა მიგრაციის განმსაზღვრელ მოტივაციაში. ერთერთი მნიშვნელოვანი მიმზიდველობის ფაქტორი - სამუშაო ძალაზე მოთხოვნა პრობლემად იქცა მიმღებ ქვეყნებშიც. ცნობილია, რომ უმუშევრობა, პირველ რიგში, მიგრანტებს შეეხო. ამან კიდევ უფრო გაამწვავა შრომითი მიგრაციის რეგულირების პრობლემა, რაც სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს უბიძგებს, ერთობლივად მიმართონ ძალისხმევა მიგრაციის რეგულირებისაკენ.

Natia Chelidze

**COMPARATIVE STUDY OF MIGRATION IN THE SOUTH
CAUCASIAN COUNTRIES
(Abstracts)**

The conducted research contains 3600 “substitute respondents” in three South Caucasian countries (Armenia, Azerbaijan, Georgia).

The cause of emigration in three countries is of economic nature and it serves as subsistence for the left families members. Employment abroad occurs mainly in the secondary labour market, albeit a part of emigrants managed to develop their own business there. In this respect Azerbaijanians emigration stands out, which creates sufficient capital there to start a small business in their country.

In Georgia's labour emigration the share of those who leave for Russia declines and the share of new migratory streams toward western countries (Italy, Spain) grows. For Azerbaijan Russia represents the major immigration country (74% of the total stream).

A significant part of emigrants abroad works under abysmal conditions. Working day for 30% of them is much longer than it is established by legislation. Frequently they work 6-7 days in a week. This is conditioned by illegal nature of migration and complete social unprotectedness of labour emigrants.

The research found that likelihood of reduction of labour emigration intensity is low in three countries. The primary task is full legalization of emigration.

თამაზ ფუტკარაძე
ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

აჟარიდან გადასახლებულ მიზრანთა რელიგიური ადაკტაციის ზოგიერთი საპიტხი

მიგრაციული პროცესების რეგულირებისა და მართვის პრინციპების განსაზღვრისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება რელიგიურ ფაქტორს. იგი ეთნიკური თვითშეგნების სხვა კომპონენტთან ერთად მნიშვნელოვან როლს ასრულებს და ეთნოსთაშორისო დიფერენციის ერთ-ერთ ფაქტორსაც წარმოადგენს. ამიტომაცაა, რომ მიგრანტთა დამკვიდრებაში რელიგიური ადაპტაციის როლი და მნიშვნელობა განუსაზღვრელია. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულ აქტუალობას იძნეს მთიანი აჭარის სინამდვილეში, რადგან აქაური მოსახლეობა განსხვავდება დანარჩენი ქართველებისაგან რელიგიური კუთვნილებით.

სამცხეში, ჯავახეთში, თრიალეთსა და ქვემო ქართლში ცხოვრობს ეთნოკონფესიური თვალსაზრისით ჭრელი მოსახლეობა: მუსულმანები, ქრისტიანები (მართლმადიდებლები და კათოლიკები), გრიგორიანები და კათოლიკე სომხები, დუხობორები, იუდაიზმის მიმღევრები. ამასთან, ეს რეგიონები სახელმწიფოს სამხრეთ სასაზღვრო ზოლში მდებარეობენ. თურქეთთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან ქართველთა მეზობლობა ყოველთვის იყო აღნიშნულ რეგიონში მოსახლეობის ადგილმონაცვლეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. მკვიდრი მოსახლეობა სამხრეთ საქართველოში რელიგიური უმცირესობის სახითაა წარმოდგენილი.

აჭარიდან ჩასახლებულ მიგრანტებს იდენტური რელიგიური გარემო დახვდათ ქვემო ქართლში და, ნაწილობრივ, დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამთაწყაროში, სადაც სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან ერთად ცხოვრობენ საინგილოდან გადმოსული ქართველებიც. დანარჩენ რეგიონებში აჭარლების

ჩასახლებამდე ძირითადად მართლმადიდებელი მოსახლეობა იყო წარმოდგენილი.

ქვემო ქართლში მნიშვნელოვანი ეთნოკონფესიური ჯგუფია აზერბაიჯანელები. მათ ამ რეგიონში ეთნოკულტურული ადაპტაციის დიდი სტაჟი აქვთ. ისინი თავიდანვე დამკვიდრნენ მსხვილი კომპაქტური ჯგუფების სახით, დაიკავეს პერსპექტიული სასოფლო-სამეურნეო რეგიონი ნოენი მიწებით, შექმნეს ეკონომიკურად ძლიერი დასახლებები და რეგიონისათვის სპეციფიკური კულტურა. მათ იციან, რომ ქვემო ქართლი საქართველოს შემაღებელი ნაწილია, ამიტომაც არ გამოუხატავთ აშკარა პროტესტი ქართველების ჩასახლების წინააღმდეგ, თუმცა იგრძნობა მათი უარყოფითი დამოკიდებულება ამავე რეგიონში ჩასახლებული სვანური მოსახლეობის მიმართ. რაც შეეხება აჭარლებს, ისინი რელიგიურად არ განსხვავდებიან აზერბაიჯანელებისაგან, ამავე დროს, ისინი კომპაქტურად არიან ჩასახლებულნი, რაც წარმატებული რელიგიური ადაპტაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ აზერბაიჯანელებს არ ახასიათებთ იზოლაციისადმი მიღრეკილება. შერეულ სოფლებში (ვაზიანი, მუხროვანი, კრწანისი) იმართება როგორც კულტურული, ისე რელიგიური დღესასწაულები, რაშიც ორივე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები მონაწილეობენ.

აზერბაიჯანელებისაგან განსხვავებით, მკაცრი იზოლაციონიზმით ხასიათდებიან ჯავახეთის რუსები— „სულისათვის მებრძოლი“ დუხობორები, ისინი საუკუნენახევარზე მეტია, რაც იქ ცხოვრობენ და რელიგიურ საფუძველზე ჩამოაყალიბეს ჯანსაღი და ძლიერი დუხობორული თემი, რომლის კარები ჩაკეტილია არადუხობორებისათვის. მათ გაწყვეტილი აქვთ კავშირი ეკლესიასთან, თავიანთ თავს ღვთის რჩეულებად თვლიან და ესწრაფვიან საზოგადოებისაგან იზოლაციას, მათი ეთნიკური თვითშეგნება გადაჯაჭვულია რელიგიასთან და დუხობორობა გააზრებულია, როგორც კონფესიურობის,

ისე ეროვნულობის აღმნიშვნელ ცნებად. ეთნიკურობის მაჩვენებლად იქცა, აგრეთვე, დუხობორთა ჩაცმულობა²⁸, ურთიერთდამოკიდებულების ფორმები, ტრადიციები და ზნე-ჩვეულებები. ბოლო პერიოდის ცნობილი მოვლენების შედეგად დუხობორთა ნაწილი დაბრუნდა რუსეთში, მათ უმრავლესობა მხოლოდ გორელოვაში შეინარჩუნეს, სხვა სოფლებში კი ცოტანი დარჩნენ. დუხობორებში ჩამოყალიბდა დაუცველობის სტერეოტიპი, ეთნიკურობის— დუხობორობის წაშლის შეგრძება, რამაც კიდევ უფრო ჩაკეტა ისინი თავისთავში. დუხობორთა რელიგიური რწმენა-წარმოდგენები მოუღებელი აღმოჩნდა, როგორც სომეხი, ისე ქართველი მოსახლეობისათვის.

სომხები, რომლებიც რეგიონში საკმაო ზანია ცხოვრობენ, წარმოადგენ ეთნორელიგიურ უმრავლესობას. ისინი ვერ ეგუებიან ქართველთა აქ ჩამოსახლებას. ტერიტორიულად სომხები ესაზღვრებიან მათ ძირითად ეთნოსს, საიდანაც იღებენ მატერიალურ და სულიერ დახმარებას — იდეოლოგიურ საზრდოს. მათი რელიგიური ცენტრი არის ეჩმიაძინი, რომელთანაც ინარჩუნებენ მჭიდრო კონტაქტებს. დუხობორთა სოფლებში ჩასახლებული სომხები რელიგიურ დღესასწაულებზე დადიან იმ სოფლებში, საიდანაც გადმოსახლდნენ. ბაგშები მოსანათლაგად ეჩმიაძინებიც კი მიჰყავთ. სწორედ ეჩმიაძინის ხელშეწყობით იქნა შესყიდული სომხური ოჯახებისათვის დუხობორთა სახლები.

ამრიგად, ჩასახლების ადგილებში ერთმანეთის პირის-პირ აღმოჩნდნენ ძირითადად მართლმადიდებელი და მუსულმანი ქართველები, მართლმადიდებელი ბერძნები, გრიგორიანი და კათოლიკე სომხები, მუსულმანი აზერბაიჯანელები და

²⁸ ზუციშვილი ქ. რელიგია პეტეროგენულ საზოგადოებაში, კონფლიქტური სიტუაციები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, თბ., 1998. გვ.66.

რუსი „სულისა და ჭეშმარიტებისათვის“ მებრძოლი დუხობორები (ღვთის ოჩეულნი). ჩასახლებული აჭარლები მცირერიცხოვანი არიან სომხებთან, აზერბაიჯანელებთან და მართლმადიდებელ ქართველებთან შედარებით. აღნიშნულ ეთნოკონფისურ ჯგუფთაგან თავისი რელიგიური თუ სამეურნეო ინტერესებითა და სტრატეგიული მიზნებით აჭარლებს ყველაზე მეტად უპირისპირდებიან სომხები. გასათვალისწინებელია, აგრეთვე, სომქათა დამოკიდებულება საერთოდ მუსლიმანი მოსახლეობის მიმართ.

აჭარლებმა ჩასახლების ადგილებში ჩაიტანეს მუსლიმანური ელემენტები. ზოგიერთ რეგიონში საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფერო, ურთიერთდამოკიდებულების საკითხი რეგულირდება ის-ლამური სამართლის ნორმებით (კიყბო, დერცელი, ზოტი, ჩხაკაურა, ნასაკირალი). ისინი სარგებლობენ ყურანით. მიგრანტთა ერთი ნაწილისათვის სავალდებულოდაა მიჩნეული დღეში ხუთჯერ ლოცვა, რამაზანი, აუცილებელი მოთხოვნაა მამაკაცთა წინადაცვეთა-დასუნათება, ყურბან-ბაირამის დღესასწაულის აღნიშვნა მსხვერპლშეწირვით, რაც ბიბლიური იბრაიმის მიერ შვილის ისაკის მსხვერპლშეწირვას უკავშირდება. სავალდებულოა ამ დღესასწაულის დღეებში მიცვალებულთა საფლავების მონახულება. თუმცა ზოგან ეს წესი არ სრულდება, რადგან ახალ სამოსახლოში არ აქვთ „მეზოლოდები“ (სასაფლაოები). ახალ-ჩასახლებულ მიგრანტთა ერთი ნაწილი თავის მიცვალებულს მიასვენებს პირველსაცხოვრისში. ერთ-ერთ მნიშვნელოვან დღესასწაულად ითვლება მუჰამედის დაბადების დღე. მორწმუნეთა ოჯახში ამ დღის აღსანიშნავად კითხულობენ „მევლუდს“, ლოცულობენ და მოსულ სტუმრებს უმასპინძლდებიან.

დასახელებული და სხვა წესჩვეულებები თუ რელიგიური რწმენა-წარმოდგენები ყველგან არ სრულდება. მას, ძირითადად, უფროსი ასაკის ადამიანები მისდევენ და ისიც ზოგი-

ერთ სოფელში. გარდამნის რაიონის სოფელ მუხროვანში, კრწანისში, ვაზიანში, სადაც აჭარლებთან ერთად ცხოვრობენ აზერბაიჯანელებიც, აღნიშნული წესებიდან მისდევენ მხოლოდ წინდაცვეთას, რასაც ხშირად გამოცლილი აქვს რელიგიური საფუძველი. იგი ჩამოყალიბებული ტრადიციის გავლენით სრულდება. ასევე შეიძლება ითქვას პატარძეულში, ნინოწმინდაში (საგარეჯოს რაიონი), წითელსოფელში, ქინისში, შავშებში (გორის რაიონი), ახალსოფელში (ქარელის რაიონი) და დასავლეთ საქართველოს არაერთ სოფელში ჩასახლებული მიგრანტების მიმართ, რომლებიც ხშირად შეგნებულად არ ასრულებენ მუსლიმანურ რიტუალებს და მხოლოდ იმ წესებს ასრულებენ, რომლებიც ყოფის ძირითად ელემენტებად იქცა. ესაა, დაკრძალვის წესები და წინადაცვეთა, რაც მათში უკვე აღარ აღიქმება, როგორც რელიგიურის კუთვნილება და აჭარლების „მაიდუნტიფიცირებელ“ ნიშნად განიხილება. აღნიშნული რიტუალები ხელს უწყობს განსხვავებულობის სტერეოტიპის ჩამოყალიბებას, რაც გარკვეულ ფსიქოლოგიურ ბარიერს ქმნის სხვა კონფესიის ადამიანებთან ურთიერთობისას.

შუახანს გადაცილებული ადამიანებისათვის მიუღებელია ქრისტიანული რელიგიის ნორმები, ისინი განაგრძობენ ისლამის სამსახურს, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ანალოგიურ მომენტებს თ. ოჩიაურმაც მიაქცია ყურადღება²⁹. მიგრანტთა ნაწილი, განსაკუთრებით ახალგაზრდები ინდიუერენტულად არიან განწყობილნი როგორც ქრისტიანობის, ისე ისლამის მიმართ, რაც გარკვეულწილად საბჭოთა პერიოდის იდეოლოგიური ნორმების ანარეკლიცაა. გამოკითხულ მიგრანტთა 31% გარდამნის რაიონში, 34% ქარელისა და გორის

²⁹ ხუციშვილი ქ. რელიგია პეტეროგენულ საზოგადოებაში, კონფლიქტური სიტუაციები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, თბ., 1998. გვ.84.

რაიონებში, 22% სამცხე-ჯავახეთში ქრისტიანული ზნეობის ნორმებით ზრდიან თავიანთ შვილებს. გარდაბნის რაიონის სოფელ ვაზიანში აჭარლებს დაკრძალვის დროს არ აქვთ ცალკე სასაფლაო და სოფლის საერთო სასაფლაოთი სარგებლობენ. მასიური ხასიათი აღარ აქვს ისლამური რიტუალების შესრულებას. ტრანსფორმაცია განიცადა დაკრძალვის რიტუალის ელემენტებმა. მაგალითად, ვაზიანში ჩასახლებული მიგრანტები საფლავის შიგა კედლებს ამოყორავენ შშრალი ქვის წყობით და ზემოდან ქვის ბრტყელ ფილებს აფარებენ, რომელზეც ეყრება მიწა. საფლავში უკვე აყოლებენ ხის კუბოებს. ამ სოფელში დავიწყებას მიეცა საფლავში ე.წ. „მერთექების“ (თხმელის ძელები) გამოყნება.

ერთიანი სასაფლაო აქვთ ლაგოდებშიც, სადაც დასაფლავება ცალკეულ შემთხვევაში ხდება ადგილობრივი ტრადიციების მიხედვით. სოფ. სამღერეთში (თეთრიწყაროს რაიონი), დისველში (ბოლნისის რაიონი) და აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ დასახლებაში მიგრანტებმა გახსნეს ცალკე სასაფლაო, სადაც ხდება, ძირითადად, ახალგაზრდა ასაკის მიცვალებულთა დაკრძალვა, ხოლო მოხუცებს მიასვენებენ პირველსაცხოვრისში.

ნიშანდობლივია ისიც, რომ დაკრძალვასთან დაკავშირებული ცალკეული ელემენტები მისაღები და მოსაწონი აღმოჩნდა დამხვდურთა ერთი ნაწილისათვის (კერძოდ, საფლავში ხის ძელების გამოყნება). ჩასახლების რეგიონებში დასტურდება ასაკოვანი ადამიანების რელიგიური ტრანსფორმაციის ერთეული შემთხვევებიც, რასაც მოჰყვა მუსულმანთა უარყოფითი რეაქცია. აღიგენის რაიონის სოფელ ზარზმაში სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე გაქრისტიანებული ასაკოვანი ადამიანი მუსულმანთა წინააღმდეგობის გამო ვერ დაკრძალეს „აჭარელთა სასაფლაოზე“. დასაფლავება მნიშვნელოვანი ემოციურ-ფსიქოლოგიური დატვირთვის მქონე რიტუალია და, ბუნებრივია, ყველა ეთნოკონფესიურ ჯგუფში განსხვავებულია

დაკრძალვასთან დაკავშირებული რიტუალები: მისამძიმრების ფორმა, დატირება, მიცვალებულის დასვენების ადგილი, მაგრამ შეინიშნება გარეგანი, სანახაობითი ელემენტების ტრანსფორმაცია, გამოიკვეთა საერთო ტენდენციებიც – ფულადი დახმარების გაწევა, ქელები, რაც ისლამური დოგმების მოხედვით იკრძალებოდა. ზოგან (გურიაში, სამცხეში, ქართლში, კახეთში) ქრისტიანული დღესასწაულები საერთო ზეიმად იქცა.

საბჭოთა პერიოდის ათეიისტურმა პროპაგანდამ და რელიგიის დევნაშ მოსახლეობას შეურყია მრწამსი, გაბატონდა რელიგიური ონდიფერენტიზმი. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი იყო აჭარაში. ისტორიულმა ბედუკულმართობამ აქაურებში გაორებული სტერეოტიპების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი, აჭარლებში მაღალი იყო ეთნიკური თვითშევნება. მათ იცოდნენ, რომ წინაპრები ძალით გაამუსლიმანეს, ამავე დროს, უფროსი თაობის ადამიანები ჩაგონებდნენ ისლამს. ასეთ პირობებში კარგად იმუშავა საბჭოურმა ათეიისტურმა მექანიზმა და ხელი შეუწყო რელიგიური ონდიფერენტიზმის გაძლიერებას. ფაქტობრივად, რელიგია თავიდან იკიდებს ფეხს, ამიტომაცაა საჭირო სიფრთხილე და მეცნიერულად გააზრებული პროგრამის შემუშავება, რათა განსახლების რეგიონებში შეიქმნას ქრისტიანობის აღიარებისათვის შესაფერისი გარემო და პირობები. ასეთ პოლიტიკას დიდი ხანია ატარებენ სომხები. ეწმიამინი მატერიალურადაც ეხმარება როგორც კათოლიკე, ისე გრიგორიან სომხებს, ხელს უწყობს მათ სხვათა ტერიტორიაზე დამკიდრებას, შობადობის სტიმულირებას. რაც შეეხება დუხობორებს, ისინი დღეს თვითგადარჩენისათვის იბრძვიან, კონფესიური კუთვნილება მათვის ეთნიკურობის გამომხატველიც გახდა.

აზერბაიჯანელ მოსახლეობაში რელიგია მათი სოციალური ჯგუფის არსებობა-არარსებობაზე ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს, რადგან რელიგია მათთვის არაა ეთნიკურობის

გამოხატულება. გარდა ამისა, ისინი ცხოვრობენ კომპაქტურად და თავიანთი ეროვნული თუ რელიგიური ინტერესების დასაქმაყოფილებლად წინააღმდეგობები პრაქტიკულად არ ხვდებათ. აჭარლები კი ნაწილობრივ იცავენ (ზოგიერთი რაიონისა და სოფლის გამოკლებით) ისტამის ნორმებს, ზოგჯერ გაუცნობიერებლადაც, რადგან წინაპართაგან მიღებული ცალკეული ელემენტი ყოფაში გადავიდა და ტრადიციად იქცა. ქართველებით თხლად დასახლებულ რეგიონებში (თრიალეთი, ჯავახეთი) აჭარლებმა შეიძინეს კონფესიურობის თვისებები, რაც თვითდამკვიდრებისა და ბრძოლისუნარიანობის გაძლიერების ერთერთი წინაპირობაა. ჩასახლებული აჭარლები პატივს სცემენ და მონაწილეობენ კიდეც დამშვერთა რელიგიურ დღესასწაულებში. საინტერესო მონაცემები დავაფიქსირეთ წალკის რაიონის სოფელ ხარაბაში, სადაც აჭარლებმა ბერძნების რელიგიური დღესასწაულის დღე მათდამი პატივისცემის გამოსახატავად უქმედ გამოაცხადეს და თავადაც მიიღეს მასში მონაწილეობა.

ირკვევა ერთი მნიშვნელოვანი კანონზომიერებაც: მართლმადიდებელი ქართველებისაგან აჭარელთა რელიგიური განსხვავებულობა გაუგებარია არაქართველი მოსახლეობისათვის. ამის გამო მათი ერთი ნაწილი აჭარლებს მიიჩნევს არაქართველი წარმოშობის ეთნიკურ ჯგუფად. სომხებით დასახლებულ რეგიონებში შეგნებულად მიმდინარეობს აღნიშნული სპეციფიკის წინა პლანზე წამოწევა, რათა ერთმანეთს დაუბირისპირონ რელიგიური კუთვნილებით განსხვავებული ქართველები, მაგრამ მაღალი ეთნიკური თვითშეგნება გამორიცხავს ასეთი დაპირისპირების შესაძლებლობას. თვითდამკვიდრებისათვის ბრძოლის ინსტიტი, ბრძოლისუნარიანობა, დარაზმულობა და ურთიერთმხარდაჭერის უნარი მნიშვნელოვანი ფაქტორია აჭარელთა წარმატებული ადაპტაციისათვის.

სახელისუფლებო სტრუქტურების ელემენტარული ყურადღება ხელს შეუწყობს ჭრელ ეთნოკონფესიურ რეგიონებ-

ში პოლიტიკური თუ ფსიქოლოგიური პრობლემების დაძლევასა და მიგრანტთა საბოლოო დამკვიდრებას. აღსანიშნავია ისიც, რომ აჭარლები ტოლერანტული ბუნებით გამორჩეული ეთნოგრაფიული ჯგუფია. აკულტურაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი კი არის ეთნოკონფესიური ჯგუფების შემწყნარებლობა. ჩასახლების რეგიონებში რელიგიურ ნიადაგზე არც ერთი გაუგებრობა არ მომხდარა, მაგრამ ეთნოკონფესიური სიჭრელე სახელმწიფოს მხრიდან მაინც მოითხოვს გააზრებულ მიდგომას, სახელმწიფო ინტერესების დაცვას, მშვიდობიანი თანაცხოვრებისათვის შესაბამისი პირობების შექმნას. ასეთი მიდგომა თავიდან აგვაცილებს შესაძლო გაუგებრობებს და ხელს შეუწყობს სხვადასხვა ეთნოკონფესიური ჯგუფების მშვიდობიან ინტეგრაციას.

ამრიგად, საქართველოს სხვადასხვა რაიონში ჩასახლებული აჭარლები განსხვავდებიან დამხვდური მოსახლეობისაგან რელიგიური კუთვნილებით. ზოგიერთ რეგიონში მათ უხდებათ ცხოვრება ჭრელ ეთნოკონფესიურ გარემოში, სადაც მათ შეძლეს ისლამისათვის დამახასიათებელი ცალკეული ელემენტების თუ რელიგიური დღესასწაულების გადატანა. მაგრამ მიგრანტთა ნაწილში მუსულმანურმა წარმოდგენებმა განიცადა გარკვეული ტრანსფორმაცია და დაუახლოვდა დამხვდურთა რელიგიურ რიტუალებს. ზოგიერთი ქრისტიანული დღესასწაული კი ცალკეულ რეგიონებში საერთო დღესასწაულად იქცა.

Tamaz Putkaradze

**SOME ISSUES OF RELIGIOUS ADAPTATION
FOR MIGRANTS FROM ADJARA
(Abstract)**

In the process of defining the principles for regulation and ruling of migration processes the religious factor have the crucial importance.

Adjarian people established in different regions of Georgia differ from the local settlement with their religious concepts. In some regions they have to live in motley ethnoconfesional surroundings, where they used to take some separate elements of Islam or some religious occasion, but for the part of the migrants Moslem religious concepts as the result of transformation became close to the religious rituals of local inhabitants and some Christian holidays even became the public holidays in some regions.

ელგუჯა მენაბდიშვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი
თამარ შინჯიაშვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი
თამაზ ზუბაძეშვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი
ლამარა ბერიძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

ემიბრაციული პროცესები თბილისში (ცოციოლოგიური გამოპვლება)

საკუთარი ქვეყნის გარეთ საცხოვრებლად ან სამუშაოდ წასვლას ყოველთვის ჰქონდა ადგილი, მაგრამ ცივილიზაციის განვითარების დღევანდელმა დონემ მას ფართო მასშტაბი მისცა. იგი თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემაა და მნიშვნელოვანი რეგიონული თავისებურებებით ხასიათდება. ამ სპეციფიკის დადგენის მიზნით საქართველოს განათლების სამინისტროს დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის თანამშრომლებმა 2008 წელს შეისწავლეს ემიგრაციის ზოგიერთი ასპექტი თბილისში. ჩატარდა სოციოლოგიური გამოკვლევა, რომელმაც მოიცვა 802 რესპონდენტი.

ინფორმაციის მოსაპოვებლად გამოიკითხა ის ადამიანები, ვინც საზღვარგარეთ წასული ჩვენი თანამებამულის ოჯახის წევრები, მეგობრები, ნათესავები და ახლობლები არიან და ფლობენ ინფორმაციას ემიგრაციის შესახებ.

ანკეტაში გაერთიანდა კითხვები ასაკის, განათლებისა და ოჯახური მდგომარეობის, დასახული მიზნის განხორციელების, იმიგრაციის ქვეყნებში მიგრაციის ხანგრძლივობის, საქმიანობის, საბინაო უზრუნველყოფის, შრომის ანაზღაურე-

ბის, სამშობლოში ფულადი გზავნილების, მისი გამოყენების და ა.შ. შესახებ.

გამოკითხულებმა ემიგრაციაში წასვლის სხვადასხვა მიზეზი აღნიშნეს. ყველაზე მრავალრიცხოვანმა ნაწილმა საზღვარგარეთ წასვლა ახსნა ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების სურვილით (40,8%) და უმუშევრობისგან თავის დაღწევის მიზნით (31,6%). მეათედზე მეტი (12,3%) საზღვარგარეთ წავიდა განათლების მისაღებად. 8,3%-მა ოჯახის ფიზიკურად გადარჩენისთვის დატოვა სამშობლო, 7,9%-მა კი სამშობლოში ვერ დაინახა პერსაქტივა. 7,8% წავიდა საზღვარგარეთ ოჯახის წევრებთან გაერთიანების სურვილით. 3,6% საზღვარგარეთ წავიდა ქვეყანაში არსებული პოლიტიკური მდგომარეობის გამო.

საზღვარგარეთ ცხოვრების სურვილი და ოჯახის წევრებთან გაერთიანება წარმოადგენს ადამიანების სრულიად გასაგებ განწყობას – ბუნებრივი ცხოვრების პირობებისკენ სწრაფვა. იგი რესპონდენტთა მეათედს ახასიათებს (10,3%).

ამრიგად, სამშობლოში არსებული მატერიალური პირობები ემიგრანტთა ოთხ მეხუთედს (80,7%) უცხოეთში წასვლას უბიძგებს.

რა პრობლემები გადაჭრეს ემიგრანტებმა ემიგრაციაში წასვლით?

დადგინდა, რომ ემიგრანტებმა შეძლეს ისეთი პრობლემების გადაჭრა, როგორიცაა: ოჯახის საარსებო პირობებით უზრუნველყოფა (41,7%), ვალების დაბრუნება (22,9%), ბინის შეძენა (22,7%), უმაღლესი განათლებისათვის აუცილებელი თანხით ოჯახის წევრების უზრუნველყოფა (18,1%). აუცილებელი სამედიცინო მომსახურების ოჯახისათვის ხელმისაწვდომობა (12,9%), მსუბუქი ავტომანქანის შეძენა (16,4%). ამავე დროს, საყურადღებოა, რომ ემიგრანტთა ნაწილმა ვერ შეძლო ზემოთ ჩამოთვლილი რომელიმე პრობლე-

მის გადაჭრა (8,9%), ნაწილმა სხვა პრობლემები გადაჭრა (11,8%).

ემიგრაციაში წასულთა ასაკი ყველა ასაკობრივ ჯგუფს მოიცავს. 20 წლამდე ასაკისაა 3,2%, 20-29 წლის ასაკის 30,2%, 30-39 წლის ასაკის 25,9%, 40-49 წლის – 24,1%, 50-59 წლის – 12,7%, 60 წელი და მეტის – 3,9%.

ეს იმას ნიშნავს, რომ ემიგრაციაში წავიდა ჩვენი ქვეყნის აქტიური, მაღალი შრომითი პოტენციალის მქონე ადამიანთა ერთობლიობა..

ემიგრანტთა განათლების დონე მაღალია. მათ ნახევარზე მეტს (53,9%) უმაღლესი განათლება აქვს, 12,6% კი – დაუმთავრებელი უმაღლესი. ანუ ემიგრანტთა ორი მესამედი მაღალი ინტელექტუალური პოტენციალის მქონეა. სამწუხაროა, რომ თავისი უნარების შესაბამისი საქმიანობა მნიშვნელოვანი ნაწილისთვის საქართველოშიც მიუწვდომელი იყო. მხოლოდ 25,3% ეწეოდა გონიერივ შრომას, 37,4% კი დაუსაქმებელი იყო, 10,6% სწავლობდა, ხოლო 26,7% ფიზიკურად მუშაობდა.

ემიგრანტთა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი (31,3%) უცხოეთში არალეგალურად იყო შესული.

სხვა ქვეყანაში ცხოვრება, შრომა არაა და არც შეიძლება იყოს საკუთარი ქვეყნის ანალოგიური – ყველა ქვეყნას აქვს ურთიერთობის ნორმების, წესების, ტრადიციების, ქცევისა და მოლოდინების სტანდარტები. ნათესაური და მეგობრული გარემოს მოლოდინები, ქცევისა და ურთიერთობის სტანდარტები ყველა ქვეყანაში სპეციფიკურია. აღნიშნული და სხვა ანალოგიური თავისებურებანი ემიგრანტის ცხოვრების შებოჭილობას განაპირობებს. ისინი დაძლევადნა, ოღონდ მათი დაძლევა წლების შემდეგაა შესაძლებელი.

რა პრობლემები წამოიჭრა ემიგრანტების წინაშე საზღვარგარეთ?


უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია მოქალაქეობის მიღებასთან (18%), ოჯახურ და ნათესაურ ურთიერთობებთან (21,0%), სამუშაოზე მოწყობასთან (10,3%), შრომის ანაზღაურებასთან (10,0%) და შრომის პირობებთან დაკავშირებული პრობლემები.

უფრო მცირე ნაწილმა მიუთითა პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფო ენის არცოდნასთან (6,4%), დოკუმენტაციის გაფორმებასთან (5,2%) და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობასთან (5,1%). აღნიშნული პრობლემების გავრცელების მასშტაბები მინიმუმამდე შემცირდებოდა ადამიანები საზღვარგარეთ წასვლამდე გარკვეულ მომზადებას რომ გადიოდნენ და იღებდნენ ინფორმაციას მიმღები ქვეყნის სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობებზე, შრომითი ხელშეკრულების დადებისა და დაცვის მოთხოვნებზე, წესებსა და ნორმებზე; ითვისებდნენ სახელმწიფო ენის ცოდნის მინიმუმს; ეუფლებოდნენ იქაური ყოფის, შრომისა და ცხოვრების შესახებ აუცილებელ ელემენტარულ ცოდნას.

გამოკვლევის მიხედვით, ყველაზე მრავალრიცხოვანი აღმოჩნდნენ სამ ქვეყანაში მყოფი ემიგრანტები. ეს ქვეყნებია: რუსეთი (21,7%), საბერძნეთი (17,3%) და აშშ (16,0%). მათ ჩამორჩებათ გერმანიაში (8,0%), ესპანეთში (7,0%), იტალიაში (5,5%) და უკრაინაში (5,1%) მყოფი ემიგრანტები (დიაგრამა 1).

დიაგრამა 1

**შრომით ემიგრაცითა განაზილება ემიგრაციის ძველების
მიხედვით (პროცენტობით) ჯამითან**



გამოკვლევის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ემიგრაციაში წასვლის დრო ერთი და ორი წლით არ იფარგლება. გამოკვლეულ ემიგრაცითა მხოლოდ ყველაზე მცირე ნაწილი (3,7%) საზღვარგარეთ წავიდა 2008 წელს, 10,1%— 2007 წელს, 8,2%— 2006 წელს, 7,2%— 2005 წელს, 7,4%— 2004 წელს, 8,1%— 2003 წელს, 5,9%— 2002 წელს, 6,5%— 2001 წელს, 9,9%— 2000 წელს, 4,2%— 1999 წელს, 7,9%— 1998 წელს, 4,1%— 1997 წელს, 2,4%— 1996, 5,5%— 1995 წელს, 7,7%— 1994 წელს და უფრო ადრე. ემიგრაციაში ცხოვრების ორ და მეტი წლის გამოცდილება აქვს ჩვენს მიერ შესწავლილი ემიგრანტების ოთხ მეზოთედზე მეტს. ეს იმას მოწმობს, რომ მათ ყოფასა და ცხოვრებაში ისე ღრმად ჩაჯდა იქაური ცხოვრებისა და ყოფის წესები და ნორმები, მოლოდინები და ცხოვრების სტანდარტები, რომ უცხო ქვეყანასთან ადაპტაციის გამო უსია-

მოვნო გრძნობა – ემოციური მდგომარეობა მხოლოდ მოგონებებს შემორჩა.

გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ საქმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი საზღვარგარეთ არალეგალურად იმყოფება, ეს კი ემიგრანტის უფლებების დაცვის მყარ შესაძლებლობას გამორიცხავს, განსაკუთრებით კი – შრომითი უფლებების დაცვას, რაც კიდევ უფრო ამბიმებს მის მდგომარეობას.


გამოკვლევით გამოვლინდა ემიგრანტების მიერ შესრულებული კონკრეტული საქმიანობები. დადგინდა, რომ მათი მეხუთედზე მეტი (22,3%) ძიძაა ან დავრდომილის, მოხუცის და ბაგშვის მოვლითაა დაკავებული. მეათედზე მეტი (12%) მომსახურების სფეროშია დასაქმებული, მეათედზე ნაკლები ეწევა საკუთარ ბიზნესს (9,2%). მშენებლობაზე ფიზიკურად შრომის 8,9%. სამრეწველო წარმოებაში დასაქმებულია 7,2%, სწავლობს და შრომის 7,7%, დამხმარე ან სეზონურ მუშად მუშაობს 5,6%, ვაჭრობის სფეროში დასაქმებულია 5,5%. თავისი სპეციალობით საქმიანობს 5,1%, სამედიცინო სფეროშია დასაქმებული 3,0%, სწავლობს 3,1%, მძღოლია 1,1%, ლექტორია უმაღლეს სასწავლებელში 1%, ქურდობს 0,6%, სხვა საქმიანობას ეწევა 3% (დიაგრამა 2).

აღსანიშნავია, რომ ადამიანები, რომლებიც საკუთარი ბიზნესით არიან დაკავებულნი, უმეტესად არიან უმაღლესი და დაუმთავრებელი უმაღლესი განათლებით, უფრო მცირეა სპეციალური და საშუალო ზოგადი განათლების მქონენი. ხოლო ის ქვეყნები, სადაც ისინი საკუთარ ბიზნესს ეწევიან, არის: რუსეთი (წასულთა 20,7%), უკრაინა (19,5%), ავსტრია (12,5%), საფრანგეთი (7,7%), აშშ (2,7%).

საბერძნეთში, თურქეთში, იტალიაში, ისრაელსა და აშშ-ში საქმიანობის უპირველესი სახეა ძიძად, მომვლელად მუშაობა, პოლანდიასა და გერმანიაში – სწავლისა და მუშაობის შეთავსება, ესპანეთში, პორტუგალიასა და კანადაში –

მშენებლობაზე მუშაობა, რუსეთსა და უკრაინაში – საკუთარი ბიზნესი.

დიაგრამა 2
შრომითი ემიგრაციაშის განაწილება
საქართველოში სამშიანობის მიხედვით (%)



როგორია ის ანაზღაურება, რომელსაც ემიგრანტები თავიანთი შრომითი საქმიანობისათვის იღებენ?

ყველაზე მრავალრიცხოვანი აღმოჩნდა ემიგრანტთა ის ჯგუფი (26,3%), რომელთა თვიური ანაზღაურება 501-1000 დოლარია. უფრო მაღალი ანაზღაურება (1001-1500 დოლარამდე) აქვს ემიგრანტთა 17,1%-ს. ყველაზე დაბალი ანაზღაურება (500 დოლარი) აქვს ემიგრანტთა 7,5%-ს.

სამშობლოსთან ემიგრანტის კავშირურობის მატერიალურ-ფინანსური და სოციალურია. ოჯახს მატერიალურ-ფინანსურ დახმარებას უწევს ემიგრანტთა 72,3%, არ უწევს – 17,8%.

ემიგრანტთა შემოსავალი სამშობლოში დარჩენილი ოჯახის წევრების არსებობის ძირითადი წყაროა. ოჯახების

34,3%-ისათვის ფულადი გზავნილების გარდა სხვა ფორმითაც ხორციელდება ოჯახის აუცილებელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

ემიგრანტის ყოფა-ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა მისი ბინით უზრუნველყოფა. რესპონდენტთა ინფორმაციით, ემიგრანტების ნახევარი (50,8%) ცხოვრობს ქირით, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი ყოველთვიური გამომუშავების არცთუ უმნიშვნელო ნაწილი საცხოვრებელი ბინის ქირის-თვისაა გამიზნული. რესპონდენტების ინფორმაციით ემიგრანტების მეხუთედზე მეტი (21,2%) ცხოვრობს იმავე ოჯახში, სადაც მუშაობს. ემიგრანტთა 15% საკუთარ ბინაში ცხოვრობს, ე.ი. ყველა სხვა ემიგრანტისგან განსხვავებით ბინის მფლობელია. საკუთარი ბინის შეძენა შესძლეს ემიგრანტებმა რუსეთში, აშშ-ში, ესპანეთში, უკრაინაში, ჰოლანდიაში, საბერძნეთში, ინგლისში, გერმანიაში, ავსტრიაში, ირლანდიაში, კანადაში და ისრაელში.

რესპონდენტთა თითქმის ნახევარმა (47%) აღნიშნა, რომ მიმღებ ქვეყანაში არ ირღვევა ემიგრანტის ცხოვრებისა და მუშაობის უფლებები, ხოლო მეათედზე მეტმა კი (11,2%) მიუთითა, რომ იმიგრაციის ქვეყანაში აღნიშნული უფლებები ირღვევა.

გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ემიგრანტი მის წინაშე წამოჭრილი, პრობლემებთან, უმეტეს შემთხვევაში, თავისი თავისა და მეგობარ-ნაცნობების ამარა რჩება. 2/5-ზე მეტმა (42%) აღნიშნა, რომ პრობლემების მოგვარებაში ექმარებიან ნაცნობ-მეგობრები, ნაწილმა (6%) აღნიშნა, რომ ემიგრანტს იქ არავის იმედი არა აქვს. უცხო ქვეყნაში სოციალური, კულტურული და ლინგვისტური შეგუების შესახებ რესპონდენტთა უმრავლესობამ (87,2%) დადებითად უპასუხა – ემიგრანტები ადგილობრივ პირობებს კარგად (37,9%) ან და-მაკმაყოფილებლად (49,3%) შეეგუენ. მცირე ნაწილი ცუ-

დად შეეგუა (7,7%), ხოლო რესპონდენტთა 3,6%-ს ამ საკითხზე ინფორმაცია არ ჰქონდა.

როგორია ემიგრაციაში მყოფთა საქართველოსთან მომავლით უთიერთობების პერსპექტივა?

გამოკვლევით დადგენილია, რომ უცხოეთში სამუშაოდ მიმავალ ადამიანთა უმრავლესობა იქ შემდგომი ცხოვრების გაგრძელებას არ გეგმავს, თუმცა მაინც თუ ყველა არა, ნაწილი იქ რჩება, ქმნის ოჯახსა და შთამომავლობას. გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ მხოლოდ ემიგრანტების მესამედს (31,9%) აქვს სამშობლოში დაბრუნების მტკიცე გადაწყვეტილება, მეხუთედს (20,2%) ჯერ საბოლოოდ არ გადაწყვეტია დაბრუნება. ემიგრანტთა 15,5%-ს კი საბოლოოდ აქვს გადაწყვეტილი, რომ შემდგომში სამშობლოში არ დაბრუნდება. სამშობლოში მხოლოდ დროებით ჩამოსვლას გეგმავს ემიგრანტების მეხუთედზე მეტი (23,3%).

მიგრანტების გავლენა თავისი ქვეყნის ცხოვრებაზე დიდია. ისინი არც თუ იშვიათად თავიანთი ცხოვრებითა და მოქმედებით ხელს უწყობენ ნათესავების, მეგობრებისა თუ ნაცნობების ემიგრაციაში წასვლას. ეს ვლინდება ემიგრაციაში წასვლის მსურველებისათვის დახმარებითა და, რაც მთავარია, ასეთი სურვილის გაღვიძებით. გამოკითხვამ გვიჩვენა, რომ ემიგრანტების 52,4%-მა დახმარება აღმოუჩინა ადამიანებს საქართველოდან ემიგრაციაში წასვლის განზრახვის განხორციელებაში. ემიგრანტების 17,1%-ის დახმარებით საქართველოდან ემიგრაციაში წავიდა ერთი კაცი, 16,8%-ის დახმარებით – ორი კაცი, 9,5%-ის დახმარებით – სამი, 4,9%-ის დახმარებით – ოთხი და 4,1%-ის დახმარებით – ხუთი კაცი.

გამოკვლევამ შესაძლებლობა მოგვცა გაგვერკვია პოტენციური ემიგრანტების რაოდენობა ჩვენს მიერ გამოკვლეულ ერთობლიობაში. აღმოჩნდა, რომ რესპონდენტთა 27,3%-ს გადაწყვეტილი აქვს საზღვარგარეთ წასვლა, 24,9%-ს ეს

საკითხი ჯერ არ გადაუწყვეტია, ხოლო 46,1% არ აპირებს საზღვარგარეთ წასვლას.

ამრიგად, საზღვარგარეთ შრომით ემიგრაციას თუ მხოლოდ ეკონომიკური ასპექტით შევაფასებთ, იგი უაღრესად დაღებითი მოვლენაა. ადამიანები, რომლებიც სამშობლოში მოკლებულნი არიან სამუშაოს, უცხოეთში მას იღებენ ისეთი ანაზღაურებით, რომელიც სამშობლოში სანატრელია. თუმცა მიმღები ქვეყნის შრომითი ანაზღაურების სისტემაში იგი ყველაზე დაბალ საფეხურზეა. იმ ქვეყნის ყველაზე მცირე შრომითი ანაზღაურების მიუხედავად ემიგრანტების უმეტესობა ინახავს აქაურ ოჯახს, იძენს ბინას, ავტომანქანას, აფინანსებს შვილების უმაღლეს განათლებას და ოჯახის წევრთა აუცილებელ სამედიცინო მომსახურებას. ემიგრაციას დაღებითი შედეგები აქვს სახელმწიფოს ფინანსური გაძლიერების თვალსაზრისითაც – შრომით ემიგრაციაში წასულთა ფულადი გზავნილებით საქართველო რამდენიმე ასეულ მილიონ დოლარს იღებს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანი არის არა მხოლოდ ეკონომიკური სუბიექტი, არამედ ეთნიკური სუბიექტიც. ეკონომიკურთან ერთად, შრომით ემიგრაციას აქვს ეთნიკური შედეგიც, რომელიც ცალსახად უარყოფითია, განსაკუთრებით კი ისეთი ქვეყნისთვის, სადაც ინტენსიური დეპოპულაციაა. ინტენსიური ემიგრაციული პროცესი ფიზიკური და კულტურული უწყვეტობის პროცესზე ნეგატიურ გავლენას ახდენს.

*Elguja Menabdishvili, Tamar Shinjashvili
Tamaz Zubiashvili, Lamara Beridze*

**EMIGRATION PROCESSES IN TBILISI
(Sociological Research)
(Abstract)**

Some aspects of emigration were studied by the sociological research held in Tbilisi in 2008. Over 800 people were asked, especially family members, friends and relatives of emigrants. The questionnaire helped us to define emigrants' sex, age, education, family status, purpose of emigration, time of departure, recipient country, occupation, housing welfare, salary payment, help of family members, character and decision of existing problems, assistance of their family members, acquaintances and friends abroad.

Following the research, there were defined the following results:

1. 80,7% of emigrants went due to an unemployment and abysmal economic conditions, 12,3% - to get education, 3,6% - because of existing political situation, 7,8% - to join their family members.

Going abroad they solved the following problems: they solved the crucial family problems (41,7%), returned the debts (22,9%), bought an apartment (22,7%), financed higher education of their children (18,1%) and medical services of the family (12,9%), bought a car (16,4%), solved other problems (11,8%). 8,9% couldn't solve any of these problems.

59,3% of the emigrants are under the age of 40. 55,5% are women, 35% are single. 53,9% are with higher education, 12,6% are with incomplete education.

3. 22,3% of emigrants are nurses of the sick, the old and the children. 12,0% - are employed in service sphere, 9,2% - lead his/her own business, 8,9% - work in construction sphere, 7,2% - in manufacture, 7,7% -studies and works, 5,6% - are auxiliary or seasonal workers, 5,5% are employed in trade sphere, 5,1% work by their specialty, 3,0% - are employed in medical sphere, 3,1% study, 1,1% teach at universities, 3,0% lead other activities, 6,1% have no information about the emigrants' activities. Mainly, the emigrants with

higher and secondary special education have their own business. They are in Russia, the U.S., Ukraine, Greece, Italy, Germany, Austria, France and England.

In respondents opinion (26,3%) emigrants' monthly salary is 501-1000 \$, in 17,0% opinion – 1001-1500 \$, 7,5% - 500 \$.

72,3% of emigrants help their families financially, 17,8% don't help. 9,8% of respondents have no information on this question. In the respondents' opinions (23,9%) remittances is the main financial source of the family.

50,8% of emigrants live in rented houses, 4,5% live with their relatives, 21,2% live and in the families where they work. Only 15% of emigrants have their own flats.

42% of emigrants enable solving the problems with their friends' assistance. 9,2% appeal to consulate, 31% have no information about it, in 6% of respondents' views, emigrants have nobody to approach for assistance.

87,2% of emigrants adapted to local conditions well or satisfactory, 7,7% - bad.

Only 31,9% of emigrants have desire to return home, 20,2% have not decided yet, and 15,5% will not return. 23,3% are going to return temporarily.

Emigrants help their family members and friends in going abroad. With the help of 420 emigrants departed abroad 956 people. 27,3% of respondents have decided to migrate. They even named the countries where they have decided to depart.

We should not evaluate only positive side of emigration. From the economic point of view it has positive sides for emigrants and the country by no means, because of systematically transferring remittances, but it is rather negative from economic point of view because of reduced physical and cultural reproduction of population.

მზა შელია
გეონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი
მარიამ გუგუტიშვილი
თხუ გეონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტი

ცხინვალის ობიორნიდან დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური პროგლემები

XX საუკუნის ბოლო კაცობრიობის ისტორიაში შევიდა, როგორც იძულებითი მიგრაციის ეპოქა. სტიქიურმა უბედურებებმა, ეპიდემიებმა, ომებმა და ეთნოკონფლიქტებმა უზარმაზარი მიგრაციული ნაკადი წარმოშვა. მისი ინტენსიურობა არ კლებულობს. მაგალითად, ცნობილია, რომ XX საუკუნის 80-იან წლებში 70-იან წლებთან შედარებით ევროპაში ლტოლვილთა რიცხვი 3-ჯერ გაიზარდა, ხოლო 1992 წელს ბოლო 50 წლის მაქსიმუმს მიაღწია (700 ათასი კაცი).³⁰

1990-იან წლებში რუსეთის მიერ აფხაზეთსა და სამარიაბლოში განხორციელებული ეთნოწმენდის გამო საქართველოც დევნილთა ქვეყანა გახდა. 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომმა მათი რაოდენობა კიდევ უფრო გაზარდა და 138 ათასი საქართველოს მოქალაქე დევნილთა რიცხვს მიემატა. იძულებით გადაადგილებულთა ნაწილი დღეგანდელი ოკუპირებული ტერიტორიის მიმდებარე რეგიონებიდან იყო და დაუბრუნდა თავის ნახევრად დანგრეულ სახლებს, ხოლო ოკუპირებულ ტეროტორიაზე ვერ შევიდა იქიდან გამოდევნილი 31 ათასი პირი, რომელიც ამჟამად დორებით თავშესაფრებში ცხოვრობს. მათგან შედარებით კომპაქტურად არიან ჩასახლებულნი მცხეთის რაიონ სოფელ წეროვანში (6083 კაცი), წილკანში (1154 კაცი) და გორის რაიონის სოფელ კარალეთში (1559 კაცი).³¹

³⁰ <http://www.Demoscop Weekly, №57-58>.

³¹ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მონაცემები.


შევეცადეთ, სოციოლოგიური გამოკითხვით შეგვესწავლა იძულებით გადაადგილებულ პირთა მატერიალური მდგომარეობა და ოჯახის ფინანსური ბიუჯეტი, საყოფაცხოვრებო პირობები, ახალ გარემოში ადაპტაციის სიძნელეები, მათი რეპატრიაციასთან დამოკიდებულება, ამჟამინდელი მიგრაციული და რეპროდუქციული განწყობა, ცხოვრებისეული გეგმები, შემოსავლები და ა.შ. გამოიკითხა ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილი, თბილისში თავშეფარებული 202 იძულებით გადაადგილებული პირი.

გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ იძულებით გადაადგილებული პირები მთელი ოჯახებით არიან დევნილები. უმრავლესობა ოჯახში საშუალოდ 5 და მეტი სულია. რესპონდენტთა 71% დაქორწინებულია. მათგან 75%-ს ორი ან მეტი შვილი ჰყავს.

განხორციელებული ეთნოწმენდის რეგიონი საქმაოდ ნაყოფიერი მიწებითა და მდიდარი სოფლებითაა ცნობილი. აქ მცხოვრებთა ოჯახის ბიუჯეტში ნახევარზე მეტი (57%) შინა მეურნეობიდან მიღებული შემოსავალი იყო. სარჩოს ნაწილს კი ოჯახი სხვა გზით იღებდა. კერძოდ, მოსახლეობის ნაწილი მცირე ბიზნესს ეწეოდა (ვაჭრობდა), დასაქმებული იყო სახელმწიფო სტრუქტურებში, განათლებაში, ჯანდაცვაში, კულტურაში. ახალგაზრდა ვაჟების ნაწილი სამხედრო მოსამსახურე იყო. ხელისუფლება დიდ ყურადღებას უთმობდა რეგიონის განვითარებას, განსაკუთრებით, დიდი ლიახვის ხეობის სოფლებს (აჩაბეთი, კეხვი, თამარაშენი და სხვა), რომლებიც ოსებით დასახლებული სოფლების გარემოცვაში იყო, რათა შეერბილებინა გარე ძალებისაგან ხელოვნურად შექმნილი ოსი მოსახლეობის ნაწილის სეპარატული განწყობა. ბოლო წლებში საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევით იქაურ სოფლებში აშენდა კომფორტული საცხოვრებლები, გაიხსნა თანამედროვე მომსახურების ობიექტები, მსხვილი საგაჭრო ცენტრები, უახლესი ტექნიკით აღჭურვილი სკოლე-

ბი, მიმდინარეობდა აქტიური კულტურული ცხოვრება. ამიტომ იყო, რომ ამ რეგიონის მცხოვრებთა საშუალო თვიური შემოსავალი უფრო მაღალი იყო, ვიდრე საშუალოდ საქართველოში. ამჟამად კი მაღალი შემოსავლის მქონეთა რაოდენობა 6-ჯერაა შემცირებული. მხოლოდ რესპონდენტთა 11% ინარჩუნებს ძველ შემოსავალს. ესაც ის კატეგორიაა, ვინც ომამდე სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობდა და ხელი-სუფლებამ ერთი წლით შეუნარჩუნა ძველი ოდენობის ხელფასი. დანარჩენ იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახების საშუალო თვიური შემოსავალი საარსებო მინიმუმიც აღარაა. ამიტომ ამჟამად, დეკნილთა საარსებო წყარო დროებითი დახმარების სახით სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებისგან მიღებული ნობათია (სქემა 1).

სქემა 1



მოსახლეობა, რომელიც მუდმივი და რეგულარული შემოსავლის გარეშე დარჩა, მრავალმხრივ გაჭირვებას უჩივის. განსაკუთრებით კი, მშობლიური მხარის, საკუთარი კომფორტული ბინის, თავის წარსულისადმი ნოსტალგია აწუხებს. გარდა ამისა, რესპონდენტთა 33%-ს ტანსაცმელი და ფეხსაცმელი არ ყოფნის, 21% კი საყოფაცხოვრებო ნივთების მეტისმეტ სიმცირეს აღნიშნავს. უნდა ითქვას ისიც, რომ ტანსაცმლის ნაკლებობას უფრო მეტად უჩივიან მამაკაცები, ხოლო საყოფაცხოვრებო ნივთებს – ქალები. რესპონდენტთა მნიშვნელოვან ნაწილს (43%) მედიკამენტები უჭირს, დიდი ნაწილიც – მშობლიური გარემოს მოწყვეტისაგან იტანჯება (ცხრილი 1).

ცხრილი 1
ამსაონდენტთა აასზხების განაწილება პითხებაზე:
„ყველაზე მეტად რის ნაკლებობას განიცდით?“ აასზხების მიხედვით

ტანსაცმლის ტიპი	ჟუნის მდინარე	საყოფაცხოვ- რებობის რაობა	საკვების	საკვების მდგრადი, მშობლიური სახლი და გარეული სა- მარა	სულ	
დიდი ლიანვის ხეობა	43,0	0,0	17,0	2,0	38,0	100
პატარა ლიანვის ხეობა	16,0	4,6	27,0	3,6	48,8	100
სულ	31,0	2,0	21,0	3,0	43,0	100

ცალკეული ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ანალიზმა გვიჩვენა, რომ ტანსაცმლის ნაკლებობას უფრო მეტად ახალგაზრდები განიცდიან (50%), შუა ასაკის დევნილები ერთნაირად უჩივიან ტანსაცმლისა და საყოფაცხოვრებო ნივთების უქონლობას (22%), ამასთან, განსაკუთრებით აწუხებთ მშობ-

ლიური გარემოს ნოსტალგია (39%), ხოლო „მესამე ასაკის“ (50წ.+) წარმომადგენლები უფრო მეტად მედიკამენტების ნაკლებობაზე მიუთითებენ და მწარედ განიცდიან საკუთარი ბინებისაგან მოწყვეტას (70%). ოჯახის სულადობის მიხედვით ანალიზში უჩვენა, რომ ტანსაცმლისა და მედიკამენტების ნაკლებობას ყველაზე მეტად განიცდიან მრავალსულიანი ოჯახები.

ომაძლე ამ რეგიონის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი (56%) სოფლის მეურნეობაში იყო დასაქმებული. დღეს ეს კონტინგენტი, ძირითადად, საქართველოს სხვადასხვა ადმინისტრაციული ცენტრების დროებით თავშესაფრებულია ჩასახლებული. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ საქართველოში ომაძლეც საკმაოდ მაღალი იყო უმუშევრობის დონე (13%), ამჟამად, ეკონომიკის კრიზისის პირობებში უმუშევართა შრომითი რეაბილიტაციის შესაძლებლობები კიდევ უფრო მეტად შეიზღუდა. რესპონდენტების უმრავლესობა თანახმაა, დასაქმდეს ნებისმიერ სამუშაოზე, ოღონდ საარსებო მინიმუმით მაინც იყოს უზრუნველყოფილი. მესამედი კი მოითხოვს სამუშაოს საკუთარი პროფესიის შესაბამისად, რომლისგან მიღებული შემოსავლით ის ოჯახის შენახვას შეძლებს. საკუთარი პროფესიით მუშაობის სურვილს განსაკუთრებით ახალგაზრდები გამოხატავენ.

ომმა და ეკონომიკურმა კრიზისმა დევნილთა რეპროდუქციული აქტიურობა დააქვეთა. ჩვენს მიერ გამოკითხული რესპონდენტების 68%-ს აღარ სურს შემდეგი შვილის გაჩენა. ამ აზრს უფრო მეტად ქალები გამოთქამენ (76%), ვიდრე მამაკაცები (58%). კითხვაზე: „ომი რომ არ ყოფილიყო, რაძლენ შვილს გააჩენდით?“, ყოველმა მეოთხემ უპასუხა, რომ კიდევ ორს ან ერთს მაინც შობდა. ეს აზრი უფრო გამოკვეთილია დიდი ლიახვის ხეობის რესპონდენტებში, რომელთაგან ყოველი მესამე ისურვებდა შემდეგი შვილის გაჩენას (ცხრილი 2).

ცხრილი 2

**ცხინვალის ობიორნიდან დაგნილთა დამოკიდებულება
შვილიანობისაზე**

რამდენი შვილის გაჩენას აპირებთ?						
	არც ერთის	ერთის	ორის	სამის	ოთხის	ხუთი და მეტი
სულ	68,3	9,4	9,9	7,4	3,0	2,0
ქალი	76,0	7,0	9,4	5,2	2,4	-
კაცი	58,1	12,8	10,5	10,5	3,5	4,6

ომი რომ არ ყოფილიყო რამდენ შვილს გააჩენდით?						
	არც ერთის	ერთის	ორის	სამის	ოთხის	ხუთი და მეტი
სულ	58,4	14,8	12,0	7,4	4,4	3,0
ქალი	71,0	14,5	5,1	5,7	2,1	1,6
კაცი	45,2	15,0	19,6	9,7	6,5	4,0

1990-იან წლებში საქრთველოში ემიგრაციის ინტენსი-
ვობა გაიზარდა. არსებული კონფლიქტებისა და ეკონომიკური
კრიზისის გამო საქართველო მიღიონამდე მოქალაქემ დატოვა.
ამის მიუხედავად, აგვისტოს ომამდე რესპონდენტთა 97%-ს
არასოდეს უფიქრია სხვაგან გადასახლებაზე (ცხრილი 3).

ცხრილი 3

რესპონდენტთა ომამდელი მიზანის განაწილება

ომამდე თუ უიქრობდით სხვაგან გადასახლებაზე?		
	დიახ	არა
სულ	3,0	97,0
დიდი ლიახვის ზეობი- დან დევნილი	0,0	100
პატარა ლიახვის ზეო- ბიდან დევნილი	7,0	93,0

ამჟამადაც, რესპონდენტთა უმრავლესობას არ სურს
მედმივი მიგრაცია, თუნდაც, საქართველოს სხვა რეგიონში
გადასახლება. ამ აზრს განსაკუთრებით მამაკაცები გამოთქვა-

მენ. მათი თითქმის 60% დროებით ჩასახლების ადგილებში მხოლოდ დაბრუნების იმედით ცხოვრობს.

კითხვაზე: „ხომ არ გეგმავთ სხვა რეგიონში ან სხვა ქვეყანაში საცხოვრებლად გადასვლას?“, რესპონდენტთა თითქმის ნახევარი, განსაკუთრებით დიდი ლიახვის ხეობის სოფლიდან დევნილნი, კატეგორიულად წინააღმდეგია ამისა და დაუინებით მოიხსოვს თუნდაც თავიანთ დამწვარ სახლებში დაბრუნებას. ნახევარი, განსაკუთრებით ქალები, თანახმა არიან დროებით სხვაგან ცხოვრებაზე. მათი ძირითადი მოთხოვნაა, ჩასახლდნენ იმ ტერიტორიებთან ახლოს, რომელიც ომის შემდეგ იძულებით დატოვეს. რესპონდენტთა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი (1%) ფიქრობს სხვა ქვეყანაში საცხოვრებლად წასვლას (ცხრილი 4).

ცხრილი 4

ცხილის რეგიონიდან დევნილთა მიგრაციული განვითარება ამჟამად

ხომ არ გეგმავთ მუდმივ საცხოვრებლად სხვაგან გადასვლას?				
	აუცილებლად, საქართველოს სხვა რაიონში, თუ გამოირიცხა ცხინვლის რეგიონში ჩვენი დაბრუნება	ვყოფმანობ	არავითარ შემთხვევაში	
სულ	32,3	25,7	42,0	
დიდი ლიახვის ხეობა	25,0	25,0	50,0	
მ.შ ქალი	27,0	27,4	45,6	
ქაცი	22,0	22,2	55,8	
პატარა ლიახვის ხეობა	43,0	26,7	30,3	
მ.შ. ქალი	48,0	31,5	20,5	
ქაცი	34,0	19,0	47,0	

საგულისხმოა ისიც, რომ სხვაგან გადასახლებისადმი მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა ახალგაზრდობამ. მათგან მხოლოდ 23% ფიქრობს საქართველოს სხვა რეგიონში გადასვლაზე.

გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა აბსოლუტური უმეტესობა გამოსავალს სრულ რეპატ-რიაციაში ხედავს. საერთაშორისო თანამეგობრობის ძალის-ხმევა კი ამ პროცესში გადამწყვეტი იქნება.

*Mzia Shelia
Mariam Gugutishvili*

**SOCIO-ECONOMIC PROBLEMS OF THE IDPs FROM
TSKHINVALI REGION
(Abstracts)**

In August 2008, during the Russia-Georgia war, Russia occupied Tskhinvali region and 138000 dwellers who lived on this territory were forced to move to other regions of Georgia.

The aim of our research was to study by the social inquires the migrants present circumstances, their financial conditions, the family budget, living conditions, the difficulties of the adaptation to the new circumstances, their opinion about the returning process to their villages, general feelings about the migration, the future plans, their income, and the social-demographic structure.

202 compulsory migrants were inquired during the researches.

According to our research World Economic Crisis has highly decreased their social conditions.. The brief research showed their following problems:

1. The reproductive activity decreased (70% of women don't want to have one more child)
2. They have a need of their social security
3. They do not want to leave their country; they want to return to their places (only the 1% things to leave country)
4. There was a region of rich farmers, so they were not on government support, now they are without workplaces

The great majority of the residents of the region (56%) worked in agriculture sphere, but now they are temporarily settled in cities. As you know, the problems of unemployment were before war also like every developing county's problem, the index of unemployment in Georgia before war was 13% . Now due to world economic crisis it becomes very hard to realize their working rehabilitation. The great majority of the interviewed refugees are ready to start any kind of job to earn money to cover their living costs.

The problem solving of these people is to return them in their native regions, they hope that with the support of the international community it will be soon possible.

მირიან ტუხაშვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
მამუკა თორია
ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

აზხახეთიდან იძულებით გადაადგილებულთა შრომითი განვითარები

რუსეთის იმპერიალისტური ძალების მიერ ინსპირირებული 1990-იანი წლების ცნობილი მოვლენების შედეგად აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ნაწილი პოსტსაბჭოთა საქართველოში შექმნილი უმძიმესი ეკონომიკური ვითარების გამო საქართველოდან საზღვარგარეთ წავიდა სამუშაოდ. შრომით ემიგრანტთა წილი იძულებით გადაადგილებულთა კონტინგენტში უფრო მაღალია, ვიდრე მთელ მოსახლეობაში. ამავე დროს, დეკნილთა შორის ისედაც კრიტიკულ დონეზე დაკლებული მოსახლეობის აღწარმოების მაჩვენებელი შრომითი ემიგრაციის გავლენით კიდევ უფრო შემცირდა. მეორე მხრივ, შრომით ემიგრაციაში გაემგზავრა მეტად მაღალი მობილობის მქონე შრომითი კონტინგენტი, რომელსაც აქვს მაღალი განათლების პოტენციალი, პროფესიული მომზადება, რამაც, ბუნებრივია, უარყოფითად იმოქმედა როგორც იძულებით გადაადგილებული კონტინგენტის, ისე, ცხადია, საქართველოს შრომით პოტენციალზე.

იძულებით გადაადგილებულ პირთა შრომითი ემიგრაციის შესწავლის მიზნით 2008 წლის მაისში ჩვენი ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით ჩატარდა შრომით ემიგრანტთა ნაკადის შესწავლა. ეს ის პერიოდია, როცა მსოფლიო ფინანსური კრიზისი ჯერ კიდევ არაა გაღრმავებული, რუსეთ-საქართველოს ომიც მომხდარი არაა და რუსეთში ქართველთა მიმართ ეთნოფობიას პიკისათვის არ მიუღწევია. გამოკვლევა განხორციელდა ცნობილი „შემცვლელი

რესპონდენტების“ მეთოდით. ინტერვიუს გზით გამოიკითხა 350-ზე მეტი აფხაზეთიდან იმულებით გადაადგილებული პირის ოჯახის წევრი, ან ახლობელი, ვინც კარგად იყო ინფორმირებული შრომითი ემიგრანტის უცხოეთში შრომისა და ყოფის თაობაზე. ან კეტა შედგენილი იყო ჩვენი ადრინდელი გამოკვლევების დროს გამოყენებული კითხვარების საფუძვლებზე და მოიცავდა 49 კითხვას.

შრომით ემიგრანტთაგან 43,3% ქალია, რაც ემთხვევა შრომითი ემიგრაციის შესახებ სხვადასხვა გამოკვლევებით მიღებულ საქართველოს საშუალო მაჩვნებელს.

საქართველოდან ქალთა შრომითი ემიგრაცია მხოლოდ პოსტსაბჭოთა პერიოდის მოვლენაა. მათი წილი მთელ მსოფლიოში საერთაშორისო შრომით ემიგრაციაშიც მატულობს, ხდება შრომითი ემიგრაციის ინტენსიური ფემინიზაცია, რასაც ზოგიერთ დადგებით მომენტთან ერთად უარყოფითი მხარეც ბევრი აქვს. პირველ რიგში, ეს შეეხება ოჯახების და მეუღლების ფაქტობრივი თანაცხოვრების შეფერხებას (ფაქტობრივ შეწყვეტას), ხშირ შემთხვევაში— ქალების ოჯახთან და შვილებთან მოწყვეტას, შვილების აღზრდისგან ჩამოცილებას, უცხოეთში რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის აშკარა გაუარესებას და ა.შ.

შრომით ემიგრანტთა 9,3% 50 წლამდე ასაკისაა და, არსებითად, აქტიურ შრომით კონტინგენტს წარმოადგენს (ცხრილი 1). არ შეიმჩნევა ასაკობრივი პოლარიზაცია.

ცხრილი 1
შრომით ემიგრანტთა ასაკობრივი განაწილება, %

ასაკობრივი ინტერვალი, წწ.	20 წ-შე	21-25	26-30	31-40	41-50	50-ზე ტი	სულ
%	3,9	11,5	16,3	29,8	31,7	7,8	100

მთელი კონტიგენტიდან ოჯახიანია 61,1% (ცხრილი 2).

მამაკაცთა ორი მესამედი დაოჯახებულია და მათი შრო-მითი ემიგრაციის მიზანი ოჯახის რჩენაა. ქალთა ოჯახური ძღვომარეობა გაცილებით ჭრულია. მათ ნახევარს შვილები ჰყავს აქ დატოვებული, საკმაო ნაწილს – არასრულწლოვანი შვილები. ქალები სხვის შვილებს უვლიან, ხოლო მათ შვილებზე თავიანთი მშობლები ან სხვა ახლობლები ზრუნავენ. საკმაოდ დიდია იმ ქალთა წილიც, რომლებიც, ფაქტობრივად, მეუღლეთა გარეშე დარჩნენ და ოჯახისა და შვილების რჩენის გამოსავალი საზღვარგარეთ დასაქმებაში ნახეს (ქვრივები, განქორწინებულნი, მარტოხელა დედები).

ცხრილი 2
შრომით გამოგრავთა ქორწინებრივი მდგრადი გარემონტარება, %

ოჯახური ძღვომარეობა სქესი	ქალები დაშვილებული ადამიანი	დაზღვიულ უშვილი	დაზღვიული უშვილით	ქალები	განტირ დაწესები	მარ ტოხელა უქა სულ
მამაკაცი	30,5	23,7	44,0	1,8	-	-
ქალი	27,8	17,8	34,4	10	6,7	3,3
სულ	29,3	21,1	40,0	5,3	2,9	1,4

როგორც გამოკვლევა გვიჩვენებს, საქართველოდან საზღვარგარეთ სამუშაოდ წასვლის მიზეზთა შორის დომინირებს ეკონომიკური მიზეზები: უმუშევრობა, მატერიალური პირობების გაუმჯობესების სურვილი, ოჯახის ფიზიკური გადარჩნა (ცხრილი 3). იმ გამოკვლევებშიც, რომელიც საქართველოში მოსახლეობის სხვა კონტინგენტზეა ჩატარებული, ეკონომიკური ხასიათის მიზეზები გადამწყვეტია.

**შრომით ემიგრანტთა განაწილება საქართველოდან
ზაჟულის პირითადი მ0ზეზების მ0ხედვით**

№	მ ი ზ ე ზ ი	კაცი	ქალი	სულ
1	მატერიალური მდგომარეობის გა- უმჯობესების სურვილი	39,0	40,0	39,2
2	ვერ იშოვა შესაფერისი სამუშაო	22,9	16,7	20,1
3	ვერ იშოვა ვერანაირი სამუშაო	15,2	13 ,3	14,4
4	ოჯახის ფიზიკური გადარჩენა	14,4	23,3	18,3
5	ქვეყნაში არსებული პოლიტიკუ- რი მდგომარეობა	2,5	4,4	3,3
6	იქ ცხოვრობენ მისი უახლოესი ნათესავები	3,4	2,2	2,9
7	განათლების მიღება	3,4	6,7	4,8
8	უცხო ენის დახვეწა	1,7	4,4	2,9
9	აინტერესებდა საზღვარგარეთ ცხოვრება და მუშაობა	2,5	-	1,4
10	სამშობლოში პერსპექტივას ვერ ხედავდა	5,1	6,7	5,8
11	თვითრეალიზაციის შეუძლებლო- ბა	1,7	-	1,4
12	იქორწინა უცხოელზე	-	1,0	0,4
13	სხვა მიზეზი	1,7	-	1,0
	ს უ ლ	100	100	100

საქართველოში 90-იან წლებში ცხოვრების დონის კა-
ტასტროფული დაცემა განსაკუთრებით განიცადეს იმულებით
გადაადგილებულმა ოჯახებმა, რომლებმაც დანარჩენი მოსახ-
ლეობისაგან განსხვავებით, დაკარგეს ბინა და ყოველნაირი
ქონება. დაუძლურებული, გაღატაკებული სახელმწიფოს დახ-
მარება კი მიზერული იყო. ოჯახის ფიზიკური გადარჩენა
იძულებით გადაადგილებულთა საკმაო ნაწილმა მხოლოდ უც-
ხოეთში დასაქმებაში დაინახა. მეორე მხრივ, მოსახლეობის

ეს ნაწილი იძულებით გადაადგილებულთა თავშესაფრებში ცხოვრობდა. მათთვის ობიექტურად შექმნილი მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების გამო შრომით ემიგრაციაში ყოფნა აღარ წარმოადგენდა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუარესებას, როგორც ხშირად ეს შრომით ემიგრანტთა სხვა კონტინგენტს ახასიათებდა. ამიტომ იძულებით გადაადგილებულთა შორის შრომითი ემიგრაციის სიხშირე უფრო მეტად აღინიშნება, ვიდრე მოსახლეობის დანარჩენ კონტინგენტში. ამ შემთხვევაში ე.წ. მიგრაციის შემაკავებელი ფაქტორი გაცილებით სუსტია.

გამოკვლევა გვიჩვნებს, რომ შრომით ემიგრანტთა განათლების დონე მეტად მაღალია (ცხრილი 4).

უმაღლესი და დაუმთავრებელი უმაღლესი განათლება აქვს ნახევარზე მეტს. პროფესია აქვს 81,7%-ს. საზღვარგარეთა წასული ყველაზე მობილური, მაღალი შრომითი პოტენციალის მქონე კონტინგენტი. საქართველოს შრომით პოტენციალზე იძულებით გადაადგილებულ პირთა შრომითი ემიგრაცია უარყოფით გავლენას ახდენს.

ცხრილი 4
შრომით ემიგრანტთა განაზილება განათლების დონის
მიხედვით %

	უმაღლესი	დაუმთავრებელი უმაღლესი	საშუალო სასწავლური	პროფესიულ-ტექნიკური	ზოგადი საშუალო	არასრული საშუალო	სულ
კაცი	49,3	2,5	12,7	16,1	17,8	1,6	100
ქალი	47,8	8,9	16,7	10,0	14,4	2,2	100
სულ	48,6	5,3	14,4	13,4	16,3	1,9	100

შრომით ემიგრანტთა უმეტესობა დათ ქვეყნებში, კერძოდ კი, რუსეთსა და უკრაინაშია სამუშაოდ წასული (ცხრილი 5).

ცხრილი 5
შრომით მიმდინარეობის განაზიანებები იმიგრაციის შემთხვევაში
მიხედვით, %

	რუსეთი	უკრაინა	საქართველო	გერმანია	თურქეთი	აშშ	ლიბანი და სამხრეთ კავკასია	შოთალია საფლავები სახეობები	სულ
კაცი	52,5	17,0	3,4	5,1	2,5	1,7	2,0	15,8	100
ქალი	30,0	3,3	32,2	8,9	5,6	3,3	-	16,7	100
სულ	42,8	11,2	15,7	6,7	3,8	2,4	1,2	16,2	100

რუსეთის დიდი წილი მრავალმა ფაქტორმა, მათ შორის, ენის კარგად ცოდნამაც განსაზღვრა. განსაკუთრებით დიდია რუსეთ-უკრაინის წილი მამაკაცებში (69,5%). ქალები კი საბერძნეთში არიან ყველაზე მეტად ემიგრირებულნი (32,2%). ეს უკანასკნელი განსაზღვრა შრომის საერთაშორისო მეორად ბაზარზე მომვლელ ქალებზე დიდმა მოთხოვნამ.

ჩვენი იმ გამოკვლევებისგან განსხვავებით, რომელიც იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობას არ ეხება³², აქ შემცირებულია გერმანიისა და, განსაკუთრებით, აშშ-ს წილი. ფაქტია, რომ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული მოსახლეობა საქართველოს სხვა კუთხეებზე უკეთესად ფლობს რუსულ ენას. კონფლიქტებამდეც უფრო მეტი კავშირები,

³² Labor Migration from Georgia. IOM, 2003. p.24-25. ჭელიძე ნ., ტუხაშვილი მ. საქართველოს მოსახლეობის შრომითი ემიგრაციის ფაქტორები და სოციალურ-ეკონომიკური შედეგები. კრებულში: მიგრაციული პროცესები პოსტსაბჭოთა საქართველოში. თბ., 2003. ტუხაშვილი მ. საქართველოს მოსახლეობის შრომითი მიგრაციის ძირითადი ტენდენციები და სოციალურ-ეკონომიკური შედეგები. ჟურნალი დემოგრაფია. 2004, №1. გვ.54.

ნაცნობ-მეგობრობა ჰქონდა რესეთთან. ამიტომ ამ ქვეყანაზე მოღის აშკარად გამოხატული დიდი ნაკადი.

როგორც არაერთმა გამოკვლევამ აჩვენა, საქართველო-დან სამუშაოდ გასული მოსახლეობა თავისი კვალიფიკაციის შეუსაბამო საქმიანობას ეწევა. მამაკაცთა 27,9% მშენებლობაზე მუშაობს, 19,9%— მრეწველობაში. ქალების უმეტესება (63,2%) მომვლელი, ძირა ან დამლაგებელია. ისინი დასაქმებულნი არიან, აგრეთვე, ოფიციანტად, გამყიდველად, საყოფაცხოვრებო მომსახურებაში (ცხრილი 6).

ცხრილი 6
შრომით განაწილება უცხოეთში სამიანობის
მიხედვით, %

	მომუშავებელი, ძმა, დაჭლავებული, მექანიკუმ	მშენებელი მუშა	მრეწველობის მუშა	გამომუშაველი რეფიციანტი მოწამეობის სფერო	მხრილი, აგრძოლებული სანი	ექიმი, ექთანი	საქართვის პაზნესი	საქართველოს შესაბამის გასაძლიერებელი	სხვა	ჯამი
კაცი	3,4	27,9	19,9	5,9	14,4	-	20,3	6,8	1,4	100
ქალი	63,2	-	3,3	17,9	-	2,2	6,7	5,5	1,2	100
სულ	28,9	16,0	12,5	11,0	8,7	1,0	14,4	6,2	1,3	100

საკმაოდ მაღალია იმ ემიგრანტთა წილი, ვინც დასაქმებულია საკუთარ ბიზნესში. ყოველ მეხუთე მამაკაცს აქვს თავისი ბიზნესი. ისინი უმთავრესად რუსეთში საქმიანობენ.

მიუხედავად იმისა, რომ სპეციალისტთა წილი შრომით ემიგრანტებს შორის დიდია, მათგან მხოლოდ 6,2% მუშაობს თავისი პროფესილით. ეს გამოწვეულია იმით, რომ უცხოეთში სამუშაო ძალაზე მოთხოვნა, ძირითადად, მეორად შრომის ბაზრებზეა, აგრეთვე, უცხო ენის არასრულყოფილი ცოდნით.

გამოკვლევით გამოვლინდა, რომ შრომით ემიგრანტებს აქ დარჩენილ ოჯახთან ზშირი კავშრი აქვთ, რაზეც მიუთითა

რესპონდენტთა 84,6%-მა. კავშირი გაწყვეტილი აქვს მხოლოდ 2,4%-ს.

შრომით ემიგრაციაში წასვლის მიზანია საკუთარი ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა. როგორც გამოკვლევით დადგინდა, შრომითი ემიგრანტები თვიურად საშუალოდ გამოიმუშავებენ 1133 აშშ დოლარს და თავიანთ ახლობლებს საქართველოში უგზავნიან საშუალოდ 358 დოლარს(ცხრილი 7). ეს მაშინ, როცა აქ დარჩენილი ოჯახების საშუალო შემოსავალი თვიურად 101 დოლარია. ამით დასტურდება, რომ ფულადი გზავნილები წარმოადგენს აქ დარჩენილი ოჯახების ძირითად ფინანსურ წყაროს და, ჯერჯერობით, მისი მნიშვნელობა ოჯახის ბიუჯეტში გადამწყვეტია. ამაზე მიუთითა გამოკითხულთა 56,7%-მა. რესპონდენტთა მხოლოდ 13% აღმოჩნდა, ვისთვისაც იგი ოჯახის ძირითად შემოსავალს არ წარმოადგენს.

ცხრილი 7
ემიგრაცია თვიური შემოსავალი და გზავნილი,
აშშ დოლარი

გზავნილი	თვიური შემოსავალი	გზავნილი	აქ დარჩენილი ოჯახის შემოსავალი
სქესი			
კაცი	1178	366	122
ქალი	1078	349	74
სულ	1133	358	101

როგორც რესპონდენტებმა იციან, მიმღებ ქვეყანაში მათი ახლობლის წინაშე წარმოშობილ სხვადასხვა პრობლემათაგან უნდა გამოიყოს: ადმინისტრაციული ხასიათის წინააღმდეგობანი (27,4%), შრომითმოწყობასთან და შრომის პირობებთან დაკავშირებული პრობლემები (20,6%) (ცხრილი 8). ჩანს, რომ ქალებს, ვინემ მამაკაცებს უფრო მეტად უჭირთ

ოჯახთან მოშორება, შრომითი მოწყობა. მეტად აქვთ უცხო ენის პრობლემა.

ცხრილი 8
მიმღებ ჩვეულების შეზღუდვის განვითარება

	შრომითი მოწყობა, ანაზღაურება და პირობები ადმინისტრაციუ- ლი ხასიათის წინაღმდეგისა- ნი	აქტუალური ლაშქრების კონფიდენცია- ლური	აქტუალური ლაშქრების კონფიდენცია- ლური	უცხო ენის არცონა	საყოფაც ხოფები და მედიკონ მომსახურება	სხვა	სულ
კაცი	17,1	27,3	6,8	3,4	4,2	41,2	100
ქალი	25,6	27,5	7,8	7,8	8,8	22,5	100
სულ	20,6	27,4	7,2	5,3	6,2	33,3	100

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივ მცხოვრებ-ლებთან ურთიერთობის სიძნელეზე მიუთითა რესპონდენტთა მხოლოდ ერთმა პროცენტმა. როგორც დასაწყისში აღნიშნეთ, ეს ის პერიოდია, როცა რუსეთში ქართველები ჯერ კი-დევ არ ქცეულან ყველაზე არასასურველ იმიგრანტებად.

იძულებით გადაადგილებულ პირთა შრომითი ემიგრაცია საკმაოდ მყარია. მხოლოდ მესამედს აქვს გადაწყვეტილი სამ-შობლოში დაბრუნება. 12%-ს ეს სურს, მაგრამ საბოლოოდ მაინც არ შეწყვეტს უცხოეთში მუშაობას, მესამედი თავს იკავებს დაბრუნებისაგან. მტკიცე გადაწყვეტილება, რომ სამ-შობლოში აღარ დაბრუნდება, მიღებული აქვს მხოლოდ 2,4%-ს.

სამშობლოში დაბრუნებაზე ყოფანის არც თუ დაბალი წილი ბევრადაა განპირობებული იძულებით გადაადგილებულ პირთათვის აფხაზეთის საქართველოს ოურისდიქციაში აღდგე-

ნის გაურკვეველი პერსპექტივით. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თვით შრომითი ემიგრანტის ოჯახის წევრების ნაწილიც აპირებს თავის ოჯახის წევრთან გადასვლას, თუ ამის შესაძლებლობა მიუცემა (17,8%), ხოლო ახლო მომავალში მათ 3,6%-ს უკვე გადაწყვეტილი აქვს გადავიდეს საცხოვრებლად ემიგრანტთან. მხოლოდ მესამედზე ცოტა მეტი აღმოჩნდა, ვინც არ აპირებს თავის ოჯახის წევრთან უცხოეთში სამუშაოდ ან, საერთოდ, ემიგრაციას, რაც მიუთითებს უახლოეს მომავალში შრომითი ემიგრაციის ინტენსიურობის მაღალ დონეზე.

ამრიგად, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა შრომითი ემიგრაცია მაღალი ინტენსიურობით გამოირჩევა. ძირითადი მიგრაციული ნაკადები მიმართულია რუსეთ-უკრაინისა და საბერძნეთისკენ. საშოვარზე წასული კონტინგენტის შრომითი პოტენციალი მაღალია და ბევრად აღემატება საქართველოს მოსახლეობის საშუალო მაჩვენებლებს. ამის მიუხედავად, უცხოეთში დისკრიმინაციული დასაქმების გამო შრომით ემიგრანტთა უმეტესობა ხვდება შრომის მეორად ბაზარზე, ხშირად, არალეგალურ ვითარებაში. ამის გამო მათი შრომის პირობები და ხელფასი დისკრიმინაციულია. თუმცა, მაინც ხერხდება სამშობლოში თვიური შემოსავლის მესამედის გამოგზავნა, რაც, უმეტესად, აქაური ოჯახის ბიუჯეტს საარსებო მინიმუმის დონემდე ავსებს. შრომითი ემიგრანტები უცხოეთში აწყდებიან მრავალ ადმინისტრაციული ხასიათის წინააღმდეგობას, რაც, მეტწილად, იქ მათი არალეგალური ყოფნითაა გამოწვეული.

რემიგრაციის პოტენციალი, ჯერჯერობით, სუსტია. ეს გამოწვეულია როგორც საქართველოში ჯერ კიდევ დაბალი ცხოვრების დონით, ისე აფხაზეთის საქართველოს იურისდიქციაში მოქცევის გაჭიანურებული პროცესითა და გაურკვეველი პერსპექტივით. იძულებით გადაადგილებულ პირთა მდგომარეობა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის

შემდეგ რუსეთში დამძიმდა. ომმა უარყოფითი ზემოქმედება მოახდინა რუსეთში საქართველოდან შრომით ემიგრანტთა მდგომარეობაზე³³ და ჩვენი მოსახლეობის შრომითი ემიგრაციის გეოგრაფიაზე, რაც შემდგომი კვლევის საგანი უნდა გახდეს.

³³ ტუხაშვილი მ. მიგრაციული ექსპანსიის დასასრული და რუსეთის „ახალი მიგრაციული პოლიტიკა“. თბ., 2009. გვ.34-37.

*Mirian Tukhashvili
Mamuka Toria*

LABOUR EMIGRATION OF THE IDPs FROM ABKHAZIA (Abstracts)

Due to ethnic conflicts, inspired by Russia in 1993-2008, amount of internally displaced persons from Georgia's autonomic provinces, Abkhazia and South Ossetia reached 8% out of the whole population of Georgia. Most of them moved to foreign countries for jobs. We studied the labor emigration of the internally displaced persons with the method of "substitute respondents". Over 400 labor emigrants' families were studied. It was stated that main reasons for labor emigration are of economic character and caused by hard economic and social situation, formed by ethnic clearance from Georgia's autonomic provinces. The current of persons from internally displaced families who left for foreign countries hunting jobs is mainly directed to Russia (42,8%), Greece (15,7%), Ukraine (11,0%), Germany (6,7%), and other countries of Europe. Despite the discriminative labor conditions and remuneration, labor emigrants' remittances to Georgia (350 US\$ monthly in average) is mainly used for providing the living wage.

მანანა ლობჟანიძე
გკონომიქურ მეცნიერებათა კანდიდატი

**საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების
პურსდამთაპრეზენტა სასწავლო მიზანი**

ახალგაზრდობა მოსახლეობის სხვა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფებისაგან გამოიჩინება ჯანმრთელობით, განათლების დონით, პროფესიული მომზადებით, მობილურობით, სამუშაოსადმი წაყენებული მაღალი მოთხოვნებით და ა.შ. ყოველივე ეს განსაზღვრავს მის ქცევას შრომის ბაზარზე.

ახალგაზრდობის დასაქმება უმწვავესი პრობლემაა ნებისმიერი ქვეყნისათვის და მათ შორის გამონაკლისი არც საქართველოა. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მოშლილია პროფესიული განათლების სისტემასა და დამსაქმებელ ორგანიზაციებს შორის ურთიერთობის მექანიზმი, ყოველგვარი მოთხოვნის გაუთვალისწინებლად ხდება სპეციალისტების მომზადება. მართალია, საბაზრო ეკონომიკის პირობებში შეუძლებელია უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტების პროფესიულ-კვალიფიციური შემადგენლობის სრული შესაბამისობის მიღწევა ეკონომიკის მუდმივად ცვალებად მოთხოვნებთან, მაგრამ მიღებული განათლება შრომითი მოწყობისა და სრულფასოვანი ცხოვრების გარანტიას უნდა იძლეოდეს. აქედან გამომდინარე, თანამედროვე ახალგაზრდობა ყოველმხრივ ცდილობს, მიიღოს ისეთი დონის განათლება, რომ დაიკავოს მყარი ადგილი შრომის ბაზარზე, სადაც საბაზრო ეკონომიკის პირობებში ყოველთვის დიდი კონკურენციაა. ამისათვის ცდილობს იგი სწავლის გაგრძელებას მსოფლიოს ყველაზე პრესტიულ უმაღლეს სასწავლებლებში. უცხოური განათლების მიღება საქართველოს მოწინავე ახალგაზრდობის ერთ-ერთი ცხოვრებისუული მიზანი გახდა.

ახალგაზრდობის საერთაშორისო მიგრაციას თან სდევს მნიშვნელოვანი დემოგრაფიული, სოციალური, კულტურული

და ეკონომიკური შედეგი.

როგორც აღვნიშნეთ, დღეისათვის სასწავლო-პროფესიული მობილობა პიროვნების ჩამოყალიბებისა და თვითრეალიზაციის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. ახალგაზრდას უყალიბება დამოუკიდებელი ცხოვრების, სწავლისა და მუშაობის გამოცდილება უცხო გარემოში.

ახალგაზრდობის მუდმივი ემიგრაციის შემთხვევაში მიგრანტთა მიმღები ქვეყანა ღებულობს მომზადებულ კადრებს, რომელთა განათლებაზეც მას არანაირი დანახარჯი არ გაულია.

ევროგაერთიანების ქვეყნები აქტიურად მუშაობენ იმაზე, რომ შეიქმნას უმაღლესი განათლების ერთიანი სივრცე, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფოებს შორის აკადემიურ თანამშრომლობას.

ბოლონიის პროცესმა დაამტკიცა, რომ ეს არის ეფექტური გზა საერთაშორისო კონსესუსის მისაღწევად, იმავდროულად იგი პოზიტიურად იყენებს საგანმანათლებლო ტრადიციების მდიდარ მრავალფეროვნებას, სხვადასხვა დარგობრივი სფეროს სპეციფიკურ გამოცდილებასა და ცოდნას.

საქართველოს საგანმანათლებლო სივრცის ბოლონიის პროცესში ინტეგრაციის მიღწევად უნდა ჩაითვალოს ჩვენი განათლების დამადასტურებელი ღიკუმენტის – დიპლომის აღიარება მსოფლიოს 102 ქვეყნაში. ადრე მსოფლიოში საკმაოდ მაღალი მოთხოვნა იყო ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების უმაღლესი სასწავლებლებიდან ფუნდამენტურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კურსდამთავრებულებზე, მაგრამ მათი დიპლომის აღიარება მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ ხდებოდა, რაც ქმნიდა დამატებით პრობლემებს საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელებისა და მუშაობის დროს.

როგორც უმაღლესდამთავრებულები, ასევე დამსაქმებლები ფიქრობენ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ზოგადი კომპეტენციები, რომელთა კავშირი ტრადიციულ აკადემიურ განათლებასთან აუცილებელია. ეს კომპეტენციებია: ცოდნის გა-

მოყენების უნარი, ახალ პირობებში ადაპტაციის შესაძლებლობა, დამოუკიდებლად მუშაობის უნარი, ჯგუფში მუშაობა, ორგანიზებისა და დაგეგმვის უნარი, ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე.

ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემა (ECTS) ევროპის ერთადერთი საკრედიტო სისტემაა, რომელშიც ინტეგრირებულია ქართული საგანმანათლებლო სივრცე. სწორედ ამის შედეგია საქართველოს უმაღლესდამთავრებულთა მაღალი მობილობა და სწრაფვა ევროპის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად.

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ყოფილი საბჭოთა კავშირი წარმოადგენდა ინტელექტუალური რესურსების დონორ ქვეყანას. განსაკუთრებით მაღალი მოთხოვნაა ფუნდამენტურ მეცნიერებათა კურსდამთავრებულებზე.

უმაღლესდამთავრებულთა მიგრაციას როგორც უარყოფითი, ისე დადებითი მხარეები გააჩნია. ქვეყანა, საიდანაც გაედინება ახალგაზრდები, კარგავს ინტელექტუალური პოტენციალის მნიშვნელოვან ნაწილს, მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ კვალიტიური კადრებით ავსებს როგორც მეცნიერებას, ისე ეროვნულ ეკონომიკას. მეორე მხრივ, ყველაზე შემაშფოთებელია, რომ უცხოეთში მიდიან და ზშირად მუდმივად რჩებიან ყველაზე მომზადებული, განათლებული და შრომისმოყვარე ახალგაზრდები. მიგრაციული განწყობა კი სწორედ ელიტურ სტუდენტ-ახალგაზრდობაში შეიმჩნევა, რომელთა აკადემიური მოსწრება და პროფესიული მომზადება მაღალი მახასიათებლებით გამოირჩევა.

იბადება კითხვა: სად, რომელ ქვეყნებში მიემგზავრებიან ისინი? როგორია პროცესის დინამიკა?

თუ გადავხედავთ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა სასწავლო მიგრაციას ასეთი სურათი გვაქვს (ცხრილი 1).

ცხრილი 1

საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების
გურკლამის გრეგორიანი და ბისტონი სასწავლის
გასამრპლებლად გამგზავრების შვემცების მიხედვით

2008 წელს *

№	ქვეყანა	სტუდენტთა რიცხოვნობა	№	ქვეყანა	სტუდენტთა რიცხოვნობა
1	ესპანეთი	307	21	საფრანგეთი	49
2	იტალია	450	22	აზერბაიჯანი	115
3	რუსეთი	409	23	ლიტვა	46
4	ავსტრია	223	24	ბოსნია-ჰერ- ცეროვინა	3
5	პოლონეთი	12	25	სომხეთი	8
6	ლატვია	141	26	სამხაფრიგის რესპუბლიკა	3
7	ჩეხეთი	21	27	ესტონეთი	14
8	აშშ	193	28	ინდოეთი	34
9	თურქეთი	17	29	სლოვაკეთი	5
10	ისრაელი	61	30	უნგრეთი	3
11	უკრაინა	82	31	ბელორუსი	5
12	ბელგია	39	32	დანია	1
13	ბულგარეთი	18	33	ყაზახეთი	23
14	პორტუგალია	40	34	არგენტინა	1
15	ნორვეგია	16	35	ირლანდია	3
16	შვედეთი	5	36	კვაპროსი	9
17	დიდი ბრიტა- ნეთი	18	37	იაპონია	2
18	შევენეცუა	8	38	მექსიკა	2
19	პოლანდია	14	39	ლუქსემბურგი	1
20	ფინეთი	4		სულ	240

წყრო: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

აქ შესულია მხოლოდ იმ ქვეყანაში წასულთა ინფორმაცია, სადაც აღიარებულია საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების დაბლომი. აქ არაა შეტანილი ვერმანია, სადაც საქართველოდან სასწავლებლად წასულთა დიდი კონტინგენტი სწავლობს.

საქართველოდან საერთაშორისო სასწავლო მიგრაციის ძირითადი მარშუტი ევროპისა და ამერიკის უმაღლესი სასწავლებლებია. 1990-იან წლებამდე კი სასწავლო მირაცია მხოლოდ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისაკენ იყო მიმართული.

ახალლგაზრდობის სასწავლო მიგრაციის ასეთი მაღალი ინტენსიურობა განპირობებულია შრომის ბაზარზე არსებული დიდი კონკურენციით, მაღალანაზღაურებადი სამუშაოს პოვნის სურვილით და ახალგაზრდობის ახალ გარემოსთან ადაპტაციის მეტი უნარით.

საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთვრებულთა სასწავლო მიგრაციის ორმოცი ქვეყნიდან ყველაზე დიდი ნაკადი მიმართულია გერმანიის, იტალიის, რუსეთის, ესპანეთის, ავსტრიისა და აშშ-სკენ. შემდეგ მოდიან ლატვია, ზერბაიჯანი და უკრაინა. საგრძნობი კონტინგენტია ისრაელში, საფრანგეთში, ბელგიაში, პორტუგალიასა და ლიტვაში.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ბუნებრივია რუსეთისკენ მისწრაფება. საქართველოს აზერბაიჯანელი ახალგაზრდობა უპირატესობას ზერბაიჯანის უმაღლეს სასწავლებლებს ანიჭებს. დიდი მისწრაფებაა ბალტიის ქვეყნებისკენაც, რომლებიც ამჟამად ევროკავშირში არიან და წარმატებას მიაღწიეს უმაღლესი განათლების დონეში, განსაკუთრებით, მის მეორე საფეხურზე.

სტუდენტთა ნაწილი სწავლის გაგრძელებას აპირებს აზის ქვეყნებშიც. ამ მხრივ აშკარად თვალშისაცემია ინდოეთი (34 სტუდენტი) და ყაზახეთი (23). მთლიანად აზის სახელმწიფოებში სასწავლებლად გასულია 260 ახალგაზრდა, ემიგრანტთა ნაკადის 10,8%. ნაკადის ძირითადი მიმართულება კი ევროკავშირისა და სხვა მოწინავე ევროპული ქვეყნებია (60%).

მიუხედავად იმისა, რომ გერმანიაში არაა აღიარებული საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების მიერ გაცემული დიპლომი, იქ სხვადასხვა საფეხურზე სწავლას საქართველოს ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი კონტინგენტი ახერხებს. 2005 წლის მონაცემებით, 3210 პირმა დაამთავრა გერმანიის სასწავლებლები. მათ შორის თითქმის ნახევარი (49%) ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე სწავლობდა. უშუალოდ გერმანისტიკას დაუფლა მთელი კონტინგენტის 27%, სამართლის, ეკონომიკისა და სოციალურ მეცნიერებათა შესწავლას მთელი კონტინგენტის 24%, მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს – 11,8%, ხელოვნებასა და ხელოვნებათმცოდნეობას – 5,2%, საინჟინრო სპეციალობებს – 4,5%, მედიცინისა და ჯანდაცვის სპეციალობებს – 3,8%, აგრარულ, ეკოლოგიურ და კვების პროდუქტების სპეციალობებს – 1,3%, სპორტის სპეციალობებს – 0,4% და ა.შ.

გასაგებია ენისა და ლიტერატურის სპეციალობებზე გერმანიის სასწავლებლებში ჩვენი თანამემამულეთა მისწრაფება, მაგრამ დიდ გულისტკივილს იწვევს – საქართველოს შრომის ბაზრისთვის მეტად საჭირო საინჟინრო და აგრარულ მეცნიერებათა დაუფლების მსურველთა მეტად დაბალი ხვედრითი წონა. გერმანული უმაღლესი ტექნიკური განათლება ხომ მსოფლიოს ყველაზე საუკეთესო განათლებადაა მიჩნეული. ასევე დიდად გამოადგებოდა საქართველოს აგროკომპლექსს ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში აგრარულ სექტორზე ჩვენი თანამემამულე სპეციალისტების მომზადება, რაც ამჟამად მცირე მასშტაბით ხორციელდება.

Manana Lobjanidze

EDUCATIONAL MIGRATION OF GRADUATES

GEORGIAN HIGH SCHOOL

(Abstracts)

Migration of the international youth the result accompanies demographic, cultural and economic result.

At present educational and professional mobility represents a priority for formation of the person

The successful future for any nation depends on correctly organized educational system. The basic idea behind all educational EU-plans is economic: the basic idea is the enlargement of scale of the European systems of higher education, in order to enhance its 'competitiveness' by cutting down costs. Therefore a Europe-wide standardization of the 'values' produced in each of the national higher educational systems is called for.

Transfer system of the European credits -is unique system where integrated Georgian educational sphere and it is result of high mobility of the Georgian graduates.

EU- actively works over creation of uniform educational sphere which will promote the academic cooperation between the states.

ლულა მენაბდიშვილი
კონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი
ნანა მენაბდიშვილი
კონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი
ელგუჯა მენაბდიშვილი
კონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი

ემიგრაცია სამშობლოში დარჩენილი ოჯახები **(სოციოლოგიური გამოკვლევა)**

საქართველოს მოსახლეობის მიგრაციის პრობლემას მრავალი გამოკვლევა მიეძღვნა, მაგრამ ჯერ კიდევ მიგრაციის პრობლემის მრავალი ასპექტი სოციოლოგიურ შესწავლას ელის. არასათანადოდაა შესწავლილი მიგრაციული პროცესის ის მხარეები, რაც ადამიანს აიძულებს, დატოვოს ოჯახი, სამშობლო და მეგობარ-ნათესავები. არაა გამოვლენილი ის სიძნელეები, რომლებიც ხელს უშლის მიგრანტის უცხო ქვეყნის სოციალურ სისტემაში ჩართვას. სრულად არაა დადგენილი საქართველოს რეგიონებში ემიგრანტთა ნაკადების რიცხოვნობა და მიმართულება, აგრეთვე, ემიგრაციაში წასვლის მოტივთა დინამიკა ბოლო წლების განმავლობაში. შესასწავლია საქართველოს სხვადასხვა ასაკის მოსახლეობის საზღვარგარეთ ცხოვრების სურვილი და მოთხოვნილება, მასზე მოქმედი ფაქტორები. არასათანადო ყურადღება აქვს დათმობილი ემიგრანტთა ოჯახების დემოგრაფიულ, მატერიალურ და სოციალურ-კულტურულ პორტრეტს.

არაა ჩატარებული ემიგრაციაში მყოფთა მეთოდურად გამართული, მეცნიერულად ღირებული სოციოლოგიური გამოკვლევა და ა.შ.

ამ გამოკვლევის მიზანია, ოჯახის, როგორც ემიგრაციის ხელის შემწყობის შესწავლა. მიზანმა განაპირობა ტერიტორიულ ჯგუფებში ემიგრაციის გავრცელებისა და მიმღები ქვეყნების დადგენის ამოცანა. ოჯახები შევისწავლეთ ეკონო-

მიკური, სოციალური, კულტურული და დემოგრაფიული ასპექტით. კითხვარი მოიცავდა ოჯახის წევრების შესახებ შედეგ მახასიათებლებს: ასაკს, სქესს, განათლებას, დასაქმებას, შემოსავლის წყაროს, ოჯახის ტიპს, 18 წლამდე ასაკის ბავშვთა რაოდენობას, ოჯახის ერთ წევრზე შემოსავალს და ოჯახის წევრთა რაოდენობას.

გამოკითხვა ჩატარდა ორმოცდაათზე მეტ ტერიტორიულ ჯგუფში (სოფელი, რაიონული ცენტრი). თითოეულ სოფელში გამოიკითხა 20, ხოლო რაიონულ ცენტრში— 40 ოჯახი. კითხვარს პასუხობდა ოჯახის ერთ-ერთი უფროსი წევრი. ოჯახები შეირჩა შემთხვევითი შერჩევის წესით. გამოკითხულმა ერთობლიობამ შეადგინა 1260-ზე მეტი ოჯახის სრულწლოვანი წარმომადგენელი.

გამოკითხულთა ერთობლიობამ არ მოიცვა საქართველოს ყველა მხარე. ამდენად დასკვნა ეხება არა იმდენად საქართველოს ყველა სოფელსა და რაიონულ ცენტრს (თუმცა მათზეც გვიქმნის გარკვეულ წარმოდგენას), რამდენადაც გამოკვლეულ ერთობლიობას.

ემიგრანტები, მიმღები ქვეყნები. გამოკითხულ ერთობლიობაში ოჯახები, რომლის წევრიც ემიგრაციაში იმყოფება 74-ია. რაც შეადგენს გამოკითხული ერთობლიობის 5,9%-ს. ქვეყნები, რომლებშიც ემიგრანტები იმყოფება, 11-ია. ისინი ემიგრანტთა განსხვავებული რაოდენობით ხასიათდებიან. ყველაზე მრავალრიცხოვანი ემიგრანტი იმყოფება საბერძნეთში (33,8%), რუსეთსა (21,6%) და გერმანიაში (17,6%). უფრო მცირერიცხოვანია ემიგრანტების რაოდენობა აშშ-ში (6,7%) და ესპანეთში (5,4%). კიდევ უფრო მცირეა მათი ხვედრითი წილი იტალიაში (2,7%), პოლანდიაში (2,7%), კუვეიტში (2,7%), კვიპროსში (2,7%) და უკრაინაში (2,7%). ყველაზე მცირე აღმოჩნდა მათი ხვედრითი წილი ლიტვაში (1,35%).

ოჯახების სიდიდე. ემიგრანტთა მიერ სამშობლოში დატოვებული ოჯახები წევრთა რაოდენობით განსხვავდებიან.

ყველაზე გავრცელებულია ოთხი (25,7%), ხუთი (22,97%) და სამწევრიანი (22,97%) ოჯახი. მეათედს აღემატება ექვსი (10,8%) და ორწევრიანი (10,8%) ოჯახი. ყველაზე მცირე ხვედრითი წილი აქვთ ერთ (5,4%) და შვიდშვილიან (1,35%) ოჯახებს. ოჯახის საშულო სიღიღეა 3,87, სოფლი-დან წასულისა— 4,26, ხოლო რაიონული ცენტრიდან წასუ-ლებისა— 3,39. ვფიქრობთ, ოჯახის მრავალრიცხოვნობა არ განაპირობებს მისი წევრის ემიგრაციაში წასვლას.

საქმიანობა. საქმიანობა ადამიანის არა მარტო შემოსავ-ლის წყაროა, არამედ მისი იდენტობის, შეგრძებისა და და-ნიშნულების მნიშვნელოვანი ნაწილია. იდენტობის დიდი ნა-წილი სამსახურის მეშვეობით იქმნება³⁴. ემიგრანტთა ოჯახე-ბის ნახევარზე ნაკლებში (45,9%) არცერთი წევრი არ საქ-მიანობს, მესამედში (33,8%) მხოლოდ ოჯახის ერთი წევრი საქმიანობს, ოჯახების 15,5%-ში ორი წევრი საქმიანობს, 2,7%-ში— სამი. ეს იმას ძოწმობს, რომ ემიგრანტების თით-ქმის ნახევრის ფულადი გზავნილი წარმოადგენს სამშობლო-ში დატოვებული ოჯახის არსებობის საფუძველს, ხოლო სხვა ოჯახების არსებობის აუცილებელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ემიგრანტთა ფულად გზავნილებთან ერთად პენსიონად და მათ ხელთ არსებული ან მათვის ხელმისაწ-ვდომი შემთხვევითი შრომითი საქმიანობის ანაზღაურებით ხდება.

იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ადამიანების საზღვარ-გარეთ წასვლის მოტივია მასობრივი უმუშევრობა. თავისთა-ვად ამ დებულების საწინააღმდეგო თითქოს არაფერია, მაგ-რამ იგი ემიგრაციაში წასვლის ერთ-ერთი და არა ერთადერ-თი ფაქტორია. სხვაგვარად გაუგებარია ერთ, ორ და სამ დასაქმებულ წევრიანი ოჯახების თითქმის თანაბარი ხვედრი-

³⁴ კალპუნი ქ., ლათინ ჯელერი დ. სოციოლოგია. თბ., 2007წ. გვ.80-82, 94.

თი წილი ემიგრანტებისა და არაემიგრანტების ჩვენს მიერ გამოკითხულ ერთობლიობაში.

შემოსავლის წყარო. ემიგრანტების ოჯახებში შემოსავლის რამდენიმე წყაროა გავრცელებული. ყველაზე მრავალ-რიცხოვან ოჯახებში შემოსავლის წყაროა პენსია და ხელფასი. შედარებით მცირე ნაწილთან შემოსავლის წყაროა ჭარბი პროდუქტის რეალიზაციით მიღებული თანხა, ზოგან კი - სოციალური დახმარება. შემოსავლების ანალიზით დასტურდება, რომ ყველაზე გაჭირვებული ყოფა წარმოადგენს ემიგრაციაში წასვლის აუცილებელ, მაგრამ არასკმარის პირობას.

ოჯახის ერთ სულზე შემოსავალი. საქმიანობის საბოლოო შედეგი ოჯახის ფინანსური უზრუნველყოფაა. ეს უკანასკნელი შესრულებული სამუშაოსა და ქვეყნის ცხოვრების დონის მიხედვით იცვლება. ის რაც ერთი ქვეყნისათვის ყველაზე დაბალი მაჩვენებელია, სხვა ქვეყნისათვის შეიძლება ყველაზე მაღალს თუ არა, საშუალო დონეს გამოხატავდეს. ხოლო ოჯახის წევრების რიცხოვნობის მიხედვით ერთი და იგივე ოდენობის ფინანსური შემოსავალი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების განსხვავებულ დონეს უზრუნველყოფს. ფინანსური შესაძლებლობების ნიშნით ოჯახების დასახასიათებლად გამოვიყენეთ ერთ სულზე შემოსავლის სიდიდე. მასში ემიგრანტის გამოვზავნილი თანხა არ შესულა.

ემიგრანტებისა და არაემიგრანტების ოჯახები ფინანსური უზრუნველყოფით მკვეთრად განსხვავდება. არიან ოჯახები, სადაც ერთ სულზე შემოსავალი 191-300, 301-500 ან მეტი ლარია. ოღონდ, გვხვდება ისეთი ოჯახებიც, სადაც ერთ სულზე შემოსავალი მხოლოდ 11-20 ან 21-30 ლარია.

გამოვლინდა, რომ გამოკვლეულ ემიგრანტთა ოჯახების ნაწილი მაღალი ფინანსური შემოსავლების მქონე ოჯახებს წარმოადგენს, რომელთა წევრის ემიგრაციაში წასვლის მოტივი, საეჭვოა, ოჯახის ფიზიკური გადარჩენის პრობლემა ყოფილიყო. არაემიგრანტთა ოჯახებს შორისაც ბევრია ყვე-

ლაზე დაბალი შემოსავლების მქონე ოჯახი, რომელთა წევ-რები ემიგრაციაში არ იმყოფებიან. ამრიგად, ემიგრაცია ყო-ველთვის გაჭირვებით არაა ნაკარნახევი.

სქესი და ასაკი. ემიგრანტთა ოჯახებში მამაკაცების წილი (52,6%) ქალებისას აღემატება (47,4%). ასაკობრივად ისინი დიფერენცირებულ ჯგუფებს ქმნიან. ოცწლიანი ასაკობრივი ინტერვალის მიხედვით ყველაზე მცირე წილითაა წარმოდგენილი 20 წლამდე ასაკის ჯგუფი (11,8%). ოჯახის 20-39 წლის წევრები ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს ქმნიან (36%), ხვედრითი წონით მეორე ადგილზეა 40-59 წლის წარმომადგენელთა ჯგუფი (30%). 60 წლის და მეტი ასაკის ოჯახის წევრები ემიგრანტთა ოჯახის წევრთა მენუთედზე მეტია (22,2%). შობადობის დაბალი დონის გამო სოციალურად აქტიური, შრომისუნარიანი ადამიანების რაოდნობა შემდგომ ოც წელს მნიშვნელოვნად შემცირდება. კვლავაც გაგრძელდება მოსახლეობის დაბერების პროცესი.

ემიგრანტების ოჯახის წევრთაგან უმაღლესი სასწავლებელი აქვს დამთავრებული 30,5%-ს. ე.ი. ემიგრანტების ოჯახები მაღალი ინტელექტუალური პოტენციალით ხასიათდება.

ოჯახის ტიპი. ბოლო აღწერის მონაცემებით საქართველოში შინამეურნეობის 17 ტიპი არსებობს. ემიგრანტების ოჯახების შედარებითმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ისინი მოიცავენ შინამეურნეობის მხოლოდ 10 ტიპს.

ემიგრანტთა სრული ოჯახის ტიპიდან ყველაზე მრავალრიცხოვანია ორი და მეტი ქორწინებითი წყვილისგან შემდგარი შინამეურნეობები (25,7%). უფრო მცირე ხვედრითი წონით ხასიათდება ორი და მეტი ქორწინებითი წყვილისაგან შემდგარი შინამეურნეობები: გამოკვლეულ ერთობლიობაში (14,7%) და საქართველოს შინამეურნეობებში (10,3%).

ემიგრანტთა ოჯახებში გავრცელებით მეორე ადგილზეა შინამეურნეობები ერთი ქორწინებითი წყვილით ბავშვებით და ბავშვების გარეშე (16%).

18 წლამდე ასაკის ბავშვები ოჯახებში. ემიგრანტების ოჯახების თითქმის სამ მეხუთედში (59,5%) 18 წლამდე ასაკის არცერთი ბავშვი არ არის. მხოლოდ ერთი ბავშვია ოჯახების მეოთხედზე მეტში (28,4%), ორი ბავშვი მეათედზე ნაკლებში (9,5%) და სამი ბავშვი ოჯახების 2,7%-ში. ემიგრანტთა ოჯახებში 18 წლამდე ასაკის ბავშვთა საშუალო რიცხვი შეადგენს 0,55 ბავშვს. ეს მაჩვენებელი ბევრად ნაკლებია ვიდრე საშუალოდ საქართველოში.

არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ემიგრანტების სახით საქართველოს მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა ფიზიკური არსებობის, აუცილებელი სოციალური და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მყარი საფუძველი მიიღო, მაგრამ ვიდრე მიგრაციის საბოლოო შეფასებას მოვახდენდეთ, აუცილებელია მისი შედეგები სხვა კუთხითაც გავაანალიზოთ. ემიგრანტთა ოჯახების სამი მეხუთედი მოკლებულია 18 წლამდე ასაკის ბავშვს. ეს იმას გვიჩვენებს, რომ ხუთიდან სამ ოჯახში თაობათა ცვლა არ მოხდება და ადგილი ექნება შეკვეცილ აღწარმოებას.

*Elguja Menabdishvili
Nana Menabdishvili
Lela Menabdishvili*

**EMIGRANTS' FAMILIES LEFT IN THE HOME COUNTRY
(Sociological Research)
(Abstract)**

In order to study emigrants' families we conducted sociological research in more than 50 villages and regional centres of Georgia in 2008. 20 families were selected randomly in each village and 40 families in the regional centre. The aggregate of respondents were from 1260 families. The family members of these respondents were abroad. They are in: Greece (33,8 %), Russia (21,6 %), Germany (17,6 %), USA (6,7 %), Spain (5,4 %), Italy (2,7 %), Holland (2,7 %), Kuwait (2,7 %), Cyprus (2,75%), the Ukraine (2,7 %) and Lithuania (1,4 %).

We have studied the family members': number, age, sex, education level, employment, source of income, income per one person of the family, type of households, number of people under 18.

With the correlative and evaluative analysis of emigrants and emigrants's families it is defined: 1) in the both aggregate in the majority of the families (43-45 %) none of the member is not employed. 2) the income per each person in the emigrants and nonemigrants's families is fluctuating from 10-20 till 600-800 dollars. 3) The highest level of the income per one person is spread in the part of the emigrants' families. 4) There is no children under 18 in the third part of the families. 5) The majority of emigrants are from the families with one or two marriage couples.

შინაგანი

1.	მირიან ტუხაშვილი	5
	რუსების ჩამოსახლება და ემიგრაცია საქართველოდან	
2.	ციური ანთაძე	16
	საქართველოს შრომის ბაზრის ფუნქციონირების თა- ვისებურებები თანამედროვე ეტაპზე	
3.	გორგი წელაძე, ავთანდილ სულაბერიძე, ნიკოლოზ მაღლაფერიძე	29
	საქართველო და საერთაშორისო მიგრაცია	
4.	გორგი მელაძე	35
	საერთაშორისო მიგრაციის გეოგრაფია და პურსპექ- ტივები	
5.	ნათა ჭელიძე	45
	სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში მიგრაციის შედარებითი კვლევა	
6.	თამაზ ფუტკარაძე	55
	აჭარიდან გადასახლებულ მიგრანტთა რელიგიური ადაპტაციის ზოგიერთი საკითხი	
7.	ელგუჯა მენაბდიშვილი, თამარ შინჯიაშვილი, თამაზ ზუბავშვილი, ლამარა ბერიძე	65
	მიგრაციული პროცესები თბილისში	
8.	ძმია შელია, მარიამ გუგუტიშვილი	77
	ცხინვალის რეგიონიდან დევნილთა სოციალურ-ეკო- ნომიკური პრობლემები	
9.	მირიან ტუხაშვილი, მამუკა თორია	86
	აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულთა შრომი- თი ემიგრაცია	
10.	მანანა ლომაძეანიძე	98
	საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების კურსდამ- თავრებულთა სასწავლო მიგრაცია	
11.	ელღვუჯა მენაბდიშვილი, ნანა მენაბდიშვილი, ლელა მენაბდიშვილი. ემიგრანტთა სამშობლოში დარჩენილი ოჯახები	105

CONTENT

1.	Mirian Tukhashvili	5
	Russians Settlement in Georgia and Their Emigration	
2.	Tsuri Antadze	16
	Characteristics of the present labor market in Georgia	
3.	Tsuladze G., Sulaberidze A., Maghlaferidze N.	29
	Georgia and international migration	
4	Georg Meladze	35
	Geography and prospects of international migration	
5.	Natia Chelidze	45
	Comparative Study of Migration in the South Caucasian Countries	
6.	Tamaz Putkaradze	55
	Some issues of religious adaptation for migrants from Adjara	
7.	Menabdishvili E., Shinjashvili T., Zubiashvili T., Beridze L.	65
	Emigration processes in Tbilisi (Sociological Research)	
8.	Mzia Shelia, Mariam Gugutishvili	77
	Socio-Economic Problems of the IDPs from Tskhinvali Region	
9.	Mirian Tukashvili, Mamuka Toria	86
	Labour Emigration of the IDPs from Abkhazia	
10.	Manana Lobjanidze	98
	Educational migration of graduates Georgian High school	
11.	Menabdishvili E., Menabdishvili N., Menabdishvili L.	105
	Emigrants' families left in the home country (Sociological Research)	



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ვავავაძის გამზ. 19, ტელ: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge